"ნაციონალებს" ვანის გზა გადაუკეტეს A2
„დემოკრატიული არჩევნები საქართველოს ბოლო შანსია" A2
ელიტების ცირკულაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში A3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 5 ივნისი, 2003 წელი. №152 (364)

ფასი 50 თეთრი

**პოლიტიკა**

### 3 ივნისის მანიფესტაცია - "ინციდენტი" პრეზიდენტის თვალში

"ინციდენტი" – ასეთი შეფასება მისცა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ოპოზიციის მიერ 3 ივნისს ორგანიზებულ საპროტესტო გამოსვლას, რითიც მაქსიმალურად შეეცადა, დაეკნინებინა ამ გამოსვლის როგორც შინაარსი, ისე შედეგი - ოპოზიციის გაერთიანების ფაქტი. ხოლო "ღირსეული ნაბიჯი", რომლის დაპირისპირებასაც საქართველოს ხელისუფლება ოპოზიციური გაერთიანებისა და სახალხო მოძრაობისთვის აპირებს, "ძალოვანი სტრუქტურების ერთი საგანგებო თავყრილობაა!"

A3

**ეკონომიკა**

### "ცვლილებები ყოველთვის ვილაცის ხარჯზე ხდება"

"ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში რეორგანიზაცია მიმდინარეობს. ჩვენი ყველა ნაბიჯი მიმართულია იქითკენ, რომ სამინისტროს მუშაობა უფრო ეფექტური და ნაყოფიერი გავხადოთ", - განაცხადა მინისტრმა გიორგი გაჩეჩილაძემ.

A4

**უცხოეთი**

### მსოფლიოში ამერიკის მიმართ ნეგატიური განწყობა სჭარბობს

მსოფლიოში ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, ერაყის ომის დასრულების შემდეგ, ანტიამერიკული განწყობა კვლავ ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოში, განსაკუთრებით, მუსლიმებს შორის.

A5

**საზოგადოება**

### უჯიხუროდ დარჩენილ მოვაჭრეებს არძინბა გაახსენდათ

*მეტრო "მარჯანიშვილთან" მდებარე სავაჭრო ჯიხურების აღებას მოვაჭრეებმა გუშინ მერიის წინ გამართული საპროტესტო აქციით უპასუხეს. დილის 10 საათზე მუნიციპალიტეტის შენობასთან შეკრებილ მანდილოსნებს ქალაქის ხელმძღვანელობიდან არავინ გამოხმაურებია და ისინიც მალევე დაიშალნენ.*

A6

**სამართალი**

### ანტიტერორისტული ბატალიონიდან კიდევ ერთი ჯარისკაცი გაიქცა

ვაზიანის სამხედრო ბაზაზე დისლოცირებული "კომანდოს" ანტიტერორისტული ბატალიონიდან, რომელიც "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ფარგლებშია მომზადებული, კიდევ ერთი ჯარისკაცი გაიქცა.

A7

**ამინდი**

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 19 | |
| ქუთაისი | 19 | |
| ბათუმი | 16 | |
| სოხუმი | 17 | |
| ფოთი | 17 | |
| თელავი | 17 | |
| ზუგდიდი | 19 | |
| გორი | 16 | |
| ახმეტა | 17 | |
| ჭიათურა | 18 | |
| ბაბრა | 16 | |

**უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1450 |
| ევრო | 2.5298 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5159 |
| რუბლი | 0.0701 |

# „კუჩმამ სიმართლე თქვა"

*ასე განაცხადა "24 საათთან" საუბარში რუსეთის პარლამენტის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის გეოპოლიტიკის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, კავკასიისა და შორი და ახლო აღმოსავლეთის საქმეთა სამუშაო ჯგუფის უფროსმა ალექსეი ვაშჩენკომ.*

რუსუდან ნიკურაძე
*საქ. კორ. მოსკოვში*

ალექსეი ვაშჩენკო: " **სოჭში პრეზიდენტების შეხვედრის დროს მიღწეული შეთანხმებების განხილვისა და აფხაზეთის მხარესთან პოზიციების შეჯერების მიზნით, სანკტ-პეტერბურგის სამიტამდე აფხაზეთში იმყოფებოდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატი ვალერი ლოშჩინინი. დიპლომატებმა სოხუმის ხელისუფლებაში ერთგვარი დაზვერვა ჩაატარეს და გაარკვიეს, ხომ არ მოითხოვდა აფხაზური მხარე კონფლიქტის ზონიდან სამშვიდობოების გაყვანას. როცა აფხაზებმა ლოშჩინინს პირობა მისცეს, რომ ისინი ამას პირველები არ მოითხოვენ, ლოშჩინინმა თავის ხელისუფლებას გადასცა აფხაზთა პოზიცია. ამის შემდეგ შედგა სამიტი და პუტინ-შევარდნაძის დახურული შეხვედრა.**

გაგრძელება A2 გვერდზე

# ქართველი სამხედროების მორიგი როტაცია ბალკანეთზე

კობა ლიკლიკაძე
*"რადიო თავისუფლება"*
*სპეციალურად "24 საათისთვის"*

*4 ივნისს თურქების მიერ რეკონსტრუირებული მარნეულის სამხედრო აეროდრომიდან კოსოვოსკენ გეზი აიღო ქართველ მშვიდობისდამცველთა რიგით მერვე ოცეულმა, რომელსაც სტაჟიანი მშვიდობისდამცველი, უფროსი ლეიტენანტი დათო მურღულია მეთაურობს. ტრადიციის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების კოჯრის სასწავლო ცენტრის ძალების 34 სამხედრო მოსამსახურე, თავდაპირველად თურქეთში ჩავა და ორკვირიანი სპეციალური მომზადების შემდეგ შეცვლის კოსოვოში მყოფ თანამებრძოლებს.*

ქართველი სამხედროები კოსოვოში განლაგებული სამშვიდობო ძალების (KFOR) შემადგენლობაში 1999 წლიდან მონაწილეობენ და ეს ქართული სამშვიდობო მისია ბალკანეთში,

გაგრძელება A2 გვერდზე



ქართველი მშვიდობისდამცველები თვითმფრინავის მოლოდინში.

# ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს

## ღრმად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

თქვენ, როგორც თანამედროვე პოლიტიკის ერთ-ერთ დიპლომირებულ არქიტექტორს, კარგად მოგეხსენებათ, რომ ყველა პოლიტიკოსს აქვს ხოლმე საეტაპო მნიშვნელობის გამოსვლები. გამოსვლები, რომელთა მიხედვითაც უფრო კონკრეტული წარმოდგენა გვექმნება ორატორის პოზიციაზე, ინტერესებზე, ღირებულებებსა და, ასე გასინჯეთ, ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც კი.

თქვენი ხანგრძლივი პოლიტიკური მოღვაწეობის განმავლობაში ასეთი გამოსვლა ბევრი გქონიათ. იმდენად ბევრი, რომ მათ ანალიზს არც ქაღალდი ეყოფა და არც მელანი. თუმცა, დღეს უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ თქვენ კვლავ აგრძელებთ ასეთ გამოსვლებს, რაც ნათელი დასტურია იმისა, რომ თქვენ, არათუ უწინდებურად არსებობთ, უწინდებურად აზროვნებთ კიდეც.

ბოლო ასეთი გამოსვლა, უდავოდ, თქვენი ბოლო საორშაბათო რადიოინტერვიუსა და ბრიფინგის ნაზავი იყო. უდიდეს მადლობას მოგახსენებთ, რადგან აშკარად ნოყიერი გონებრივი საზრდო გვიძღვენით. ერთიანად ამ მსუყე ნაერთის მონელება ძალიან რთულია და ჩემებრ უბრალო მოკვდავის ორგანიზმს ნამდვილად არ ძალუძს. ამიტომაც, იქნებ მხოლოდ მისი ერთი მონაკვეთი დავაკონკრეტოთ, რომელიც, ისევე როგორც თქვენი აზრების უმეტესობა, საქართველოს მასშტაბებს აშკარად სცილდება.

მით უფრო, რომ თქვენი გამოსვლის ეს ნაწილი სწორედ საერთაშორისო ორგანიზაციებს ეხება. საინტერესო კი ის არის, რომ თქვენ - ადამიანმა, რომელიც ასე დაჟინებით იბრალებს რკინის ფარდის ჩამოხსნას, ასეთივე თავგამოდებით მოითხოვეთ მისი ხელახლა ჩამოფარება.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ცრემლნარევი ფარსი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

თამარ მჭედლიშვილი

*გუშინ ჯუმბერ ლომინაძემ, მინდია სალუქვაძემ, ნიკოლოზ ვახანიამ, ხათუნა გოგორიშვილმა, შალვა ბებოშვილმა, პაატა ჯიბლაძემ და ელმირა მესხიშვილმა ცენტრალური საარჩევნო კომისია უკვე ოფიციალურად დატოვეს. ამიერიდან, კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას გია ზესაშვილი შეასრულებს, ხოლო თავად ცესკო მთლიანად ხელისუფლებისადმი მორჩილი ან მეტ-ნაკლებად ლოიალური წევრებით იქნება დაკომპლექტებული. საგულისხმოა, რომ "აღორძინების" ლიდერების განცხადებების მიუხედავად, ამ პარტიის სამმა წევრმა თანამდებობა არც გუშინ დატოვა. გუშინ კომისიიდან თავისი წევრი არც "მრეწველებს" გამოუწვევიათ.*



ცენტრალური საარჩევნო კომისია თავის წევრებს ემშვიდობება და დარჩენილი შემადგენლობით მზადაა, ემსახუროს პრეზიდენტს.

გუშინ ცესკო-ს ერთსაათიანი სხდომა საკმაოდ წინააღმდეგობრივად წარიმართა - იყო ურთიერთრევერანსები, დაუფარავი აგრესია, პოლიტიკური განცხადებები და ბრალდებები ჟურნალისტთა მისამართით, რომლებსაც, თურმე, ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვით ცესკო-სთვის ასეთი უარყოფითი იმიჯის შექმნაში. ამ მხრივ, თავი ყველაზე მეტად "აღორძინების" წარმომადგენელმა გივი კომახიძემ გამოიდო, რომელიც ამტკიცებდა, რომ ცესკო-ს სახელის შელახვა, არც მეტი, არც ნაკლები, სწორედ მედიის დამსახურება ყოფილა. ამ მოტივით, ბატონმა კომახიძემ კომისიის პრეს-ცენტრის უფროსსაც კი შეუტია და მისი საქმიანობა, ანუ დამოუკიდებელი მედიის საქმიანობაში ჩაურევლობა, ყოვლად არადამაკმაყოფილებლად შეაფასა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ცესკო-ს საკითხი და "აღორძინების" "ბრძნობათა იმპერია"

გიორგი ასანიშვილი

*ოპოზიციას უნდა, რომ ხელისუფლებამ თავისივე დასაკლავი დანა საკუთარი ხელით გალესოს; ხელისუფლება ცდილობს, რომ მიუხედავად იმისა, თუ როგორი იქნება ხალხის პოლიტიკური ნება, მაინც თვითონ დარჩეს ქვეყნის სათავეში – დაახლოებით, ასეთ მიზნებს ისახავენ ხელისუფლება და ოპოზიცია, როდესაც ცესკო-ს დაკომპლექტების წესის საკითხში უპირისპირდებიან ერთმანეთს. ამ ბრძოლაში პოზიციურ უპირატესობას ხელისუფლება ფლობს: ოპოზიციასთან მისი შეტაკება "ფრედაც" რომ დამთავრდეს (ანუ, ვერც ერთი ვარიანტი ვერ გავიდეს), მოგებული მაინც სახელისუფლებო ბანაკი დარჩება, - დღეისთვის არსებული ცესკო მას მთლიანად აკმაყოფილებს. ამიტომ, ოპოზიციის მთელი ძალისხმევა ხელისუფლების ამ უპირატესობის გაბათილებისკენ არის მიმართული. თუ ცესკო არსებობას შეწყვეტს, მმართველი ძალა ამით "ფორას" დაკარგავს და საარჩევნო "თამაშის" სადავეები უკვე ოპოზიციის ხელში გადავა. ასე რომ, ცესკო ნამდვილად ღირს ბრდღვნად - ცენტრალური საარჩევნო კომისია ის საყრდენი წერტილია, რომლითაც არჩევნების შედეგების "გადატრიალება" შეიძლება.*

მას შემდეგ, რაც ქუჩიდან და პარლამენტის სხდომათა დარბაზიდან სახელისუფლებო ძალებზე ერთდროულმა იერიშმა ნაყოფი ვერ გამოიღო, ოპოზიციამ ტაქტიკა შეცვალა. მან პარლამენტის სხდომებს ბოიკოტი გამოუცხადა, დედაქალაქი დატოვა და პერიფერიებში გადაინაცვლა.

საარჩევნო ბატალიებში თბილისი, მართალია დიდ, მაგრამ მაინც არაგადამწყვეტ როლს ასრულებს. ელექტორატის რაოდენობიდან გამომდინარე, "აბსოლუტურ წონით კატეგორიაში გამარჯვებული" რეგიონების მაჩვენებლებით ირკვევა.

გაგრძელება A2 გვერდზე

# დიდი რვიანის მორიგი უშედეგო სამიტი

შოთა უტიაშვილი

ევიანში გამართული დიდი რვიანის სამიტი იმით დამთავრდა, რითაც მისი 28 წინამორბედის უმეტესობა – პრაქტიკულად არაფრით. ექსპერტები აცხადებენ, რომ ისინი კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ იმაში, რომ მსოფლიოს შვიდი უმდიდრესი ქვეყნისა და რუსეთის ლიდერების შეხვედრა, რეალურად, მხოლოდ პრეზიდენტებს შორის პირადი ურთიერთობების განსამტკიცებლად გამოდგება. ბევრი სამახსოვრო ფოტო და ძალიან ცოტა სამოქმედო გეგმა – ასეთია დიდი რვიანის სამიტის შედეგი

ერაყის ომის შემდეგ გამწვავებული ამერიკულ-ევროპული დაპირისპირების ფონზე ესეც არ არის ცუდი შედეგი. ყოფილმა ოპონენტებმა შირაკმა და ბუშმა, შრიოდერმა და ბუშმა ტელეკამერების წინაშე განაცხადეს, რომ უთანხმოება წარსულს ჩაბარდა და ახლა საერთო მიზნების მისაღწევად იბრძოლებენ. თუმცა სამიტზე დამსწრეები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად დეკლარირებული მეგობრობისა, უთანხმოება ევროპელებსა და ამერიკელებს შორის მაინც იგრძნობოდა. სამიტის დასრულებისას პუტინმა და შირაკმა მაინც გააკრიტიკეს ამერიკის მოქმედება ერაყში. შრიოდერთან პირად შეხვედრაზე ბუშმა უარი განაცხადა.

გაგრძელება A5 გვერდზე

# მკალავიშვილს სამთვიანი პატიმრობა ემუქრება

თამარ კაციტაძე

გუშინ, ვაკე-საბურთალოს რაიონის სასამართლოს წინ, ბასილ მკალავიშვილის მრევლი, ხატების თანხლებით, რამდენიმე საათის განმავლობაში, სასამართლოს გადაწყვეტილებას მორჩილად ელოდა. თავად მოძღვარი სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე არ გამოჩენილა. როგორც მკალავიშვილმა სატელეფონო საუბრისას გვითხრა, მან დედაქალაქი, დაახლოებით, ოთხი საათისთვის დატოვა.

სასამართლოს თავმჯდომარე მამუკა ნოზაძე ბასილ მკალავიშვილისთვის სამი თვით წინასწარი პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობას იხილავდა. შეგახსენებთ, თბილისის პროკურატურაში ბასილ მკალავიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე რამდენიმე თვის წინ აღიძრა. ამჯერად, მკალავიშვილს გამოძიება სხვისი ქონების განადგურებაში ედავება, რისთვისაც კანონი ოთხიდან რვა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. 2002 წლის თებერვალში გლდანის ეპარქიის მრევლმა, მოძღვრის წინამძღოლობით, ბიბლიური საზოგადოების წევრ მამუკა სონღულაშვილის კუთვნილი ლიტერატურა დაწვა.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ევროისტორია

B2 რევიუ B3 "ხალხის პირისპირ" - ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## „კუჩმამ სიმართლე თქვა“

პირველი გვერდიდან

**ამ შეხვედრაზე ითქვა, რომ მანდატისათვის ვადის გაგრძელება, თან რაც შეიძლება დიდი ხნით, კონფლიქტის მონაწილე მხარეების ინტერესებში შედის. ამაზე შევარდნაძე პუტინს დათანხმდა. იქ ცოტა სხვანაირი საუბარიც იყო, რისი დეტალებიც კარგად იცის უკრაინის პრეზიდენტმა. კუჩმამ ისიც იცის, რომ პუტინ-შევარდნაძეს შორის რთული დამოკიდებულებაა, ამიტომაც პროვოკატორობა არჩია. მან ჟურნალისტებთან საუბარში აბსოლუტურად გულწრფელად განაცხადა ის, რაც იცოდა. კუჩმას ტყუილი არ უთქვამს. სხვა საქმეა, რომ მას, როგორც უცხო ქვეყნის პრეზიდენტს, ეს არ უნდა ეთქვა და სამიტის კულუარული ინფორმაცია არ უნდა გაეთქვა, მაგრამ სიმართლე წამოსცდა. ერთხელ კუჩმამ პოლიტიკაზე საუბრისას კიევში ერთ ჩემს ნაცნობს უთხრა, მე პოლიტიკოსი არ ვარ, "რაკეტჩიკი" ვარო. ამ სფეროში მართლა დიდი ხანია უმუშავია. როგორც ჩანს, მართლა "რაკეტჩიკია" და დიპლომატიასთან საერთო არაფერი აქვს. ამით აიხსნება უკრაინის პრეზიდენტის გულწრფელობა".**

## „დემოკრატიული არჩევნები საქართველოს ბოლო შანსია“

### ასეთია ევროსაბჭოს ექსპერტთა შეფასება

*ევროსაბჭოს დელეგაციის ორდღიანი ვიზიტი, რომლის მიზანიც იყო ქვეყანაში მოახლოებული საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადების შეფასება, საკმაოდ მკაცრი გამოდგა. მათი შეფასებით, საქართველოში აუცილებელია დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, ამით საქართველოს ბოლო შანსი ეძლევა, რომ ევროსაბჭოს წევრ ქვეყნად დარჩეს.*

*საბოლოო დასკვნას ექსპერტები ევროსაბჭოში სექტემბერში წარადგენენ. ისინი არ გამორიცხავენ, რომ საქართველო ევროსაბჭოდან გაირიცხოს.*

ბელა მახარაძე

მათიას იორში და ევგენი კირილოვი საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებს შეხვდნენ. ევროსაბჭოს წარმომადგენლები შეხვდნენ როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციურ ძალებს. საბოლოო დასკვნის გაკეთებამდე, ისინი პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს ესაუბრნენ.

**"ევროსაბჭოს ექსპერტები საქართველოში წინასაარჩევნოდ შექმნილ ვითარებას ხელისუფლებისთვის საგანგაშოდ აფასებენ და აცხადებენ, რომ თუ ნოემბრამდე დარჩენილ მცირე დროში დემოკრატიული საარჩევნო კანონის მიღება ვერ მოხერხდა, ქვეყნის საერთაშორისო იმიჯსა და შიდა პოლიტიკურ სტაბილურობას სერიოზული საფრთხე ემუქრება,"** - ეს კომენტარი ნინო ბურჯანაძემ შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

დღის ბოლოსათვის ევროსაბჭოს წარმომადგენლებმა საგანგებო ბრიფინგი გამართეს და თავიანთი აზრი ჟურნალისტებს გაუზიარეს. უნდა ითქვას, რომ თებერვლის შემდეგ, მათი განწყობა უფრო ოპტიმისტურია და იმედი აქვთ, რომ საქართველო შეძლებს ჩაატაროს დემოკრატიული არჩევნები. თუმცა, აქვე გაკვირვებაც გამოთქვეს და მათთვის ცოტა გაუგებარი დარჩა, თუ რატომ ვერ თანხმდებიან ოპოზიციური პარტიები ერთმანეთში და რატომ არის მუდმივად იმის პრობლემა, რომ არჩევნებში დამარცხებული პარტიები ცდილობენ, ყველაფერი არჩევნების გაყალბებას დააბრალონ. ამის შესანიშნავ მაგალითად მათიას იორშს საკუთარი ქვეყანა უნგრეთი მოჰყავს და ამბობს, რომ მათთან ისეთი პარტიებიც კი იმარჯვებენ, რომლებიც სრულიად ახალი შექმნილნი არიან.

პარტიების ყველაზე მთავარ პრობლემად ექსპერტებს ერთმანეთის კრიტიკა და ხალხის უყურადღებოდ დატოვება მიაჩნიათ. **"ხალხის მიმართ ასეთი დამოკიდებულებით, ისინი რეიტინგს კარგავენ,"** - აცხადებს მათიას იორში. იგი ცდილობს, საკუთარი ქვეყნის მაგალითისა და პრაქტიკის მიხედვით, ქართველ პოლიტიკოსებს რჩევა მისცეს.

**"ჩვენ გვიყვარს საქართველო და გვინდა, ამ ქვეყანაზე კარგი მოხსენება შევადგინოთ, თუმცა, თუ საქართველოში უმოკლეს ვადაში არ იქნება მიღებული დემოკრატიული საარჩევნო კოდექსი, მაშინ ამას მოჰყვება ცუდი შედეგები, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო არენაზე,"** - ამბობს იორში.

ევროსაბჭოს ექსპერტები, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ ძალებს შეხვდნენ, კონკრეტული შეფასებებისაგან თავს იკავებენ. **"ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ ქვეყანა ემზადება არჩევნებისთვის, მაგრამ თუ ეს ვერ გავაკეთეთ, არ იქნება ჩვენი ბრალი, დღეს საქართველოს მომავალი სასწორზე დგას,"** - თქვა მათიას იორშმა.

**"ევროსაბჭოს წევრობა არ ნიშნავს დღესასწაულს, ეს არის რთული სამუშაო,"** - ამ ფრაზით დაიწყო თავისი საუბარი ევგენი კირილოვმა, რომელმაც დაბეჯითებით მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, რაც შეიძლება უმოკლეს ვადაში მოხდეს შეთანხმება საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ თუ საქართველოში არჩევნები დემოკრატიულად არ ჩატარდა, ევროსაბჭო ასეთ ქვეყანას არანაირ შეღავათს არ გაუწევს. **"საქართველო არის სუვერენული ქვეყანა, ამიტომ ნურავინ დაელოდება იმას, რომ არჩევნებს ჩაატარებს ევროსაბჭო ან ეუთო,"** - აცხადებს კირილოვი და ყველას გამარჯვებას უსურვებს.

საბოლოო პასუხისმგებლობას ექსპერტები ხელისუფლებას აკისრებენ, მაგრამ იქვე აღნიშნავენ, რომ გარკვეული პასუხისმგებლობა ოპოზიციასაც ეკისრება.

სამ ივნისს პარლამენტის წინ ოპოზიციურ ძალთა მიერ გამართულ აქციას, ევროსაბჭოს წევრები დემოკრატიულობის მანიშნებლად მიიჩნევენ და აღნიშნავენ, რომ ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ასეთი მანიფესტაციები არის ლეგიტიმური. მათ მიუღებლად მიაჩნიათ ხელისუფლების მხრიდან ასეთი ფაქტების მიმართ წინააღმდეგობის გამოხატვა და აცხადებენ, რომ ასეთ შემთხვევაში, ისინი იძულებულნი გახდებიან, საქართველო არადემოკრატიულ ქვეყნად გამოაცხადონ.

**"მე არ შემიძლია გამოვრიცხო ალბათობა იმისა, რომ საქართველო შეიძლება გაირიცხოს ევროსაბჭოდან და იმისათვის, რომ ქვეყანა ამ საშიშროების წინაშე არ დადგეს, უნდა გამოიყენოს ბოლო შანსი - არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება,"** -თქვა საუბრის ბოლოს ევგენი კირილოვმა.

## პრეზიდენტის პრესმდივანი უარყოფს

*საქართველოს პრეზიდენტის პრესმდივანი კახა იმნაძე უარყოფს ინფორმაციას, რომლის თანახმადაც აშშ-მ საქართველო იმ ქვეყანათა სიაში შეიტანა, რომლებიც ტერორიზმს მფარველობენ.*

ვერიკო თევზაძე

**"ა.წ. 3 ივნისს ტელეკომპანია "რუსთავი-2"-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ერთ-ერთმა კერძო ანალიტიკურმა ცენტრმა - საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭომ, საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ, რუსეთსა და საუდის არაბეთში აშშ-ს საელჩოების მიერ გაკეთებული "ორაზროვანი განცხადებების" შემდეგ, საქართველოს მიანიჭა სტატუსი ქვეყნისა, რომელიც ტერორისტულ ორგანიზაციებს მფარველობს. საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭო წარმოადგენს ერთ-ერთ კერძო ანალიტიკურ ორგანიზაციას, რომელსაც ამა თუ იმ ქვეყნისთვის სტატუსის მინიჭების ოფიციალური უფლებამოსილება არ გააჩნია. თავად ანალიტიკური ცენტრის ვებ-გვერდის ავტორი აცხადებს, რომ ნიუ-იორკში (და არა ვაშინგტონში, როგორც გავრცელებულ ინფორმაციაში იყო აღნიშნული. ვაშინგტონში ფუნქციონირებს ცენტრის ერთ-ერთი პროგრამა, რომელსაც, თავად ორგანიზაციის მტკიცებით, შეხება არ აქვს ტერორიზმის შესახებ ვებ-გვერდთან) განლაგებული ამერიკული არასამთავრობო კვლევითი ცენტრი დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციაა და სახელისუფლებო წრეებთან არ ასოცირდება,"** - განაცხადა გუშინ იმნაძემ საგანგებოდ მოწყობილ პრესკონფერენციაზე. მისივე თქმით, საქართველოს პრეზიდენტის დავალებით, ამ საკითხთან დაკავშირებული ყველანაირი ინფორმაცია საქართველოს საელჩომ ვაშინგტონში გადაამოწმა.

პრეზიდენტის პრესმდივნის მტკიცებით, "რუსთავი 2-ის" მიერ გავრცელებული ინფორმაცია, უბრალოდ, მოძველებულია. **"ამაზე მეტყველებს თანდართული წყაროები. უკანასკნელი წყაროები თარიღდება 2002 წლის მარტით. ვებ-გვერდის ავტორის განცხადებით, აღნიშნული ინფორმაცია არ განახლებულა ბოლო ხუთი თვის განმავლობაში. იგი მზად არის, მსგავსი რამ ტელეკომპანიის წარმომადგენლებსაც დაუდასტუროს."**

კახა იმნაძე ასევე აპროტესტებს რუსულ მედიაში გავრცელებულ აზრს, შეერთებული შტატების მიერ ირანის წინააღმდეგ შესაძლო თავდასხმის და ამ ოპერაციაში ქართული ბაზების გამოყენების შესახებ.

## მოკლედ

**თბილისი.** დღეს თბილისში ჩამოვა ამერიკის ადმინისტრაციის მრჩეველი კასპიის ენერგორესურსების საკითხებში სტივენ მანი და საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს შეხვდება. ამერიკელი დიპლომატი აპირებს გაარკვიოს, შეიცვალა თუ არა საქართველოს ხელმძღვანელობამ პოზიცია, და თუ არა, მაშინ რატომ წამოიწყო ქართულმა მხარემ გაზის რუსულ გიგანტთან ხანგრძლივი ენერგოპროექტები. **"24 საათი"**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის აპარატის უფროსმა, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა გიორგი არველაძემ კომენტარი გააკეთა პრეზიდენტის დღევანდელ განცხადებაზე, რომელიც ოპოზიციის მიერ გამართული მიტინგის კანონიერებას შეეხებოდა; „შევახსენებ პრეზიდენტს, რომ თბილისის საკრებულომ გასცა სანქცია ამ დემონსტრაციის ჩასატარებლად. გადაწყვეტილება საკრებულომ ერთხმად მიიღო“, - აცხადებს არველაძე. მისივე თქმით, აქციის შესაძლო გამართვის შესახებ განცხადება ხუთი დღით ადრე შევიდა საკრებულოში, რაც გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახელისუფლებო ბლოკი "ახალი საქართველოსთვის" სამშაბათს ოპოზიციის მიერ ინიცირებულ მიტინგს, ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნის სურვილით მოწყობილს უწოდებს და მოსალოდნელი საშიშროების თავიდან ასაცილებლად ბრძოლას იწყებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელ პირთა გადადგომის მოთხოვნით, "იმელის" შენობასთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტების საპროტესტო აქცია დაიწყო. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ევროსაბჭოს პოზიცია აშკარად შერბილებულია, საქართველოს ევროსაბჭოდან გარიცხვის საკითხი დღის წესრიგში არ დგას და, ჯერჯერობით, ქვეყანას არც ევროსაბჭოს სანქციები ემუქრება". ამის შესახებ დღეს "ინტერ-პრესს" საპარლამენტო ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" წარმომადგენელმა არმაზ ახვლედიანმა განუცხადა. **ინტერ-პრესი**

## ქართველი სამხედროების მორიგი როტაცია ბალკანეთზე

პირველი გვერდიდან

აქამდე, ძირითადად, თურქეთის ფინანსური დახმარებით ხორციელდება. ამ დახმარებაში იგულისხმება ქართველი სამხედროების საჰაერო ტრანსპორტირება ყველა როტაციის დროს, ადგილზე მათი სრული სახით უზრუნველყოფა (დანახარჯი მხოლოდ სამჯერად კვებაზე ყოველთვიურად, თითოეულ ჯარისკაცზე, 180 დოლარს შეადგენს, გარდა ამისა - სამოსითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფა და ყოველმხრივ კეთილმოწყობილი ორსართულიანი სახლი სოფელ მამუშში).

ამას ემატება დღიური ჯიბის ფული, რაც ჯარისკაცებზე 5, ხოლო ოფიცრებზე - 26 დოლარს შეადგენს. მეტი სიზუსტისთვის დავძენთ, რომ დაახლოებით ამავე ოდენობის თანხას ღებულობენ ქართველი მშვიდობისდამცველები საქართველოს ხელისუფლებისაგან. განსხვავება იმაშია, რომ საქართველოს ხელისუფლებამ რამდენჯერმე ამ უმნიშვნელო ფინანსური ვალდებულების შესრულება ვერ მოახერხა, რის გამოც საქმე სერიოზულ სკანდალამდეც კი მივიდა.

მიუხედავად ამისა, გერმანული პასუხისმგებლობის ზონაში და თურქული ბატალიონის შემადგენლობაში მოქმედი ქართული ოცეული თვითმყოფადი სამხედრო კონტინგენტია და სადაც იგი საბრძოლო მოვალეობას ასრულებს, ქართული დროშაც ფრიალებს. ეს ადგილი კი უპირატესად კოსოვოს სიდიდით მეორე ქალაქი პრიზრენი და ეთნიკური თურქებით დსახალებული სოფელი მამუშია, სადაც "გურჯებს" დიდიან-პატარიანად შინაურად თვლიან. ასეთი კარგი ურთიერთობები სულაც არ უშლის ხელს ქართველ სამხედროებს საგანგებო ვითარების ყველა წესებით იმოქმედონ საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე.

კოსოვოში ყოფნის ოთხი წლის განმავლობაში ქართველი მშვიდობისმყოფელები მონაწილეობდნენ იარაღის ამოღების ოპერაციაში, მოძრავი პოსტების ორგანიზებასა და მაღალი რანგის სახელმწიფო პირების, მათ შორის თურქეთის ყოფილი პრეზიდენტის სულეიმან დემირელის თანხლებაში. და მიუხედავად იმისა, რომ ქართული



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*მამა მშვიდობის დასაცავად მიემგზავრება.*

ოცეული სიდიდით ჯერჯერობით ყველაზე მცირეა, მისი მოღვაწეობა ევროპის ყველაზე კონფლიქტურ ტერიტორიაზე, ნატო-ს სარდლობის მხრიდან არაერთი მადლობითა და სიგელით აღინიშნა.

ქართული კონტინგენტის მაღალი საბრძოლო მზადყოფნის შესახებ, გასული წლის 20 აგვისტოს საქართველოში მყოფმა ნატო-ს გაერთიანებული ევროპული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილემ, გერმანელმა გენერალმა დიტერ შტოკმანმაც ისაუბრა.

გერმანიისა და საქართველოს სამხედრო უწყებებს შორის ამა წლის 5 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულებით გადაწყდა, რომ ქართული ასეული ოთხკვირიან მომზადებას ჩრდილოეთ გერმანიაში გაივლიდა და იქიდან გაემგზავრებოდა კოსოვოს ქალაქ პრეზრენში, სადაც გერმანული ბრიგადის შტაბია განლაგებული.

ბალკანეთზე სამშვიდობო მისიის გაფართოების აუცილებლობას, საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობა ამ ნატო-ს წინაშე ნაკისრ ვალდებულებას უკავშირებს.

**"ასეული მთლიანად დაკომპლექტებულია საკონტრაქტო სამსახურის ჯარისკაცებისგან და ეს წარმოადგენს ბირთვს იმ მომავალი სამშვიდობო ბატალიონისა, რომლის შექმნაც ჩვენ ვივალდებულეთ PARP** (ნატოს პარტნიორობის დაგეგმარებისა და მიმოხილვის პროცესი - კ.ლ.) **პროგრამის თანახმად. ესაა პირველი ასეული. ახლა ყალიბდება ბატალიონის მმართველობა, ივნისში დაიწყება მეორე ასეულის ფორმირება და სექტემბერში ჩამოყალიბდება მესამე სამშვიდობო ასეული,"** - აღნიშნა ჯონი ფირცხალაიშვილმა.

კოსოვოში საქართველოს უკვე 180 -კაციანი ქვედანაყოფი ჰყავს და, პარალელურად, სერიოზული ორგანიზაციული ღონისძიებები ტარდება წლის ბოლომდე სამშვიდობო ბატალიონის ფორმირებისთვის. ეს ფაქტი იმედს იძლევა, რომ შეუსრულებელ "პარტნიორობის მიზნებს" საქართველო ერთით მაინც შეამცირებს.

და რაც მთავარია: აღნიშნული ასეული ექვსთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, კოსოვოში მიღებულ მნიშვნელოვან სამშვიდობო გამოცდილებას საქართველოს კონფლიქტების მოწესრიგების პროცესს მოახმარს. კონტრაქტის თანახმად გადაწყვეტილია, რომ როტაციის შემდეგ, ასეული სამშვიდობო მისიას ცხინვალის ზონაში განლაგებული ქართული ბატალიონის შემადგენლობაში გააგრძელებს. სამხედრო ექსპერტების აზრით, ამით წერტილი უნდა დაესვას იმ პარადოქსულ ვითარებას, როცა ქვეყანა ვერ ახდენდა სამშვიდობო გამოცდილების აკუმულირებას და საკუთრივ საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებში პროფესიონალი ქართველი მშვიდობისდამცველები მეორეხარისხოვან როლს სჯერდებოდნენ.

## ცესკო-ს საკითხი და "აღორძინების" "ბრძნობათა იმპერია"

პირველი გვერდიდან

პროვინციებში კი, როგორც წესი, სახელისუფლებო გუნდი იმარჯვებს. ეს ტენდენცია გასული წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროსაც კიდევ ერთხელ დადასტურდა. ამიტომ, ალბათ, სწორად მოიქცა ოპოზიცია, როდესაც ცესკო-ს საკითხის გარშემო თბილისში უშედეგო ბრძოლას, პერიფერიებიდან ხელისუფლებისთვის ზურგში დანის ჩარტყმა ამჯობინა. მართლაც, თუ მმართველმა ძალამ გავლენა რეგიონებშიც დაკარგა, მარტო ცესკო-ს შენარჩუნება საქმეს ველარ უშველის. ცხადია, ერთჯერადი გასვლებითა და ანტისამთავრობო აქციებით ოპოზიცია პროვინციებს ვერ "დაიპყრობს". ამისთვის ძლიერი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები და ყოველდღიური შრომაა საჭირო. მაგრამ ისიც ნათელია, რომ ოდესმე საქმე მკვდარი წერტილიდან უნდა დაიძრას. ამიტომ, ჩავთვალოთ, რომ ოპოზიცია ძნელ აღმართს გუშინდელი დღიდან შეუდგა.

როგორც კი ოპონენტები შორს დაიგულეს, სახელისუფლებო ძალები პარლამენტში ოპოზიციის განქიქებას მეტი გაბედულებით შეუდგნენ. ისე, "აღორძინება" რომის პაპზე მეტად კათოლიკე გამოდგა - ოპოზიციის კრიტიკაში მან პროსამთავრობო ფრაქციებს ბევრად აჯობა.

**"გუშინდელი კრახის შემდეგ** (იგულისხმებოდა 3 ივნისის საპროტესტო აქცია), **ოპოზიციას გონს მოსვლა გაუჭირდა და პარლამენტის დღევანდელ სხდომაზე ამიტომ ვერ მოვიდა,"** - ბედნიერებას ასხივებდა სანდრო ბრეგაძე.

**"3 ივნისს ნამდვილი ოპოზიცია ქუჩაში არ გასულა. ქუჩაში ჩვენ მხოლოდ მაშინ გავალთ, როდესაც დავრწმუნდებით(?), რომ ხელისუფლებას დემოკრატიული არჩევნების ჩატარება არ სურს,"** - თავი გამოიდო რევაზ მიშველაძემაც.

აქ საინტერესოა ერთი გარემოება: როდესაც ოპოზიციის ("გაერთიანებული დემოკრატების", "ახალი მემარჯვენეების", "ნაციონალების") და ხელისუფლების მოსაზრებები რაღაც საკითხში ერთმანეთს ემთხვევა, ფრაქცია "აღორძინების" თავმჯდომარე ჯემალ გოგიტიძე განგაშს ტეხს ხოლმე - არიქა, ძველი და ახალი "მოქკავშირელები" ისევ ერთიანდებიანო. არადა, რაც დრო გადის, ხშირად სწორედ "აღორძინებისა" და ხელისუფლების მხარდამჭერი ძალების პოზიციები ემთხვევა ერთმანეთს. ასე იყო ბოლო დღეებში, როდესაც ცესკო-ს გაუქმების საკითხი წყდებოდა. ასე მოხდა გუშინაც, როცა პარლამენტის სხდომათა დარბაზში, სახელისუფლებო ფრაქციების გარდა, მხოლოდ ბათუმური ალიანსის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. ისე, ისიც გაუგებარია, რაში გამოიხატება "აღორძინების" ოპოზიციონერობა. ეტყობა, მხოლოდ შევარდნაძის ლანძღვა-გინებაში და მისი იმპიჩმენტის მოთხოვნაში, რისი განხორციელებაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ხოლო, როდესაც ცესკო-ს გაუქმებით, პროშევარდნაძისტული ბანაკის რეალურად დასუსტებაზე უნდა მიმდგარიყო საქმე, "აღორძინებამ" მმართველ ძალას სწორედ მაშინ გაუწოდა დახმარების ხელი. რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტის ლანძღვას, შეგახსენებთ, რომ "აღორძინება" 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდეც არანაკლებად "ამკობდა" ედუარდ შევარდნაძეს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ასლან აბაშიძემ თავისი კანდიდატურა სწორედ მის სასარგებლოდ მოხსნა. ამიტომ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ისტორია ამჯერადაც ფარსად განმეორდება, ანუ "აღორძინება" თანდათან მოამწიფებს სიტუაციას, როდესაც სახელისუფლებო პოზიციაზე მისი გადასვლა საკუთარი "მრწამსის დაუთმობლად" უნდა მოხდეს.

დღეს კი "აღორძინება" იმითაც კმაყოფილი და ბედნიერია, რომ ოპოზიციის 3 ივნისის აქციამ დასახულ მიზანს ვერ მიაღწია და ხელისუფლებას თავიდან თმის ერთი ღერიც არ ჩამოვარდნია. ამასთან, ბათუმური ალიანსის ლიდერები ყველას - საზოგადოებას, პოლიტიკოსებს, მასმედიას - კატეგორიული ტონით "ეხვეწებიან", რომ ჭეშმარიტ ოპოზიციად მხოლოდ "აღორძინება" მოიხსენიონ. ასეთი "ულტიმატუმი" სანდრო ბრეგაძემ საქართველოს პარლამენტში გუშინაც გააჟღერა. ისე, "აღორძინების" კატეგორიულობა ცოტა გაუგებარია: ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის შეფასება მისი საქმიანობის გათვალისწინებით უნდა ხდებოდეს და არა მისივე შეკვეთის მიხედვით.

## "ნაციონალებს" ვანის გზა გადაუკეტეს

ბექა სისაური

*ვანიდან*

გორის მოვლენების შემდეგ, "ნაციონალური მოძრაობა" ყველასათვის მოულოდნელ წინააღმდეგობას ვანში წააწყდა. ვანი იმერეთში ყველაზე პოლიტიზებულ რაიონად ითვლება და იგი პარლამენტის ორი დეპუტატის: მელორ ტყეშელაშვილისა და ბეჟან ხურციძის "საჭიდაო არენადაა" გადაქცეული. მოსახლეობის შესაბამისი სიმპატიებიც ორ ნაწილადაა გაყოფილი. ამ ეტაპზე გამარჯვება ტყეშელაშვილის მხარესაა. არსებულ ვითარებაში, "ნაციონალებისთვის" გზის გადაკეტვა რა მიზანს ემსახურებოდა, ბოლომდე გაურკვეველი დარჩა.

სავარაუდოდ, დავითაშვილს მიანიშნეს, რომ ვანს ტყეშელაშვილები აკონტროლებენ და "ნაციონალებს" იქ არაფერი ესაქმებოდათ. ამიტომაც მოვლენები, რომლებიც გუშინ ვანში განვითარდა, უფრო ტრაგიკომიკურ ხასიათს ატარებდა.

ქვეყნისთვის, ალბათ, ტრაგიკულად უნდა გამოიყურებოდეს ფაქტი, როდესაც 21-ე საუკუნის დასაწყისში, გამგებელი და პოლიციის უფროსი ფეოდალებივით იქცევიან და თავს უფლებას აძლევენ, რაიონში მათთვის არასასურველი პირები არ გააჭაჭანონ; უფრო მეტიც, კვერცხებიც კი დაუშინონ. თუმცა, აღნიშნული სცენარის უნიჭო განხორციელება უფრო კომედიას წააგავდა. რომ არა ვანის გამგებლის აუხსნელი თავდადება, კობა დავითაშვილის ვანში ვიზიტი ერთი ჩვეულებრივი, არაფრით გამორჩეული მოვლენა იქნებოდა.

თუკი მოვლენების მსვლელობას თანამიმდევრობით მივყვებით, "ნაციონალებისთვის" ვანის გზაზე პირველი ბარიერი საგზაო პოლიციელის - ფუტკარაძის სახით აღიმართა, რომელმაც დავითაშვილის ავტომობილი გააჩერა. ფუტკარაძემ თავი იმართლა - უმიზეზოდ იმიტომ გაგაჩერე, რეიდია, ბატონოო. მაგრამ, დავითაშვილს გზის გაგრძელება რომც მოენდომებინა, ვერ შეძლებდა, რადგანაც პოლიციელის უკან მილებით დატვირთული ტრაილერით გზა გადაკეტილი გახლდათ. დავითაშვილის განმარტებით, ამავე პერიოდში მათ ირგვლივ მელორ ტყეშელაშვილის ნათესავებმა და აქტივისტებმა მოიყარეს თავი.



*ვანისკენ მიმავალ კობა დავითაშვილს გზა სატვირთო მანქანებით გადაუკეტეს.*

**"ვანის შესასვლელში გზა, მელორ ტყეშელაშვილის დავალებით, მისმა ძმამ - კარლო ტყეშელაშვილმა და მისივე ნათესავებმა გადაკეტეს. კარლო ტყეშელაშვილის უშუალო დაქვემდებარებაში და მორჩილებაში გახლდათ ვანის გამგებელი, ვინმე ბელთაძე და პოლიციის მთელი შემადგენლობა. მოყვანილი ჰყავდათ ნასვამი ხალხი, რომელთაც ფული ჰქონდათ აღებული. ეს ხალხი გადამიდგა წინ და, ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევით, რაიონში არ შემიშვა. რაც მთავარია, იგივე გააკეთეს პოლიციის თანამშრომლებმაც,"** - აცხადებს დავითაშვილი. წინააღმდეგობის შედეგად, "ნაციონალები" იძულებულნი გახდნენ, უკან გამობრუნებულიყვნენ და ქართული ანდაზის - "ხერხი სჯობია ღონესა"-ს – თანახმად, დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ როგორ შეპარულიყვნენ რაიონულ ცენტრში, სადაც მათ ხუთასამდე ვანელი მხარდამჭერი ელოდათ. საბოლოოდ, დავითაშვილი ვანში ბაღდათის გზით "შეიპარა". ასე გაიკვლია გზა დავითაშვილმა მხარდამჭერ ვანელებამდე, რომელთაც, თავის მხრივ, ხიდი ჰქონდათ გადაკეტილი და გამგებელს გამგეობაში არ უშვებდნენ.

**"აქცია შედგა, პენსიონერებს მათი უფლებები ავუხსენით. ამ დროს ტყეშელაშვილის ძმამ და კულტურის განყოფილების გამგემ კვერცხების სროლა დაგვიწყეს. რა კულტურის განყოფილების გამგე უნდა ჰყავდეს რაიონს, რომ ასეთი ქმედება ჩაიდინოს? ჩემდა სამწუხაროდ, უნდა გითხრათ, რომ იგი ქალია... გზის გადაკეტვის უშუალო მონაწილე იყო გამგებელი ბელთაძე. მაგრამ ის არ მართავდა აქციას. იგი უშუალო დაქვემდებარებაში იყო ტყეშელაშვილის კლანის მიმართ და მისი ძმის კარლოს ბრძანებებს ასრულებდა,"** - განმარტავს დავითაშვილი.

ცნობისათვის, კარლო ტყეშელაშვილი ვანის ერთ-ერთი სოფლის - ბზვანის გამგებელია. დავითაშვილის განმარტებით კი, "ნაციონალებისათვის" გზის გადაკეტვის გადაწყვეტილება მელორ ტყეშელაშვილმა სამი დღის წინ მიიღო და ამის შესახებ პარლამენტის ტრიბუნიდანაც განაცხადა.

**"პოლიციის უფროსი, ბატონი დვალიშვილი და პიკეტზე მყოფი პოლიციელები, ხელისუფლების ბოროტად გამოყენებისათვის დაუყოვნებლივ უნდა იქნან თანამდებობიდან გათავისუფლებულნი და მიეცნენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ეს არის ჩემი კატეგორიული მოთხოვნა გენერალური პროკურატურის მიმართ. იმერეთის გუბერნატორს შაშიაშვილს კი ვთხოვ, რომ ვანის გამგებელი გათავისუფლებულ იქნას დაკავებული თანამდებობიდან. დღეს ის იქცეოდა, როგორც კლანის წევრი, ამ შემთხვევაში კი, გამგებლობა მისი საქმე არ არის. ასეთი ფაქტები მხოლოდ ჩოლოკში მინახავს, რასაც გუბერნატორი შაშიაშვილი მკაცრად აკრიტიკებდა,"** - აცხადებდა გუშინ გაგულისებული დავითაშვილი.

ვანის გამგებელ ბელთაძესთან კი გუშინ სატელეფონო კავშირი არ მყარდებოდა. რაც შეეხება შაშიაშვილს, იგი აღნიშნული ფაქტის შესწავლას აპირებს. მისი განმარტებით, თუკი აქცია სახელისუფლებო ბლოკის ორგანიზებული აღმოჩნდა, მაშინ ფაქტით პროკურატურა დაინტერესდება. ხოლო, თუკი საქმეში ბელთაძის ბრალეულობა გამოიკვეთა, შაშიაშვილი მისი თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხის დაყენებას პრეზიდენტთან აპირებს.

აღსანიშნავია, რომ ვანში "ნაციონალებს" ძლიერი ორგანიზაცია არ გააჩნიათ და აქამდე ვერც მხარდამჭერთა სიმრავლით დაიკვეხნიდნენ. ვანში მათი პარტიული ოფისი ერთი თვეა, რაც გაიხსნა და, რომ არა აღნიშნული აქცია, ვანელ "ნაციონალებს" ხალხში ავტორიტეტის მოსაპოვებლად უფრო მეტი გარჯა დასჭირდებოდათ.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს

პირველი გვერდიდან

რატომ? რისთვის? ნუთუ მხოლოდ იმის გამო, რომ რომელიღაც თქვენმა გონებაშეზღუდულმა ხელქვეითმა (ის, ხომ არ გეჩვენებათ, რომ თქვენს კარზე ასეთების მეტი აღარავინ დარჩა?) გიჩურჩულა, "საერთაშორისოები" შავბნელ ძალებს აფინანსებენო? ბოლოს და ბოლოს, თქვენ ხომ კარიერის უდიდესი ნაწილი სამართალდამცავ სისტემას შესწირეთ და ის მაინც იცით, რომ ბრალდებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა და ფასი, როცა მას შესაბამისი დოკუმენტი ადასტურებს. და რა დოკუმენტი გაქვთ, რომელიც ადასტურებს, რომ ჯორჯ სოროსი ანტისახელმწიფოებრივად განწყობილ ჯგუფებს აფინანსებს? ბევრს რომ აფინანსებს, ფაქტია; მაგალითად, ანტისახელმწიფოებრივად განწყობილი, თქვენი ნება მესიერად აღსრულებადია: როგორც გაამინისტრეთ, ისეც მოხსენით, ვინ დაგიშალოთ?

ადამიანურად მესმის თქვენი: სოროსს თქვენი შვილობილი "ახალი საქართველოსთვის" რომ დაეფინანსებინა, ალბათ, გაცილებით მეტად გესიამოვნებოდათ. მეტიც: ეჭვიც არ მეპარება, რომ მისთვის თქვენი [illegible] არ დაინტერესებულა. [illegible]

ის უპირველესად ბიზნესმენია. აბსოლუტურად გეთანხმებით, რომ ბევრისგან განსხვავებული ბიზნესმენია. მაგალითად, სოროსი კარდინალურად განსხვავდება თქვენი ნათესავი ბიზნესმენებისგან, რომლებმაც ძირითად ბიზნესად სახელმწიფო ქონების გაძარცვა აქციეს. [illegible]

ნუთუ ამის გამო უნდა უუხროთ სოროსს, რომ საქართველოში ვეღარ იქნება? და ვის ბაძავთ ამით? რუსეთს და უკრაინას, ბრძანეთ. არ დაიჯეროთ - სოროსი ორივეგან არის და თუ შეზღუდა საქმიანობა, არა იმიტომ, რომ კუჩმამ ან პუტინმა თვალები დაუბრიალეს. რაც შეეხება ქვეყნებს, სადაც სოროსი ნამდვილად არ არის, ეს რესპუბლიკა ბელარუსი გახლავთ, სადაც თქვენი მოძმე-კოლეგა ალექსანდრ ლუკაშენკო ზეობს. და იცით, რას მიაღწია ასეთი ღვთისმოშიში? უმარტივეს რამეს: ქვეყანა სრულ იზოლაციაშია, რასაც მთელი მისი ქვეყანა ზღავს. დასავლეთიდან ბელარუსისკენ აღარავინ იყურება, სამაგიეროდ რუსი ბიზნესის ფონდებით, აშკარა ცინიზმით და სიტყვის ბატონ-პატრონობის პრეტენზიით: როცა უნდა, მაშინ ხსნის და კეტავს "ბელტრანსგაზის" ონკანს და მთელ სახელმწიფოს თავის ჭკუაზე ატარებს. თქვენც ეს გზა ხომ არ მოგეწონათ? ფაქტია, რომ სიმპტომები იგივეა: ჯერ "გაზპრომს" მთელ ქართულ გაზის ინფრასტრუქტურას შეჰპირდით, ახლა სოროსიც შეგძულდათ...



ეს ფოტო მესამედ იბეჭდება, რადგან კვლავაც გასარკვევია, შემთხვევით სხედან გვერდი-გვერდ შევარდნაძე და ლუკაშენკო?

არადა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, რას ერჩით ამ საერთაშორისო ორგანიზაციებს? ის ხომ მაინც შესანიშნავად იცით, რომ თქვენს თიხისფეხება ხელისუფლებას სწორედ მათი დონორობით უდგას სული? ნუთუ ეს ტოტიც გინდათ მოხერხოთ? ნება თქვენი მუდამ მაღალია, მაგრამ იქნებ გაიხსენოთ, რომ ამ ტოტზე თქვენს გარდა მთელი საქართველოც ზის და კიდევ ერთ დანარცხებას ან გაუძლებს, ან არა.

ან ეს სოროსი რას აითვალწუნეთ? წლების მანძილზე თქვენს დასაფინანსებელ მეცნიერებას აფინანსებს, პარალელურად - ქართულ მედიას და არასამთავრობო სექტორს უმართავს ხელს. ცოტაა? კიდევ ინებეთ: ქართული საბანკო საქმის ლიდერის - "თი-ბი-სი ბანკის" თანამფლობელიც გახდა, რითიც უდავოდ გაზარდა მისი ავტორიტეტულობა და სანდოობა. არ გეჩვენებათ, რომ ერთი კაცისთვის სავსებით საკმარისია?

მესმის, რომ ძალიან რთულია, ამ ასაკში კაცი გამოიცვალო. ბოლოს და ბოლოს, სულაც არ არის გასაკვირი, რომ საბჭოთა მილიციის გენერლისთვის უცხო იყოს სოროსის მიერ ასე ძალუმად პროპაგანდირებული ღია საზოგადოების ინსტიტუტი. მაგრამ მოდით, აქ თქვენთვის, ცოტა არ იყოს, მტკივნეული, მაგრამ მაინც გარდაუვალი საკითხი ვახსენოთ: ყველა მმართველობას, მათ შორის თქვენსასაც, აქვს დასასრული. როგორც ერთი ფრანგი პოლიტოლოგი ამბობდა მიტერანზე, თუ ქვეყნის მოსახლეობა არა, ღმერთი მაინც იზამს თავისას. იქნებ ამის გათვალისწინებით, მომავალი თაობები კიდევ უფრო მეტად არ გაწიროთ და დახურული საზოგადოება არ დაუტოვოთ მემკვიდრეობად. კადნიერებისთვის ბოდიშის მოხდით შეგახსენებთ, რომ თქვენ პოლიტიკური არსებობის ორი პარასკევიღა დაგრჩათ და იქნებ აღარც ცოდვა დაიმძიმოთ და აღარც ამ ორი პარასკევის ხელოვნურად შემცირების სურვილი გაამძაფროთ.

მართალი გითხრათ, არ ვარ დარწმუნებული, რომ ჩემი ხმა თქვენამდე მოაღწევს. სამაგიეროდ, თქვენი სიტყვები, როგორც მოისურვეთ, უკვე "მიუტანეს იმ კაცს" - ჯორჯ სოროსს. და იცით, რა მოხდა? ისტორია განმეორდა - ერთი ძალიან სახალისო ისტორია: მწერალ ნიკა აგიაშვილს პიკასოს შემოქმედება არ ჰყვარებია. იმდენად არ ჰყვარებია, რომ კალამბურიც კი უძღვნეს:

"აგიაშვილსა ნიკასო,
არ ჰყვარებია პიკასო,
გადარეულა პიკასო,
რა დავუშავე ნიკასო?"

რაღა დაგიმალოთ და სოროსიც გადარეულა, შევარდნაძე რას მერჩისო? ბატონო პრეზიდენტო, იქნებ მოიღოთ მოწყალება და კიდევ ერთხელ აგვიხსნათ, რას ერჩით "იმ კაცს", თორემ ვერც მან და, რაღა დაგიმალოთ, ვერც ჩვენ ვერ დავადგინეთ, რატომ ამოიღეთ მიზანში ადამიანი, ვისაც მთელი მსოფლიო უწევს ანგარიშს ერთი თქვენი სულიერი მეგობრის - ალექსანდრ ლუკაშენკოს გარდა.

*ღრმა პატივისცემით,*
*საქართველოს მოქალაქე-ამომრჩეველი*
*რევაზ საყევარიშვილი*

# 3 ივნისის მანიფესტაცია - "ინციდენტი" პრეზიდენტის თვალში

*"ინციდენტი" – ასეთი შეფასება მისცა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა ოპოზიციის მიერ 3 ივნისს ორგანიზებულ საპროტესტო გამოსვლას, რითიც მაქსიმალურად შეეცადა, დაეკნინებინა ამ გამოსვლის როგორც შინაარსი, ისე შედეგი - ოპოზიციის გაერთიანების ფაქტი. ხოლო "ღირსეული ნაბიჯი", რომლის დაპირისპირებასაც საქართველოს ხელისუფლება ოპოზიციური გაერთიანებისა და სახალხო მოძრაობისთვის აპირებს, "ძალოვანი სტრუქტურების ერთი საგანგებო თავყრილობაა!"*

თამარ ხორბალაძე

**"დიდ ტრაგედიას არ წარმოადგენს ის, რაც გუშინ მოხდა, თუმცა დაუშვებელია მოქალაქეთა მიერ კანონის აშკარა დარღვევა, რომლებმაც რუსთაველის პროსპექტი გადაკეტეს,"** – ამბობს საქართველოს პრეზიდენტი და დასძენს, **"აუცილებლად მიმაჩნია, დავაფიქსირო საკუთარი აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ქუჩის აქციებს..."** – ასე გახსნა მთავრობის სხდომა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და საკუთარი აზრის "სხვათა შორის" გამოთქმას ნახევარ საათზე მეტი მოანდომა.

**"როგორი ინციდენტიც არ უნდა მოხდეს, რეფორმირების პროცესი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეჩერდეს. ეს ეხება სამართალდამცავ ორგანოებს, პროკურატურას, შსს-ს, უშიშროების სამინისტროს..."** - ზოგად რეფორმებზე "სხვათა შორის" საუბარი გააგრძელა ედუარდ შევარდნაძემ.

**"არ მინდა იმის დრამატიზება ან გაუბრალოება, რაც მოხდა, მიუხედავად იმისა, რამდენი კაცი იყო შეკრებილი – 2000 თუ 3000, რადგანაც ქვეყანას აქვს მწარე გამოცდილება..."** – განაცხადა მან, გაიხსენა დრო, როცა "იარაღის ქვეშ" წყდებოდა საკითხები, თქვა, რომ კანონის შინაარსი პარლამენტში უნდა განისაზღვროს და აქვე პირველად თქვა საკვანძო ფრაზა: **"თუ არ იქნა წესრიგი, ვერავითარი არჩევნები ვერ ჩატარდება."** სახელისუფლებო ბლოკის სტრატეგიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საფიქრებელია, რომ წესრიგში პრეზიდენტი საარჩევნო ადმინისტრაციების სასურველ შემადგენლობას გულისხმობდა (დანარჩენი - როგორც ტექსტშია).

აქვე ხალხის მოთხოვნებსაც შეეხო ედუარდ შევარდნაძე: **"ქუჩის აქციები შედეგს აღარ მოიტანს, რადგან საქართველოს მოქალაქეებს არ სურთ ახალი ქაოსი, ქუჩის აქციებიდან ქაოსამდე კი ერთი ნაბიჯია. როგორც ჩანს, აქციის ორგანიზატორებს სჯერათ, რომ ქუჩის აქციები მიზნის მიღწევის ერთადერთი გზაა, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ არის,"** - დასძინა მან და აქვე პარლამენტიც (ირიბად კი მისი თავმჯდომარე) გააფრთხილა. კერძოდ განაცხადა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა ყველა დეპუტატს უნდა მოუსმინოს – სამთავრობო იქნება თუ არასამთავრობო...

შევარდნაძე მასმედიასაც "გადასწვდა" და აღნიშნა, რომ მაუწყებელ ორგანოთა ნაწილი არაპროფესიონალებით არის დაკომპლექტებული, თუმცა **"რესურსი საკმაოდ დიდია"...**

"კონკრეტული" იყო საქართველოს პრეზიდენტი ოპოზიციის აქციის საპასუხო სახელისუფლებო რეაქციაზე საუბრისას: მან მომხდარის შესწავლა უშიშროების საბჭოს დაავალა, ძალოვანებს კი ერთი კვირა მისცა, ქვეყანაში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, საგანგებო თავყრილობის მოსამზადებლად.

მართალია, მთავრობის სხდომის შემდეგ უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ განაცხადა, რომ საუბარი, უბრალოდ, ექვსი თვის შედეგების შეჯამებაზე მიდის და "საგანგებო ზომებს" ხელისუფლება არ მიმართავს, მაგრამ ცხადია, რომ სიტყვა "საგანგებო" ამ შემთხვევაში პრეზიდენტის მიერ "საგანგებოდ" იყო ნახმარი.

**„რამდენ სკამზეც გინდათ, იმდენზე იჯექით, ოღონდ თქვენი მოვალეობა პირნათლად შეასრულეთ,"** — კატეგორიული ტონით მოსთხოვა პრეზიდენტმა სახელმწიფო უწყებათა წარმომადგენლებს.

შევარდნაძემ, **"პირადად მისი და ქართველი ხალხის სახელით",** ბოდიში მოუხადა იმ ქვეყნების მოსახლეობასა და ხელმძღვანელობას, ვის მიმართაც ოპოზიციის გუშინდელ მიტინგზე **"შეურაცხმყოფელი განცხადებები"** გაკეთდა.

**"იმ შეურაცხყოფის ატანა, რომელიც გუშინდელ მიტინგზე პირადად მე მომაყენეს, შეუძლებელია, თუმცა ამის მოთმენისთვის მზად ვარ. მაგრამ ვერ ავიტან, ვინმემ უდიერად მოიხსენიოს ქვეყნები, რომლებთანაც განსაკუთრებული მეგობრობა გვაკავშირებს. ის, თუ რა მდგომარეობაშია ესა თუ ის ქვეყანა ეკონომიკური თუ პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით, არავის მიერ მიტინგზე გასარჩევი არ არის. ჩვენ ჩვენს საქმეს მივხედოთ, ხოლო შემფასებლები ჩვენც და იმათაც მრავლად გამოუჩნდება,"** - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

საქართველოს პრეზიდენტის გუშინდელ გამოსვლას მთავრობის სხდომაზე დისკუსია აღარ მოჰყოლია, თუმცა მთავრობის ცალკეულმა წევრებმა ხელიდან არ გაუშვეს შანსი, დაეფიქსირებინათ, რომ **"აქცია უკანონო იყო..."**

თბილისის მერი უფრო შორსაც წავიდა და იმაზე ისაუბრა, რომ ბევრია მთავრობაში ორ და მეტ სკამზე მჯდომი ადამიანი, თავად კი საქართველოს პრეზიდენტის ერთგული გახლავთ...

აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლონდერ ცაავამ კი, აფხაზეთის თემით ოპოზიციის მანიპულირებას "უზნეობა" უწოდა და მათ საპროტესტო პროცესში დევნილთა ჩართვისგან თავის შეკავებისაკენ მოუწოდა.

შედარებით ზომიერი გახლდათ უშიშროების მინისტრი, რომელმაც "სახალხო მოძრაობასთან" დაკავშირებით განაცხადა, რომ **"თუ ხალხი კანონის ფარგლებში იმოძრავებს, უშიშროება ამ საკითხში არ ჩაერევა..."**

მოკლედ, გუშინ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მოსალოდნელი დიდი საფრთხის შიშმა, რომელიც სამშაბათს კანცელარიის დერეფნებში იგრძნობოდა, უკვე ჩაიარა...

# ცრემლნარევი ფარსი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

პირველი გვერდიდან

ასეა თუ ისე, გუშინ ცესკო-მ, დღევანდელი შემადგენლობით, თავისი უკანასკნელი სხდომა გამართა. დღეიდან კი მისი შემადგენლობა ასე გამოიყურება:

გია ზესაშვილი, მამუკა კოპალეიშვილი, დენის დავითაშვილი (რომელიც, ამავდროულად, "სოციალისტებისა" და მთლიანად, სახელისუფლებო ბლოკის ინტერესების ღია დამცველია), ზურაბ ციხისთავი (ყველა პარლამენტის მიერ არის დანიშნული), "მოქალაქე" შალვა ბულაშვილი, აგრეთვე "აღორძინების" ინტერესების დამცველები: გივი კომახიძე, ტარიელ გაგნიძე და მურმან გორგოშაძე, "ედეპელი" პაატა საყვარელიძე და "მრეწველი" ნოდარ ჭყონია.

გუშინ "სოციალისტი" დენის დავითაშვილი ამტკიცებდა, რომ **"სულ მალე პარლამენტი ცესკო-ს დაკომპლექტების წესს მიიღებს და დღევანდელი კომისია ისედაც საბოლოოდ დაიშლება".** მიუხედავად ამისა, ძნელი დასაჯერებელია, რომ სახელისუფლებო ძალებმა უარი თქვან იმ ცდუნებაზე, რომლის წინაშეც აღმოჩნდნენ - დღევანდელი ცესკო ხომ თითქმის მთლიანად მათ კონტროლს დაექვემდებარა. ასე რომ, სულაც არ არის გამორიცხული, სახელისუფლებო ფრაქციების სრული მობილიზებით, მთავრობამ ამ კომისიის შენარჩუნება მაინც შეძლოს.

გუშინდელ სხდომაზე ყველა გამომსვლელი ცესკო-ს იმიჯზე საუბრობდა. "ამღორძინებელ" გივი კომახიძის, "სოციალისტ" დენის დავითაშვილისა და "მრეწველ" ნოდარ ჭყონიასაგან განსხვავებით, რომლებიც ასი პროცენტით "დარწმუნებულები" იყვნენ, რომ კომისია "შეუბღალავი და გაუსვრელია" და ყველაფერი მოწინააღმდეგე პოლიტიკური ბანაკისა და მედიის ბრალია, შედარებით გულახდილი იყო კომისიის უკვე ყოფილი თავმჯდომარე ჯუმბერ ლომინაძე, რომელმაც აღიარა, რომ ცესკო-ს ბევრი შეცდომა ჰქონდა დაშვებული: ზოგი – უნებლიე, ზოგიც – შეგნებული... "**ღმერთმა ნუ ქნას, რომ შემდგომი კომისია უარესი იყოს. ყველა ჩვენი ხარვეზი და წარუმატებლობა უნდა გაითვალისწინონ. ხალხმა საბოლოოდ უნდა დაიჯეროს, რომ არჩევნები სამართლიანი იქნება. მან უნდა იცოდეს, რომ პარლამენტი წესიერი გზით მოვა," -** აცხადებდა ლომინაძე.



დენის დავითაშვილი ხელს სხვისკენ იშვერდა, მაგრამ მინდია სალუქვაძემ მას ყველა ცოდვა გაუხსნა.

სრულად "კარტები" კი მეორე აკადემიკოსმა, მინდია სალუქვაძემ გახსნა, როდესაც განაცხადა: **"ცესკო-ს სახელი გაუტყდა, მოსახლეობა ძალიან ცუდად აფასებს ჩვენს მუშაობას და რას არ გვიწოდებს. არა ვარ მიჩვეული ამას და ამიტომაც ვტოვებ ცესკო-ს. ერთ-ერთმა დეპუტატმა ყველას "ჟულიკები" გვიწოდა (იგულისხმება ჯემალ გოგიტიძე). მერე თქვა, "აღორძინების წევრებს გარდაო". ვითომ ამით ბოდიში მოიხადა. ნუთუ, იმ დეპუტატზე მეტი "ჟულიკი" მე ვარ? ეს საზოგადოებამ განსაზღვროს. მიმაჩნია, რომ სანამ პარტიების წარმომადგენლები იქნებიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ყოველთვის იქნება გაყალბება, საკითხების სპეციალურად ჩაგდება. თითქმის ყველა პარტია თავის სასარგებლოდ გაყალბების მომხრეა. არავისთან პირადული პრობლემა არ მქონია, გარდა ერთი წევრისა. მე "მაღარიჩიც" კი უნდა ვიკისრო, რომ მივდივარ, რადგან დენის დავითაშვილთან საერთო აღარაფერი მექნება. ამიერიდან აღარ მომიწევს ნერვების შლა მისი დემაგოგიური გამოსვლების გამო. სიყალბის კულმინაცია ხარაგაულის საკრებულოს არჩევნები იყო. რატომ არ უნდა ჩატარებულიყო იქ არჩევნები? იმიტომ, რომ "სოციალისტებს" ეს არ აწყობდათ. ძალიან სამწუხაროა, რომ ბევრმა თქვენგანმა "სოციალისტებს" მხარი დაუჭირა, იმიტომ, რომ თქვენს შორის გარიგება მოხდა. ასეთი გარიგება სხვა დროსაც ბევრი მომხდარა..."**

ამ ფონზე "მრეწველი" ნოდარ ჭყონიას გამოსვლა საკმაოდ უსუსური და არაფრისმთქმელი აღმოჩნდა. ჭყონია მხოლოდ იმას წუხდა, რომ პოლიტიკოსები უდანაშაულო ხალხს, ანუ ცესკო-ს ერჩიან, მას კი **"საკუთარი ღირსება სიცოცხლეს ურჩევნია..."**

გუშინდელი სხდომის ფინალი კი საკმაოდ ბანალური იყო: კენჭისყრა, რომელმაც კომისიიდან შვიდი წევრის წასვლას უკვე იურიდიული ძალა მისცა და ბოლოს - სამახსოვრო ფოტოსურათები...

# ელიტების ცირკულაცია პოსტსაბჭოთა საქართველოში

გიორგი ივანიაშვილი
*პოლიტოლოგი*

კაცობრიობის ისტორია, გარკვეულ კონტექსტში, შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ელიტების, ანუ პრივილეგირებულ ფენათა ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ამ სასტიკი და უკომპრომისო ბატალიების შედეგად, პოლიტიკურ არენაზე ჩნდებოდნენ როგორც პროგრესულად მოაზროვნე გამჭრიახი ლიდერები, ისე უნიათო ხელისუფალნი, რომელთა უმეცრებასა და დაუოკებელ ამბიციებს მსხვერპლად ეწირებოდა ერების, სახელმწიფოებისა და ცივილიზაციების ბედი.

თანამედროვე ეტაპზე, ელიტიზმის პრობლემატური საკითხების კვლევა და ანალიზი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა საქართველოსთვის, რომელიც კომუნისტური იმპერიის დაშლის შემდეგ დადგა დემოკრატიული აღმშენებლობის ისტორიული აუცილებლობის წინაშე. რატომ იქცა კორუფცია ხელისუფლების თანმდევ სენად? რამდენად აკმაყოფილებს ხელისუფლებაში მყოფ ჩინოვნიკთა კომპეტენცია და პროფესიონალიზმი სახელმწიფოებრივ მოთხოვნებს? რა ბედი ელით მცირე განვითარებად ქვეყნებს გლობალიზაციის პროცესში?

ნებისმიერ ქვეყანაში შიდა პოლიტიკურ სტაბილურობას განსაზღვრავს ელიტების ჩანაცვლება, რაც ქმნის დაღმასვლისა და აღმასვლის პროცესთა ერთობლიობას. დაღმასვლის პროცესის დროს ელიტაში მყოფ პიროვნებებს აღარ შესწევთ მართვის უნარი და, თუ საზოგადოებასაც არ გააჩნია სათანადო რესურსები მათ ჩასანაცვლებლად, ქვეყანაში იწყება პოლიტიკური კრიზისი. აღმასვლის პროცესის დროს კი, საზოგადოებაში ჩნდებიან ის ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ მართვა და მოწოდებულნი არიან ელიტაში ადგილის დასამკვიდრებლად და, თუ ეს პროცესი ჩიხში მოექცა, მოსალოდნელია რევოლუცია.

სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც შედგება განათლებული, მაღალკვალიფიციური და პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებებისაგან, მოწოდებულია არა მარტო აკონტროლოს ხელისუფლება, არამედ საკუთარი საკადრო რესურსებიც შესთავაზოს მას, რის შედეგადაც მყარდება ცირკულაციური ბალანსი. ამ დროს ელიტა არა თუ არ კარგავს თავის ფუნქციასა და დანიშნულებას, არამედ მისი ნდობისა და რეპუტაციის ხარისხი თვისობრივად იზრდება, ვინაიდან პერმანენტულად ხდება მისი შევსება საზოგადოების წიაღში აღმოცენებული მაღალი ტალანტისა და პასუხისმგებლობის მქონე პიროვნებებით.

გარდამავალი დემოკრატიის მქონე პოსტსაბჭოთა ქვეყნებს განსაკუთრებით ესაჭიროებათ ახალი სტრატეგიებისა და კონცეფციების შემუშავება სახელმწიფო მართვისა და პოლიტიკური მენეჯმენტის სფეროში, რათა ალღო აუღონ გლობალიზაციის გამოწვევებს, ხელი შეუწყონ დეცენტრალიზების პროცესს, საზოგადოების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდას საზოგადოების წინაშე.

ის, რომ ლიბერალურ დემოკრატიებში საყოველთაოდ აღიარებული ნორმები და კრიტერიუმები პოსტსაბჭოთა საქართველოში კარგავენ თავიანთ ლიბერალურ შინაარსს, განპირობებულია ხელისუფლების გენეტიკური კავშირით კომუნისტურ ნომენკლატურულ მმართველობასთან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოხდა ტოტალიტარული "ელიტის" (უფრო მართებული იქნებოდა, თუ მათ უმრავლესობას ფსევდო ელიტას ვუწოდებდით), კომუნისტი და კომკავშირელი ფუნქციონირების უდიდესი ნაწილის ინტეგრირება ახალ სტრუქტურებსა და იერარქიებში, რაც მნიშვნელოვნად განაპირობა ედუარდ შევარდნაძის ფაქტორმა, რომელსაც ეროვნულ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დასაყრდენად ერთგული ჩინოვნიკები სჭირდებოდა. ამას, აგრეთვე, ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ საქართველო აღმოჩნდა თანამედროვე ტიპის პოლიტიკური მენეჯმენტისა და დემოკრატიულ ლიდერთა ახალი კადრების დეფიციტის წინაშე. ალბათ ძნელად თუ მოიძებნება ისეთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა, რომლის სახელისუფლებო იერარქიაში ესოდენ დიდი დოზით ყოფილიყო წარმოდგენილი კომუნისტური ნომენკლატურა, რომელმაც შეძლო არა მარტო საკვანძო თანამდებობების დაკავება და უმაღლეს იერარქიებში ფესვების ღრმად გადგმა, არამედ მოახერხა კორუმპირებული სისტემის დანერგვა ქართულ სოციუმში.

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის პოსტსოციალისტურ ქვეყნებში, საზოგადოებამ კომუნისტური რეჟიმის დასრულებისთანავე მოახერხა ძველი ნომენკლატურული ფსევდო-ელიტების გამოაშკარავება და მათი დანაშაულებრივი მოღვაწეობის გამომზეურება, რითაც ხელი შეუწყო ახალი თანამედროვე ტიპის პოლიტიკური მენეჯმენტის დანერგვასა და დემოკრატიული რეფორმების გატარებას.

ქართულმა საზოგადოებამ უნდა მიიღოს პასუხი ერთ მარტივ კითხვაზე: თუ კომუნისტური პარტია და კომკავშირი, თავიანთი იდეოლოგიით, გამოცხადებულია დანაშაულებრივ ორგანიზაციებად, როგორ შეიძლება მათ თუნდაც ყოფილ ფუნქციონერებს ანდოს თავისი ბედი და ჩააბაროს საპასუხისმგებლო პოსტები? განვითარებული ისტორიული პროცესები გვიჩვენებს, რომ ჭეშმარიტი დემოკრატიული რეფორმებისა და ქართული სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტურად წარმართვა დამოკიდებულია ძველი საბჭოთა ნომენკლატურის ძირფესვიანად შეცვლაზე და დასავლური სტანდარტების დანერგვაზე.

გლობალიზაციამ, რომელიც თანამედროვე ტერმინოლოგიაში მე-20 საუკუნის 90-იან წლებში დამკვიდრდა, და რომელსაც მეცნიერებმა კაპიტალიზმის ტრიუმფი უწოდეს, ქარტეხილივით გადაუარა მსოფლიოს და დაიწყო ძველი სტერეოტიპების მსხვრევა. ამ პროცესში, გარდამავალი დემოკრატიის მქონე ქვეყნებმა ვერ გაუძლეს ბაზრების ზეწოლას, რის შედეგადაც კაპიტალის ტრანსნაციონალურმა დინებამ და გლობალურმა უთანასწორობამ კიდევ უფრო დაასუსტეს მათი ეკონომიკა. ცნობილი პოლიტოლოგი რობერტ კოჰეინი თავის ნაშრომში "ძალაუფლება და ურთიერთდამოკიდებულება" წერს: "ისტორიული ან კულტურული მიზეზების გამო, ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებს გააჩნიათ ისეთი სუსტი სახელისუფლებო ინსტიტუტები, რომ მათი ლიდერები უძლურნი არიან, ალღო აუღონ გლობალიზაციის ახალ შემოტევებს."

გლობალიზაცია აძლიერებს ტრანსნაციონალური კორპორაციების პოზიციებს ეროვნული სახელმწიფოს ხარჯზე. იგი ასუსტებს ეროვნული ელიტის ინსტიტუტს და აყალიბებს ახალ, გლობალურ ელიტას. ამიტომაც პოლიტიკური ელიტები ყველა ღონეს ხმარობენ, რათა საკუთარი რესურსების ინტეგრირება მოახდინონ გლობალურ სტრუქტურებში. არამდგრად დემოკრატიებში, ხელისუფლების წარმომადგენლები, რომელთაც ხელთ უპყრიათ გადაწყვეტილების მიღების ბერკეტები, ამის გაკეთებას ცდილობენ სახელმწიფო ინტერესების "პრივატიზების" ხარჯზე. უმრავლეს შემთხვევებში ისინი, სხვადასხვა გარიგებების შედეგად, საზოგადოების გვერდის ავლით, ახერხებენ თავიანთი პირადი ინტერესების ლობირებას და გარკვეული დივიდენდების მიღებას.

კორუმპირებული და არაკომპეტენტური სახელმწიფო მოხელეები იბრძვიან საკუთარი პოზიციების შესანარჩუნებლად ნებისმიერი ხერხებითა და მეთოდებით და საშუალებას არ აძლევენ თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ ნიჭიერ ადამიანებს დაიკავონ მათი ადგილი. შედეგად, სახელმწიფოს მართვის სფერო დეფიციტს განიცდის და არაეფექტური მუშაობის გამო მთავრობა უძლური ხდება გაუმკლავდეს გლობალურ პრობლემებს.

პროფესიონალი კადრების დეფიციტს განიცდიან პოლიტიკური პარტიებიც, რომლებსაც მართალია ჰყავთ პროგრესულად მოაზროვნე, გამოკვეთილი ლიდერები, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, მათ გაუჭირდებათ ეფექტური მოქმედება, თუ თავის რიგებში ორიენტაცია არ აიღეს განათლების, პროფესიონალიზმისა და სახელმწიფო მართვის საერთაშორისო სტანდარტებზე.

დემოკრატიული საზოგადოება არ არის მარტივი მექანიზმი. იგი უაღრესად რთულ სისტემას წარმოადგენს, რომლის წევრები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ინტერესებით, მისწრაფებებით, მრწამსით, ნიჭით, განათლებითა და პროფესიონალიზმით. მაღალი ტალანტისა და პიროვნული თვისებების მქონე ადამიანები ისწრაფვიან საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებისაკენ, რაც მოტივაციასა და გარკვეულ პრივილეგიებთან არის დაკავშირებული. ისინი ცირკულირებენ ელიტაში, ხოლო მათი საქმიანობა და ანგარიშვალდებულება კი, გარკვეული ხარისხით, კონტროლდება საზოგადოების მიერ. ეს არის დემოკრატიული ცხოვრების არსი და რეალობა, რომელსაც ვერსად გავექცევით. რეალური პოლიტიკური მდგომარეობა კი უნდა შეფასდეს მანამ, სანამ პროცესები შეუქცევადად იქცევიან, და გაკეთდეს სწორი ანალიზი, რათა ხელისუფლების მცდარ ნაბიჯებს არ ემსხვერპლოს მომავალი თაობების კეთილდღეობა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესები. ისტორია ხომ თავად არის შეუქცევადი; იგი ახალ შეფასებებს ელოდება.

# ქუთაისი "მუსიკალური დესტაბილიზაციის" მოლოდინში

ლელა მჭედლიძე

სამ ივნისს ოპოზიციამ, დაშლის წინ, თავის მხარდამჭერებსა და სახელისუფლებო გუნდს აღუთქვა: "მალე ჩვენ მთელ საქართველოს მოვედებით". დანაპირების ასრულება ოპოზიციამ ქუთაისიდან გადაწყვიტა.

დღეს ორი საათისთვის, ქუთაისში "დემოკრატები", "ნაციონალები" და "ახლები" პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით აქციის გამართვას გეგმავენ. გუშინ, საამისოდ ნიადაგის შესამზადებლად, ამ პარტიის ლიდერებს შორის, თითქმის მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა კონსულტაციები. სავარაუდო ადგილისა და დროის გარდა, ბევრი არაფერი გარკვეულა. საპროტესტო აქციის დეტალები უკვე იმ გარემოებებზეა დამოკიდებული, რაც პარტიებს ადგილზე დახვდებათ. თუ მზიანი დარი იქნა, ოპოზიციის ლიდერები ქუთაისის თეატრის წინ გამართავენ აქციას. ავდრის შემთხვევაში, თავად თეატრის შენობაში გამაგრდებიან. ქუთაისში სამივე პარტიის ლიდერი ჩავა. ამოუდგებიან თუ არა მათ გვერდში ის პარტიები, ვინც მონაწილეობდა ე.წ. მუსიკალურ დესტაბილიზაციაში? რამდენადაც ცნობილია, გუშინდელი კონსულტაციები სამი პარტიის მეთაურს შორის დახურულ კარს მიღმა, ამ პარტიების ლიდერების გარეშე ჩატარდა.

სახალხო პარტიის ლიდერის, მამუკა გიორგაძის განცხადებით, "იგი მოვლენების საქმის კურსში სატელეფონო საუბრებით ჩააყენეს. ამდენად, აქციის ძირითად აზრს ეთანხმება და მასში, სავარაუდოდ, მონაწილეობასაც მიიღებს. "გაერთიანებული დემოკრატების" აღმასრულებელი მდივნის, გოკა გაბაშვილის განცხადებით, გუშინ ოპოზიციის წარმომადგენლები ასევე აკაკი ასათიანსა და გურამ აბსანძესაც უნდა შეხმიანებოდნენ.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, გუშინ გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენლები, მთელი დღის განმავლობაში, ქუთაისის აქციაში მონაწილების მისაღებად, პარლამენტის თავმჯდომარის დაყოლიებასაც ცდილობდნენ, თუმცა, უშედეგოდ.

## მოკლედ

**თბილისი.** ბიუჯეტის შემოსავლების სრულყოფილი დაგეგმვის, ახალი რეზერვების ამოქმედებისა და საგადასახადო კონტროლის გაძლიერების მიზნით, ფინანსთა სამინისტრომ „მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტების ბეჭდვის და შენახვის ლიცენზირების შესახებ“ კანონპროექტი მოამზადა. პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მოიწონა გუშინ გამართულ მთავრობის სხდომაზე წარმოგენილი გოგიაშვილის კანონპროექტი და პარლამენტისთვის მისი უახლოეს დღეებში გადაგზავნა მოითხოვა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ახლადშექმნილ ქონების მართვის სააგენტოში 64 საშტატო ვაკანსიაზე განაცხადების შეტანა დაიწყო. კონკურსი 14 ივნისს ჩატარდება, მისი შედეგები კი მეორე დღეს გახდება ცნობილი. სააგენტოს თავმჯდომარისა და მისი 3 მოადგილის პოსტზე კონკურსი არ გამოცხადებულა. უკვე ცნობილია, რომ მას უხელმძღვანელებს საქართველოს საინვესტიციო სააგენტოს ყოფილი უფროსი ვაჟა კაპანაძე. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ლეშეკ ბალცეროვიჩის ჯგუფი მორიგი ვიზიტით საქართველოს 23 ივნისს ეწვევა. ოთხკაციან დელეგაციას პოლონეთის ყოფილი ვიცე-პრემიერი იან ვოისცესჩუკი უხელმძღვანელებს. შეხვედრებზე 4-კაციან ჯგუფს მოგვიანებით შეემატება ფინანსთა სამინისტროს კონსულტანტი. შეხვედრები გაიმართება ფინანსთა სამინისტროში. ბალცეროვიჩის ექსპერტები გაიცნობენ საგანგებო ლეგიონის საბჭოს ახალ ხელმძღვანელებს და მისცემენ ახალ რეკომენდაციებს, რომლებიც ძირითადად საბჭოს ფორმირებას და კონტრაბანდასთან ბრძოლას შეეხება. ვიზიტი 7-10 დღეს გასტანს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფოთის საზღვაო ნავსადგურის ტერმინალების იჯარით გაცემაზე მორიგი ტენდერი უახლოეს მომავალში გამოცხადდება. ნავსადგურის დირექტორის ჯემალ ინაიშვილის ცნობით, ტენდერის გამოცხადების თარიღს საკონკურსო კომისია ერთ კვირაში გადაწყვეტს. მისივე თქმით, ამ ეტაპზე იჯარით, 10 წლით მართვის უფლებით N9 და N10/11 ტერმინალები გაიცემა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო-იტალიის ერთობლივი სალიზინგო კომპანიის შექმნის თაობაზე კონკრეტულ განცხადებებს იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ფაბრიციო რომანო ჯერჯერობით ვერ აკეთებს. ერთობლივი სალიზინგო კომპანიის შექმნაზე საუბარი ჯერ კიდევ გასულ წელს, საქართველოს ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრ გიორგი გაჩეჩილაძის იტალიაში ვიზიტის შემდეგ დაიწყო. თუმცა შემდეგ კომპანიის შექმნის საქმეში თავი ერთმა პრობლემამ იჩინა: ერთ-ერთმა იტალიურმა ბანკმა პროექტში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. ფაბრიციო რომანოს განცხადებით, ჯერჯერობით კონკრეტული კომერციული ბანკი, რომელიც ამ პროექტში მიიღებს მონაწილეობას, ნაპოვნი არ არის. **ინტერ-პრესი**

# ასპროცენტიანი ბიუროკრატია

კატასტროფული მდგომარეობაა ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსებაში. ეს პროგრამები 1 ივნისისათვის ექვსი თვის გეგმის - მხოლოდ 49 პროცენტით, ხოლო წლიური გეგმის 24 პროცენტითაა დაფინანსებული.

**ალმაშფოთებელია, რომ პროგრამების მართვის ანუ ბიუროკრატიის ხარჯები 100 პროცენტით არის დაფინანსებული, მაშინ, როცა სოციალურად საშიშ დაავადებათა პროფილაქტიკის პროგრამა დაფინანსებულია 51 პროცენტით, სოციალური ფონდის ტრანსფერი (პენსიები, უმწეო ოჯახთა დახმარება) მხოლოდ 50 პროცენტით, ხოლო ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლების და დამოუკიდებლობისათვის ომში დაღუპულთა რეგისტრაციისა და სპეციფიკური დახმარების პროგრამა საერთოდ არაა დაფინანსებული.**

ისედაც მწირი რესურსების ასეთი არაეფექტური მართვა არ შეიძლება, მხოლოდ არაკომპეტენტურობის ბრალი იყოს.

**ნათელია, რომ მთავრობას, უბრალოდ, არ აინტერესებს საქართველოს რიგითი მოქალაქეების ბედი და ურჩევნია, პენსიონერების, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ოჯახების, სოციალურად საშიშ დაავადებათა პროფილაქტიკის ხარჯზე, თავისი დასაყრდენი ბიუროკრატია დააფინანსოს.**

ეს საკითხი მთავრობის, პარლამენტისა და პოლიტიკური ძალების სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ არჩევნების ბედს წყვეტს არა მარტო და არა იმდენად საარჩევნო პროცედურები, რამდენადაც საქართველოს მოქალაქეები.

ცენტრალური ბიუჯეტის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების დაფინანსების შესახებ ინფორმაცია 1 ივნისის მდგომარეობით წარმოდგენილია ცხრილში.

*საკონსულტაციო ფირმა "დამენია, ვარშალომიძე, ნოღაიდელი და ქავთარაძე"*

ცენტრალური ბიუჯეტის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების ხარჯები 5 თვის მდგომარეობით

ათასი ლარი

| პროგრამის დასახელება | წლის გეგმა | ექვსი თვის გეგმა | შესრულება | % წლის გეგმასთან | % ექვსი თვის გეგმასთან |
|---|---|---|---|---|---|
| ცენტრალური ბიუჯეტის ჯანდაცვა | 89682 | 43902 | 21453 | 24% | 49% |
| ჯანმრთელობის ხელშეწყობის, დაავადებათა პრევენციის და | 4622 | 1942 | 885.9 | 19% | 46% |
| ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობისა და დაავადებათა პრევენციის პროგრამა | 688 | 248 | 83.2 | 12% | 34% |
| სოციალურად საშიშ დაავადებათა პროფილაქტიკის პროგრამა | 2857 | 1273 | 649.6 | 23% | 51% |
| ეპიდზედამხედველობის და ეპიდსიტუაციის მართვის პროგრამა | 977 | 379 | 111.2 | 11% | 29% |
| პროგრამების მართვის ხარჯები | 100 | 42 | 41.9 | 42% | 100% |
| სოციალური სფეროს ინსტიტუციონალური და | 5878 | 2053 | 723.3 | 12% | 35% |
| სოციალური სფეროს სერტიფიკაციის, ფიზიკური და სამართლებრივი უზრუნველყოფის კომპონენტი | 1100 | 508 | 376.8 | 34% | 74% |
| მედიცინისა და ჯანდაცვის კომპონენტი | 550 | 234 | 159.3 | 29% | 68% |
| სტრატეგიული მნიშვნელობის დაწესებულებათა რეაბილიტაციის, სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარების და სამედიცინო რეზერვების მართვის კომპონენტი | 2298 | 854 | 103.8 | 5% | 12% |
| სამედიცინო მომსახურების ფინანსირების შეფასებისა და მონიტორინგის კომპონენტი | 165 | 53 | 17.5 | 11% | 33% |
| წინა პერიოდის დავალიანების დაფარვა | 1365 | 279 | 43.5 | 3% | 16% |
| ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ომში დაღუპულთა რეგისტრაციისა და სპეციფიკური დახმარების პროგრამა | 200 | 55 | 0 | 0% | 0% |
| სხვა | 200 | 70 | 22.4 | 11% | 32% |
| სოციალური ფონდის ტრანსფერი | 79000 | 39816 | 19777 | 25% | 50% |
| პენსიები | 26775 | 14671.9 | 9218 | 34% | 63% |
| ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები | 32195 | 14709.1 | 5819 | 18% | 40% |
| რეგრესული პენსიები | 775 | 390 | 260 | 34% | 67% |
| უმწეო მდგომარეობაში მყოფ ოჯახთა სოციალური დახმარების პროგრამა | 14400 | 7200 | 3600 | 25% | 50% |
| შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა [illegible] პროგრამა | 4065 | 2055 | 682 | 17% | 33% |
| მიგრანტთა სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის პროგრამა | 400 | 400 | 100 | 25% | 25% |
| [illegible] დახმარების პროგრამა | 390 | 390 | 98 | 25% | 25% |
| უმწეო მდგომარეობაში მყოფი | 182 | 91 | 66.3 | 36% | 73% |

## სახაზინო ვალდებულებათა განთავსება

თარიღი: 04.06.03

| აუქციონის № | 22 |
|---|---|
| ემისიის ვადა | 126 დღე |
| ემისიის ოდენობა | 4,000,000 |
| მოთხოვნა | 6,236,300 |
| დისკონტის პროცენტი min-max | 40%-52% |
| დისკონტის საშუალო პროცენტი | 46.09% |
| ბიუჯეტის შემოსავალი | 3,420,145 |
| დასაფარი თანხა | 4,000,000 |
| ბალანსი | -579,855 |

# საბითუმო ბაზარი მთავრობას სტაბილიზაციის შენარჩუნებაში ეხმარება

მაია ურუშაძე

გუშინ, დილის 12 საათიდან, ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი ურჩი გადამხდელის — "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისთვის" ("გსეკ") ელექტროენერგიის მიწოდების 70 პროცენტით შეზღუდვას გეგმავდა, რის შედეგადაც ელექტროენერგიის მიწოდება სრულიად უნდა შეწყვეტოდა ენერგოკომპანიის 30 ფილიალს: ზაჰესს, დიღომი-გლდანს, ტყიბულს, წალენჯიხას, ცაგერს, ლენტეხს, მარტყოფს, დუშეთს, ამბროლაურს, მარნეულს, ყაზბეგს, ჟინვალს, წალკას, ქუთაისს, თიანეთს, ჭიათურას, რუსთავს, ფოთს, ბორჯომს, ონს, ოზურგეთს, ჩოხატაურს, დმანისს, ლანჩხუთს, ზუგდიდს, ჩხოროწყუს, სენაკს, მანგლისს, ბაკურიანსა და მცხეთას.

**"მართალია, ეს რთულად გადასადგმელი ნაბიჯია, მაგრამ მდგომარეობა საგანგაშოა და სხვა გზა არ რჩება,"** – აცხადებდა თავად "გსეკ"-ის გენერალური დირექტორი დევიდ სორნტონი და მიიჩნევდა, რომ საბითუმო ბაზარმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო. მიუხედავად ამისა, გუშინვე, რეგიონების გამორთვიდან ორ საათში, საბითუმო ბაზარმა გადაწყვეტილება შეცვალა, რეპრესიები ექვსი დღით – 9 ივნისამდე გადადო და "გსეკ"-ის ფილიალებს დენის მიწოდება აღუდგინა.



"გსეკ"-ის გენერალური დირექტორი დევიდ სორნტონი ფილიალებს მკაცრად მოექცევა.

"გსეკ"-ში ამ გადაწყვეტილების მიზეზად სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავას თხოვნას ასახელებენ: **"საბითუმო ბაზარმა რეაგირება მოახდინა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის თხოვნაზე და თავისი გადაწყვეტილება 3 ივნისს ქვეყანაში შექმნილ რთულ ვითარებას დაუკავშირა."** თავად სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა კი კატეგორიულად უარყოფს, თითქოს მთავრობა საბითუმო ბაზრის საქმიანობაში ჩაერია და, ოპოზიციის გუშინდელ მანიფესტაციებთან დაკავშირებით, ბაზარს ურჩი გადამხდელი რაიონების გათიშვა გადაავადებინა.

საბითუმო ბაზრის მოულოდნელი ჟესტით უკმაყოფილო დარჩა "გსეკ"-ის ხელმძღვანელობა. ენერგოკომპანიის გენერალური დირექტორის, დევიდ სორნტონის განცხადებით, **"ეს გადაწყვეტილება უეცარი და მოულოდნელი იყო. მიუხედავად ამისა, ენერგოკომპანიის მოთხოვნები ფილიალების მიმართ უცვლელი რჩება. საბითუმო ბაზრის გადაწყვეტილების გამო, მუშაობაში ხელი შეგვეშალა, მაგრამ დროის უქმად დაკარგვას არ ვაპირებთ და ფილიალების ხელმძღვანელობასთან მკაცრი საუბრის გაგრძელებას ვგეგმავთ. რეგიონების ხელმძღვანელებისგან კი, საბიუჯეტო ორგანიზაციების მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის დაფარვას კატეგორიულად მოვითხოვთ."**

საბოლოოდ, რეგიონების ჩაბნელების მტკივნეული საკითხი კვლავ დღის წესრიგში რჩება. მოახერხებს თუ არა მთავრობა, წინასაარჩევნოდ აიცილოს მოსახლეობის უკმაყოფილება, მნიშვნელოვანწილად იმაზეა დამოკიდებული, გადაარიცხინებენ თუ ვერა რეგიონების ადმინისტრაციები ადგილობრივ საბიუჯეტო ორგანიზაციებს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურს.

# "ცვლილებები ყოველთვის ვიღაცის ხარჯზე ხდება"

## ეკონომიკის სამინისტროს პროგნოზირების ცენტრი აღარ სჭირდება?

*"ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში რეორგანიზაცია მიმდინარეობს. ჩვენი ყველა ნაბიჯი მიმართულია იქითკენ, რომ სამინისტროს მუშაობა უფრო ეფექტური და ნაყოფიერი გავხადოთ", - განაცხადა მინისტრმა გიორგი გაჩეჩილაძემ. ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მუშაობის ეფექტურობის გაზრდის "სამსხვერპლოზე" გაჩეჩილაძემ პირველად პროგნოზირების სამეცნიერო კვლევის კომპიუტერული ცენტრის დამოუკიდებელი არსებობა მიიტანა.*

სოფიკო ოხანაშვილი

პროგნოზირების სამეცნიერო კვლევის კომპიუტერულ ცენტრში მომუშავე 400-კაციანი კოლექტივიდან, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 60 ადამიანიღა დარჩა. ახლა, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მიერ გატარებული რეფორმის შედეგად, კვლევის კომპიუტერული ცენტრის შემადგენლობა 20 კაცამდე შემცირდება, დანარჩენი 40 ადამიანი კი, სავარაუდოდ, უმუშევართა რიგებს შეემატება.

სამინისტროში მიმდინარე რეორგანიზაცია ცენტრის ლიკვიდაციას ითვალისწინებს. ცენტრის ლიკვიდაციის შემდეგ, ათ-ათი თანამშრომელი ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსა და მისსავე დაქვემდებარებაში მოქმედი ვალერიან მელქაძის სახელობის სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს შორის გადანაწილდებიან. შერჩეული კადრების ბაზაზე ორივე უწყებაში პროგნოზირების სამეცნიერო კვლევის კომპიუტერული ცენტრის ადეკვატური განყოფილებები შეიქმნება.

ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი გიორგი გაჩეჩილაძე ოპტიმისტურადაა განწყობილი. ის დარწმუნებულია, რომ კვლევის კომპიუტერულ ცენტრში მაღალკვალიფიციური კადრები მუშაობენ და ბაზარზე, კომპიუტერულ მომსახურებაზე მოთხოვნიდან გამომდინარე, მათ თავისი შესაძლებლობების რეალიზება არ გაუჭირდებათ.

რეორგანიზაციის შედეგად, ამჟამად ოთხ სხვადასხვა ოფისში განლაგებული ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტრო ერთი თვის განმავლობაში იმ 11-სართულიან შენობაში გადავა, რომელშიც ახლა პროგნოზირების სამეცნიერო კვლევის კომპიუტერულ ცენტრს ორი სართული უკავია. შენობაში კვლევების კომპიუტერულ ცენტრთან ერთად განთავსებული სხვა ორგანიზაციები კი სამინისტროს კუთვნილ ოფისებში გადანაწილდებიან.

პროგნოზირების სამეცნიერო კვლევის კომპიუტერული ცენტრის ლიკვიდაციის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე, გაჩნდა სხვადასხვა ვერსია იმის შესახებ, თუ ვის ინტერესებში უნდა შედიოდეს ცენტრის გაუქმება. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, **“მიმდინარეობს ცენტრის მიზნობრივი განადგურება, რასაც კვლევების კომპიუტერული ცენტრის მიერ დაკავებული ფართის “პრიხვატიზაცია” უდევს საფუძვლად.”** თუმცა, მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ შენობას მთლიანად ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტრო დაიკავებს, აღნიშნული ვერსია კვლევების კომპიუტერული ცენტრის თანამშრომლებმა გამორიცხეს. თუმცა, ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში მომზადებული ეს პროექტი სამეცნიერო კვლევის კომპიუტერული ცენტრის თანამშრომლებს მიზანშეუწონლად მიაჩნიათ. ისინი ცენტრის გაუქმებას დაუშვებლად მიიჩნევენ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა თავისას მაინც არ დაიშლის, ცენტრის თანამშრომლები აღმასრულებელ ხელისუფლებას კვლევების ყოფილი ცენტრის კერძო სამეწარმეო სუბიექტად ჩამოყალიბებას სთავაზობენ. მათ წინადადებით უკვე მიმართეს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს, სახელმწიფო კანცელარიას და პრეზიდენტს. **"მიზანშეწონილად მიგვაჩნია, გამოთვლითი ცენტრის ბაზაზე დაფუძნდეს სახელმწიფოსა და გამოთვლითი ცენტრის კოლექტივის წილობრივი მონაწილეობით დამოუკიდებელი სამეწარმეო სუბიექტი. ამასთან, სახელმწიფო აღნიშნული სუბიექტის საწესდებო კაპიტალში მონაწილეობას ცენტრის მიერ დაკავებული ფართის გადაცემით მიიღებს, ხოლო კოლექტივი - თავისი პირადი სახსრებითა და ქონებით, რაშიც სახელმწიფოს კოლექტივის მიმართ არსებული სახელფასო დავალიანებაც (სახელმწიფოს კოლექტივის მიმართ, დაახლოებით, 15-20 ათასი დოლარის ოდენობის სახელფასო დავალიანება გააჩნია) შედის,"** - ვკითხულობთ წერილში.

პროგნოზირების სამეცნიერო კვლევების კომპიუტერული ცენტრის თანამშრომლების ვარაუდით, დამოუკიდებელი სამეწარმეო სუბიექტის ჩამოყალიბება ერთდროულად რამდენიმე პრობლემის მოგვარებას შეუწყობს ხელს. **“ბოლოს და ბოლოს, ეს ხალხი მაინც არ აღმოჩნდება ქუჩაში. გარდა ამისა, ცენტრი თვითონ განსაზღვრავს თავისი საქმიანობის პოლიტიკას, განახორციელებს მოკლე და გრძელვადიან პროექტებს, აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საქართველოში მოწინავე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვაში და ხელშეკრულებების საფუძველზე ინფორმაციულ და კომპიუტერულ მომსახურებას გაუწევს სახელმწიფო უწყებებსა და ორგანიზაციებს, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს”,** - ასე ხსნიან პროექტის ავტორები კომპიუტერული კვლევის ცენტრის კერძო სამეწარმეო სუბიექტად ჩამოყალიბების აუცილებლობას.

**"თუ მთავრობა ამ წინადადებაზე უარს იტყვის, ეს ნამდვილად არ იქნება ეროვნული ინტერესების დაცვის სურვილით გადადგმული ნაბიჯი. საამისოდ არანაირი ობიექტური მიზეზი არ არსებობს",** - აცხადებს პროგნოზირების სამეცნიერო კვლევის კომპიუტერული ცენტრის თანამშრომლების ადვოკატი მალხაზ ლაბაძე.

გიორგი გაჩეჩილაძე კი, კვლევების კომპიუტერული ცენტრის თანამშრომლების წინადადებას სულელურს და არასერიოზულს უწოდებს. იგი კატეგორიულად აცხადებს, რომ ამ პროექტს მხარს არ დაუჭერს. **"სახელმწიფომ საწესდებო კაპიტალში რა უნდა ჩადოს, სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა? უბრალოდ, სისულელეა. ეგ ცენტრი კერძო სამეწარმეო სუბიექტად ვერ ჩამოყალიბდება",** - განაცხადა ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრმა. თუმცა, იქვე აღნიშნა, რომ კარგად ესმის ამ ხალხის მდგომარეობა. **"ცვლილებები ყოველთვის ვიღაცის ხარჯზე ხდება",** - ასკვნის გაჩეჩილაძე.

# აღმოსავლეთ ევროპაში უცხოური ინვესტიციების მოზღვავებაა

ადამ მჭედლიძე

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მხრივ დასავლეთ ევროპა თანდათანობით თმობს პოზიციებს აღმოსავლეთ ნაწილთან. ბოლო ხანს ინვესტორები უფრო მეტ გაბედულებას იჩენენ და იოლად აბანდებენ კაპიტალს ისეთ რეგიონებში, რომლებიც ადრე ნაკლებად მიმზიდველად და არც ისე უსაფრთხოდ იყო მიჩნეული. თუკი ეს ტენდენცია გაგრძელდა, აღმოსავლეთი რამდენიმე წელიწადში უკან ჩამოიტოვებს ძველი კონტინენტის დასავლეთ ნაწილს.

"ერნსტ ენდ იანგის" მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ უცხოური ინვესტიციები ერთობ დიდი რაოდენობით მიედინება ეკონომიკური თვალსაზრისით ისეთ "ეგზოტიკურ" ცენტრებში, როგორიცაა რუსეთი, თურქეთი და უნგრეთი. მათ ინვესტიციათა ზრდის ტემპით საგრძნობლად ჩამოიტოვეს დასავლეთ ევროპის მრავალი ქვეყანა. ამაზე მეტყველებს სტატისტიკაც: ევროკავშირში არშემავალი ევროპული ქვეყნების მიერ მოზიდული ინვესტიციების მოცულობა 21 პროცენტით გაიზარდა, მაშინ როცა ევროკავშირში მოზიდული უცხოური კაპიტალი 11 პროცენტით შემცირდა, მთლიანობაში ძველმა კონტინენტმა 1895 ცალი უცხოური პროექტისათვის მოიზიდა კაპიტალი, რაც გასული წლის მაჩვენებელს 4 პროცენტით ჩამორჩება. ეს დიდი ჩავარდნა არ არის, მაგრამ სამაგიეროდ მკვეთრად - დაახლოებით ერთი მესამედით - შემცირდა ახალ პროექტებში შექმნილი სამუშაო ადგილების რაოდენობა.

მიუხედავად აღმოსავლეთის პროგრესისა, ინვესტიციათა უდიდესი წილი მაინც დასავლეთ ევროპაზე მოდის. ევროკავშირში არშემავალმა ათმა უდიდესმა ქვეყანამ ინვესტიციათა 15 პროცენტი მოიზიდეს. დაახლოებით ამდენის მოზიდვა მარტომ შეძლო დიდმა ბრიტანეთმა. მაგრამ როგორც უკვე ვახსენეთ, დასავლეთ ევროპაში ინვესტიციათა რაოდენობა მცირდება. ერთადერთი ქვეყანა ამ რეგიონში, სადაც ზრდა დაფიქსირდა (ისიც საკმაოდ მცირე), პორტუგალიაა.

აღმოსავლეთ ევროპა ინვესტორებს უპირველესად იაფი სამუშაო ძალის წყალობით იზიდავს. აქ დაბანდებული კაპიტალის დიდი ნაწილი საავტომობილო და სათადარიგო ნაწილების ქარხნებზე მოდიოდა.

აღმოსავლეთის ეს წარმატება კიდევ ერთ ფაქტორზე მიუთითებს: ევრო ბოლო ხანს ინვესტორებს იმდენად აღარ იზიდავს. 2000 წელს ძველ კონტინენტზე განხორციელებული ინვესტიციების 51 პროცენტი ევროზონაზე მოდიოდა. გასულ წელს ეს მაჩვენებელი 44 პროცენტზე ჩამოვიდა. თუკი გავითვალისწინებთ ფაქტს, რომ ევროს კურსმა ბოლო ხანს არნახულად აიწია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ინვესტიციების აღმოსავლეთით გადინების ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდება.

# მთავრობა სავალუტო ფონდის დასახვედრად ემზადება

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის ვიზიტი, სავარაუდოდ, ივნისის მესამე დეკადაში შედგება. მისიას კვლავ საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქართველოს კურატორი პაულო ნეიჰაუზი უხელმძღვანელებს. ვიზიტი 10 დღეს გასტანს.

ვიზიტის ფარგლებში ფონდი ბიუჯეტის პირველი კვარტლის შედეგებს გაეცნობა და ასევე, ეკონომიკურ გუნდს შეხვდება.

აღსანიშნავია, რომ ამ ვიზიტზე არის დამოკიდებული ფონდის მიერ საქართველოსათვის მორიგი, 40-მილიონიანი ტრანშის გამოყოფის საკითხი.

რაც შეეხება სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს, რომელიც მან საქართველოს დაუტოვა, კვლავაც შესასრულებელი რჩება სამი უმსხვილესი კომპანიის — შპს "საქართველოს რკინიგზის", "მადნეულის", ფოთის პორტის აუდიტთან დაკავშირებული საკითხი, ასევე შეუსრულებელია აჭარასთან საბიუჯეტო ურთიერთობების გარკვევის და საბაჟო კანონმდებლობის შემუშავების საკითხი, რომელიც პარლამენტის შესაბამის კომისიაშია შეტანილი.

შესრულების პროცესშია ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ შემუშავებული ბრძანების პროექტი, რომელიც შესათანხმებლად სამინისტროებსა და უწყებებშია დაგზავნილი. იგი ეროვნული კომისიის დამოუკიდებლობის, ყოველგვარი ზემოქმედებისგან დაცვის და საქმიანობაში ჩაურევლობის დამატებით გარანტიებს შეეხება.

კვლავაც ძალაშია მოთხოვნა ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდასთან დაკავშირებით, რაც, სავარაუდოდ, პოლემიკის საბაბი გახდება. მოხსენებას საქართველოს მთავრობის მიერ სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესრულების შესახებ სახელმწიფო მინისტრის მოადგილე გიორგი ისაკაძე 2 კვირაში მთავრობის სხდომაზე გააკეთებს.

*მედია-ნიუსი*

# დიდი რვიანის მორიგი უშედეგო სამიტი

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება სამიტის დღის წესრიგს, მასპინძელი ქვეყანა, საფრანგეთი ცდილობდა მასში, რაც შეიძლება მეტი, ეკონომიკური და ჰუმანიტარული საკითხი შეეტანა, ამერიკელებს კი ყურადღების გამახვილება უსაფრთხოების საკითხებზე სურდათ.

თავისი პოზიციის განსამტკიცებლად, შირაკმა უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო და რვიანის სამიტზე დამატებით 12 სახელმწიფოს ლიდერი მოიწვია, რომელთაც სწორედ ფრანგული დღის წესრიგისათვის უნდა დაეჭირათ მხარი.

ჰუმანიტარული ორგანიზაციები დიდი ხანია მოითხოვენ, რომ განვითარებად ქვეყნებს უფლება მიეცეთ, ძვირიანი დასავლური მედიკამენტების იაფი ანალოგები აწარმოონ. აფრიკის ზოგიერთი სახელმწიფოს მოსახლეობა შიდს-ისა და სხვა გადამდები დაავადებების გავრცელების გამო, განახევრდა. ამ ქვეყნების მოსახლეობას, რომლის შემოსავალიც დღეში 1 დოლარზე ნაკლებია, პატენტიანი უცხოური წამლების შეძენის საშუალება არა აქვთ.



დიდი რვიანის სამიტები სახელმწიფოთა ლიდერების მოკლევადიან შვებულებებს ემსგავსება.

ამ მოთხოვნას წარმატებით ბლოკავენ ამერიკული და გერმანული ფარმაცევტული გიგანტები, და ეს პირდაპირ აცოფებთ ანტიგლობალისტებს, რომლებიც ამ კომპანიებსა და მათი ქვეყნების მთავრობებს ღარიბი ქვეყნების მოქალაქეების ფარულ მკვლელობაში ადანაშაულებენ.

საკითხი დიდი ხანია, დიდი რვიანის დღის წესრიგში დგას. ევიანში მასთან დაკავშირებით სპეციალური კომუნიკეც მიიღეს, რომელშიც ბევრი კეთილი სურვილია გამოთქმული, მაგრამ მათი ხორცშესხმის გზებზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი.

სწორედ სამიტის წინ, ამერიკის პრეზიდენტმა სცადა ამ საკითხზე კრიტიკა თავიდან აეცილებინა და განაცხადა, რომ ღარიბ ქვეყნებში შიდსთან ბრძოლისათვის ამერიკა 15 მილიარდ დოლარს გაიღებს. ჰუმანიტარულმა და სამედიცინო ორგანიზაციებმა ეს გადაწყვეტილება არასაკმარისად, ზოგმა კი თვალთმაქცობად მიიჩნია.

ასევე უნაყოფოდ დამთავრდა მეორე მნიშვნელოვანი საკითხის, განვითარებულ ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიების საკითხის განხილვა. ევროპელი და ამერიკელი ფერმერები თავიანთი მთავრობებისაგან უზარმაზარ ფინანსურ დახმარებას იღებენ, ამიტომ მათი გამოშვებული პროდუქციაც ძალიან იაფია, უფრო იაფიც კი, ვიდრე აფრიკაში წარმოებული სურსათი. ღარიბი ქვეყნების ფერმერები მათთან კონკურენციას ვერ უძლებენ და კოტრდებიან. ეს კი ამ ქვეყნებში შიმშილის პრობლემას კიდევ უფრო ამძაფრებს. ანტიგლობალისტები მოითხოვენ, რომ აფრიკაში ექსპორტირებულ სურსათს სუბსიდიები მოეხსნას. ამ საკითხზეც ევიანის სამიტმა მხოლოდ კეთილი სურვილების შემცველი კომუნიკე მიიღო.

ასეთივე ბედი ეწია საფრანგეთის მოთხოვნით დღის წესრიგში შესულ მესამე საკითხსაც სავაჭრო მოლაპარაკებების დოჰას რაუნდის დასრულებას, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობის შემდგომ ლიბერალიზაციას მოითხოვს.

მიუხედავად იმისა, რომ "მოწინააღმდეგის მოედანზე" თამაშობდნენ, ამერიკელებმა უფრო მეტ წარმატებას მიაღწიეს. მათი მოთხოვნით დღის წესრიგში შეტანილ საკითხებს, რვიანმა ერთხმად დაუჭირა მხარი.

მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება სამიტმა კაცობრიობის წინაშე მდგარ უპირველეს საფრთხედ გამოაცხადა. საერთაშორისო საზოგადოება მზადაა ამ საფრთხეს დიპლომატიური მეთოდებით, ექსპორტის კონტროლის გამკაცრებით, და თუ საჭირო გახდა "სხვა საშუალებების გამოყენებით" ებრძოლოს. ისევ ამერიკელების მოთხოვნით, დასახელდა ორი ქვეყანა რომლებიც მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების მხრივ განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს: ირანი და ჩრდილოეთ კორეა.

ერთი სიტყვით, ევიანის სამიტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მსოფლიო ლიდერებს, რომლებიც, პირველ რიგში უსაფრთხოების საკითხებით არიან დაკავებული, სხვა პრობლემების (გარემოსდაცვა, ჯანდაცვა, ეკონომიკური ზრდის მიღწევა, ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ღარიბი ქვეყნების დახმარება და ა.შ.) გადასაჭრელად დრო და სურვილი ნაკლებად აქვთ.

# მსოფლიოში ამერიკის მიმართ ნეგატიური განწყობა სჭარბობს

მსოფლიოში ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, ერაყის ომის დასრულების შემდეგ ანტიამერიკული განწყობა კვლავ ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოში, განსაკუთრებით, მუსლიმებს შორის.

"პიუ გლობალ ეტიტუდის" მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ გაერო-ს მიმართ ნდობა ძალიან შემცირებულია იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ომს ყველაზე მეტი მოწინააღმდეგე ჰყავდა.

მართალია, მარტის შემდეგ ანტიამერიკული განწყობა შედარებით შემცირდა, მაგრამ 20 ქვეყანაში ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ ამერიკის მიმართ უმრავლესობა მხოლოდ შვიდ სახელმწიფოში არის დადებითად განწყობილი. ევროპაში ასეთი მხოლოდ ორი ქვეყანაა – ბრიტანეთი და იტალია, სადაც მოსახლეობის დაახლოებით 70 პროცენტი მხარს უჭერს ამერიკას.

მათ გარდა, კიდევ ხუთი ქვეყნის მოსახლეობაა ამერიკის მიმართ კეთილგანწყობილი: ისრაელი, ქუვეითი, კანადა, ნიგერია და ავსტრალია.

მართალია, ევროპაში გერმანიის, საფრანგეთის, რუსეთისა და ესპანეთის მოსახლეობის უმრავლესობა ამერიკის მიმართ პოზიტიურად არ არის განწყობილი, მაგრამ ომის დასრულების შემდეგ უარყოფითი განწყობა შედარებით მინავლდა.

ერაყის ომმა გავლენა მოახდინა თავად ამერიკელების შეხედულებებზეც. გამოკითხული ამერიკელების მხოლოდ 29 პროცენტია ფრანგების მიმართ კეთილგანწყობილი, შარშან კი ეს მაჩვენებელი 79 პროცენტს უტოლდებოდა. ამერიკელთა 14 პროცენტის თქმით, ისინი ფრანგულ პროდუქციას განგებ აღარ ყიდულობენ.

მუსლიმურ სახელმწიფოებში მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ამერიკული პოლიტიკის წინააღმდეგია. იორდანიასა და პალესტინის ავტონომიაში ამერიკის მიმართ ნეგატიური განწყობა გამოკითხულთა, თითქმის, 100 პროცენტს აქვს. იმ მუსლიმურ სახელმწიფოებშიც კი, სადაც 11 სექტემბრამდე ამერიკელების მიმართ დადებითი განწყობა სჭარბობდა (ინდონეზია და მაროკო), ვითარება რადიკალურად იცვლება.

აღსანიშნავია, რომ ამერიკის მიმართ დამოკიდებულების გაუარესებას, გაერო-ს მიმართ კეთილგანწყობილთა რიცხვი არ გაუზრდია. ხალხის უმრავლესობა ამ საერთაშორისო ორგანიზაციას უუნაროდ მიიჩნევს. ამგვარი შეხედულებები არამარტო კოალიციის წევრ სახელმწიფოებში, არამედ ომის მოწინააღმდეგე ქვეყნებშიცაა. გაერო-ს პოზიტიურ და ქმედით ძალად ფრანგების მხოლოდ 47 პროცენტი და გერმანელების 46 პროცენტი მიიჩნევს.

# ირანელმა კონსერვატორებმა დემოკრატიული რეფორმები დაბლოკეს

რევაზ ბახტაძე

ირანელმა კონსერვატორმა კლერიკალებმა ის კანონი დაბლოკეს, რომელიც რეფორმატორ პრეზიდენტს მოჰამად ხათამის რეფერენდუმის მოწვევის საშუალებას მისცემდა. რეფერენდუმის ჩატარება, სავარაუდოდ, კონსერვატორი მოლების ხელისუფლებას მნიშვნელოვნად დაასუსტებდა.

რეფერენდუმის ჩატარებაზე თანხმობა რეფორმატორებით დაკომპლექტებულმა პარლამენტმა იოლად გასცა. თუმცა, პარლამენტის გადაწყვეტილება რევოლუციის მცველთა საბჭომ სასწრაფოდ გააუქმა. რევოლუციის მცველთა საბჭო ირანის უმაღლესი მმართველი ორგანოა, რომელსაც კონსერვატორი კლერიკალები აკონტროლებენ. ყველა კანონს, რომელსაც პარლამენტი იღებს, საბოლოოდ მცველთა საბჭო ამტკიცებს.

მცველთა საბჭოს თანხმობა საშუალებას მისცემდა პრეზიდენტ მოჰამად ხათამის რეფერენდუმზე ორი საკითხი გამოეტანა. პირველი თავად ხათამის უფლებამოსილების გაზრდას ისახავდა მიზნად. დღემდე მისი ყველა პროდემოკრატიული ინიციატივა სასამართლო ხელისუფლებაში მყოფმა კლერიკალებმა დაბლოკეს.

რეფერენდუმზე გასატანი მეორე საკითხი კი რევოლუციის მცველთა საბჭოს არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა დაბლოკვის უფლებას წაართმევდა. მოქმედი კანონის თანახმად, მცველთა საბჭოს შეუძლია არჩევნებში მონაწილეობის მსურველი კანდიდატები საარჩევნო პროცესიდან გამორიცხოს.

აღსანიშნავია, რომ ისლამური რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, მხოლოდ ორი რეფერენდუმი ჩატარდა: პირველი, რომელმაც 1979 წელს შექმნილი ახალი სისტემა დაამტკიცა და მეორე, რომელიც ათი წლის შემდეგ კოსტიტუციაში ცვლილებების შესატანად ჩატარდა.

კონსერვატორებთან ხუთწლიანი დაპირისპირების შემდეგ, ხათამიმ ამ ორი კანონის მისაღებად რეფერენდუმის ჩატარების იდეა წამოაყენა, რათა დემოკრატიული რეფორმების მოსურნე მოქალაქეების მეშვეობით თეოკრატი მმართველების წინააღმდეგობა დაეძლია. მან რამდენჯერმე განაცხადა, რომ თანამდებობიდან გადადგებოდა იმ შემთხვევაში, თუ რეფორმების განხორციელება არ მოხერხდებოდა. ხათამი, ფაქტობრივად, კლერიკალების დაშანტაჟებას შეეცადა. რეფორმატორების გათვლებით, პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომა სახელისუფლო კრიზისს გამოიწვევს, რასაც, სავარაუდოდ, სახალხო მღელვარება მოჰყვება.

მოვლენების ამგვარი სცენარით განვითარებას ბუშის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები მხარს უჭერენ. ამერიკის ადმინისტრაციის "ქორებმა" ერაყის შემდეგ, უკვე ირანი ამოიღეს სამიზნეში და თეირანს ბირთვული იარაღის შექმნასა და ალ-ქაიდას წევრების მფარველობაში ადანაშაულებენ. ორი დღის წინ "დიდი რვიანი"-ს სამიტზე თეირანი გააფრთხილეს, რომ ბირთვული იარაღის შექმნისაგან თავი შეიკავოს.

თეირანში მყოფი დიპლომატების აზრით, ვაშინგტონელი ქორების განცხადებებმა ირანელ რეფორმატორებს დიდი ზიანი მიაყენა.

"რაც უფრო მეტ ზეწოლას ახორციელებენ რეფორმატორებზე, განსაკუთრებით, თუ ეს ზეწოლა გარედან მოდის, მით უფრო მცირდება მათი შესაძლებლობა, რომ მხარდამჭერ ძალებს მობილიზაცია გაუკეთონ", - აღნიშნა ჰადი სემატიმ, თეირანის უნივერსიტეტის პოლიტოლოგმა. "საგარეო საფრთხის დროს ძალიან ძნელია არსებული კონსტიტუციისა და ინსტიტუტების შეცვლა. ამ ვითარებაში ხათამისთვის რთულია შემტევი პოზიცია დაიკავოს".

ამ კვირაში პარლამენტში გაგზავნილ წერილში ხათამიმ გაკვრით ახსენა საგარეო ზეწოლა. "მაშინ როდესაც ქვის სეტყვა მოდის", - ნათქვამია პრეზიდენტის წერილში, რომელმაც სპარსული ლექსიდან მოიყვანა ეს ციტატა, - "მთავრობას, ხალხსა და რეჟიმს შორის კავშირების განმტკიცებას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს".

გუშინ ირანის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხათამი გადაგომით აღარ იმუქრება.

"თუ ის გადადგება, რა შეიძლება მოხდეს"? – იკითხა ერთ-ერთმა დასავლელმა დიპლომატმა "ვაშინგტონ პოსტთან" საუბრისას. "ან ხალხი გამოვა და ხელისუფლებას თავის ხელში აიღებს, რაც, ჩემი აზრით, ნაკლებ მოსალოდნელია... ან კონსერვატორები მთელი ძალაუფლების კონცენტრირებას მოახერხებენ".

"ჩვენ ღრმად ვართ შეშფოთებულები, რადგან არადემოკრატიული პოლიტიკის გაგრძელების შემთხვევაში, ჩვენ უარესის მოლოდინში უნდა ვიყოთ", - ნათქვამია 26 მაისს ირანის პარალამენტარების მიერ დაწერილ წერილში. პარლამენტარები ინტელექტუალების დაპატიმრებისა და გაზეთების დახურვის შეწყვეტას მოითხოვენ. მათ ხელისუფლებას რეფერენდუმის ჩატარებისაკენ მოუწოდეს "შიდაპოლიტიკური ჩიხიდან გამოსასვლელად".

"ჩვენ გაკვეთილი უნდა გამოვიტანოთ თალიბებისა და სადამ ჰუსეინის ისტორიიდან და გავაცნობიეროთ, რომ დესპოტიზმი ქვეყანას დამარცხებამდე მიიყვანს", - აღნიშნულია წერილის ბოლოს.

# მაჰმუდ აბასი: „ისრაელმა და პალესტინამ მხარდამხარ მშვიდობიანად და უსაფრთხოდ უნდა იცხოვრონ"

ლევან ღირსიაშვილი

გუშინ, იორდანიაში აშშ-ის პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მეთაურობით, ახლო აღმოსავლეთის სამიტი გაიხსნა, რომელშიც ისრაელისა და პალესტინის პრემიერ-მინისტრები მონაწილეობენ. უმაღლესი დონის შეხვედრა იორდანიის მეფის აბდულას სასახლეში გაიმართა. პრეზიდენტ ბუშის უმთავრეს ამოცანას სამშვიდობო გეგმის "საგზაო რუკის" განხორციელების დაწყება წარმოადგენს, რის შედეგადაც მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორის ტერიტორიებზე დამოუკიდებელი პალესტინური სახელმწიფო უნდა ჩამოყალიბდეს. ზოგიერთი დამკვირვებლის განცხადებით, პრეზიდენტი ბუში იორდანიის სამიტში მონაწილეობას იღებს, არა როგორც განზე მდგომი მშვიდობის ინიციატორი, არამედ როგორც ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი ლიდერიც, რადგანაც ის ერაყში მდგარი საოკუპაციო ძალების მთავარსარდალია.

იორდანიის ქალაქ აქაბაში აშშ-ის პრეზიდენტი ეგვიპტის კურორტ შარმ-ელ-შეიხიდან ჩავიდა, სადაც შეხვედრა გამართა ეგვიპტის, იორდანიის, ბაჰრეინის, საუდის არაბეთის და პალესტინის ლიდერებთან. მან არაბული სამყაროს მესვეურებთან მიაღწია ძალზე მნიშვნელოვან შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ისინი სამშვიდობო გეგმის განხორციელებას მხარს დაუჭერენ და ყველანაირად შეუწყობენ ხელს პალესტინაში მშვიდობის დამყარებას. იმავე დღეს, აშშ-ის ლიდერმა ოფიციალურად მიმართა ისრაელის ხელისუფლებას და პალესტინურ ტერიტორიებზე ებრაული დასახლებების მშენებლობის შეჩერება მოთხოვა. ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ ის მხარს უჭერს პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას და რეგიონში მშვიდობის დამყარებას, თუმცა იმავდროულად მან გააფრთხილა არაბული სახელმწიფოები, რომ ტერორისტული დაჯგუფებების დაფინასების წყაროები უნდა გადაკეტონ. მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, ეგვიპტის პრეზიდენტმა ჰოსნი მუბარაქმა პირობა დადო, რომ ექსტერიმისტებთან ბრძოლის მიზნით, ყველა მის ხელთ არსებულ რესურსს გამოიყენებს. შარმ-ელ-შეიხში კონკრეტული ტერორისტული დაჯგუფებები არ დასახელებულა. როგორც ცნობილია, აშშ ტერორისტულ ორგანიზაციებად "ჰამასს" და "ისლამურ ჯიჰადს" მიიჩნევს, თუმცა ამ მოსაზრებას ბევრი არაბული სახელმწიფო არ ეთანხმება. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ შარმ-ელ-შეიხში წარმოდგენილმა არაბულმა სახელმწიფოებმა მოლაპარაკების შემდეგ გამოაქვეყნეს ერთობლივი შეთანხმება, რომელშიც ტერორიზმი დაგმობილია, თუმცა განცხადებაში ერთხელაც არ არის ნახსენები პალესტინის ახალი პრემიერ-მინისტრის მიმართ მხარდაჭერა, რომელიც დღემდე უშედეგოდ ცდილობს "ჰამასთან" და "ისლამურ ჯიჰადთან" შეთანხმების მიღწევას ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. არ არის გამორიცხული, რომ ამით არაბული სამყაროს ლიდერებმა აშკარად მოახდინეს პალესტინის ლიდერის იასირ არაფატის მხარდაჭერის დემონსტრირება. როგორც ცნობილია, არაფატი პრემიერ-მინისტრ მაჰმუდ აბასს, იგივე აბუ მაზენს თავის მოწინააღმდეგედ განიხილავს. ხოლო, იორდანიის სამიტში კი სწორედ აბუ მაზენმა და არა არაფატმა მიიღო მონაწილეობა. ეს კი აშკარად მიუთითებს, რომ აშშ სამშვიდობო გეგმის განხორციელებას ახლად არჩეულ პრემიერ-მინისტრს ანდობს და არა არაფატს, რომელსაც არაბული სამყაროს ლიდერები უჭერენ მხარს.

**"პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ პრემიერ-მინისტრი მაჰმუდ აბასი თავის სამშვიდობო განცხადებებში გულწრფელია,"** განაცხადა თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა.

ცხადია, მაჰმუდ აბასი ყველანაირად შეეცდება, რომ ვაშინგტონის ნდობა გაამართლოს. ამის დემონსტ-



იორდანიის სამიტი - "საგზაო რუკის" შეთანხმება.

რირება პალესტინელმა პრემიერმა გუშინ იორდანიაში ვიზიტის დროს კიდევ ერთხელ მოახდინა. მან საჯაროდ განაცხადა, რომ პალესტინელების მიერ დაწყებული ინტიფადა ისრაელის წინააღმდეგ უნდა დასრულდეს. მისი თქმით, პალესტინელები მზად არიან დაუყოვნებლივ დაიწყონ აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი სამშვიდობო გეგმის განხორციელება. **"ჩვენ "საგზაო რუკის" განხორციელებას მტკიცედ და უკომპრომისოდ დავიწყებთ. შეიარაღებული ინტიფადა უნდა დასრულდეს და ჩვენი მიზნების მისაღწევად მშვიდობიან საშუალებებზე უნდა გადავიდეთ,"** განაცხადა აქაბაში პალესტინის პრემიერ-მინისტრმა. მან აქვე განმარტა თუ რაში მდგომარეობს პალესტინელთა მიზანი: **"ისრაელმა და პალესტინამ მხარდამხარ მშვიდობიანად და უსაფრთხოდ უნდა იცხოვრონ."**

ყველასათვის გასაკვირად, გუშინ საკმაოდ პოზიტიური განცხადება გააკეთა ტერორისტულმა დაჯგუფება "ჰამასმა." მისმა წარმომადგენელმა ისმაილ აბუ-შანაბმა განაცხადა, რომ "ჰამასის" მებრძოლები მოლაპარაკების დროს ისრაელის წინააღმდეგ ცეცხლს შეწყვეტენ. ამასთანავე, მან აშშ-ს მოსთხოვა ისრაელზე ზეწოლა, რის შედეგადაც თელ-ავივმა ოკუპირებული პალესტინური ტერიტორიებიდან შეიარაღებული დანაყოფები უნდა გაიყვანოს. უნდა ითქვას, რომ პალესტინის დეოკუპაცია "საგზაო რუკის" ერთ-ერთ ძირითად პირობას ისედაც წარმოადგენს. მოსალოდნელია, რომ ამ პუნქტის შესრულებას ვაშინგტონი ისრაელს "ჰამასის" ულტიმატუმის გარეშეც მოსთხოვდა. მაგრამ, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ "ჰამასმა" თავისი კეთილგანწყობა მოლაპარაკების მიმართ თავად დააფიქსირა. ეს კი, პალესტინის პრემიერ-მინისტრს მაჰმუდ აბასს საკმაოდ მომგებიან პოზიციას უქმნის. ის, იორდანიის სამიტამდე აცხადებდა, რომ ჰამასთან და ისლამურ ჯიჰადთან ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმების იმედი ქონდა. თუმცა ყველაფერი, სამიტის შედეგებზეა დამოკიდებული, რომელიც ცნობილი დღეს გახდება.

# პაკისტანში შარიათის სამართალი აღადგინეს

პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შარიათის სამართალი აღსდგა. გადაწყვეტილება ამის შესახებ ადგილობრივმა პარლამენტმა ორი დღის წინ მიიღო. ამიერიდან, როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო სამართალი არა სახელმწიფო არამედ რელიგიური წესებით აღსრულდება.

შარიათი სახელმწიფო სამსახურში მყოფი ყველა პიროვნებისაგან მოითხოვს დღეში ხუთჯერ ლოცვას. გაანადგურეს ქალის გამოსახულებიანი ყველა პლაკატი, აიკრძალა პიკანტური სცენების შემცველი ვიდეოკასეტების გაყიდვა. მამაკაც ექიმებს ეკრძალებათ ქალი პაციენტების გასინჯვა, კაც მსაჯებს კი ქალთა შეჯიბრებებზე მსაჯობა.

შემოიღეს დასჯის ახალი მეთოდები. ამიერიდან ქურდებს ხელის მოჭრა, მეძავებს კი ჩაქოლვა ემუქრებათ.

შარიათის კანონი კრძალავს ფულის გასესხებას და პროცენტის მიღებას, რითაც ბანკები, ფაქტობრივად, კანონგარეშე გამოცხადდა.

ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლება აცხადებს, რომ განახორციელებს ყველა აუცილებელ ზომას, რათა შარიათის შემოღება თავიდან აიცილოს.

# ტონი ბლერი სკანდალში ეხვევა

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის წინააღმდეგ ბრალდებები უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებს. პარლამენტის დეპუტატები მოითხოვენ გამოძიების დაწყებას, რომელმაც უნდა გაარკვიოს თუ რამდენად სამართლიანი იყო პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერის გადაწყვეტილება ერაყის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიაში მონაწილეობის შესახებ. ტონი ბლერი კი თავის დაცვას ცდილობს. გუშინ მან განაცხადა, რომ ეწინააღმდეგება დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარებას. ამის მაგივრად, ის ცდილობს დაარწმუნოს თავისი მოწინააღმდგეები, რომ არ აჩქარდნენ, რადგან ერაყში მასობრივი განადგურების იარაღი ადრე თუ გვიან ნაპოვნი იქნება. როგორც ცნობილია, ბრიტანეთის პრემიერმა ერაყის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიაში მონაწილეობა იმ სადაზვერვო მონაცემების მიხედვით გაამართლა, რომლის თანახმადაც ერაყს რამდენიმე საათის განმავლობაში შეეძლო აემოქმედებინა მასობრივი განადგურების იარაღი. ასეთი არსენალი კი, ერაყში დღემდე არ არის ნაპოვნი.

პრემიერის მოწინააღმდეგეები მიიჩნევენ, რომ ამით არამხოლოდ ბრიტანეთის დაზვერვის სამსახურის იმიჯი შეილახა, არამედ გაჩნდა სერიოზული ეჭვი იმის თაობაზე, რომ ერაყის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიაში დიდი ბრიტანეთის მონაწილეობა სამართლებრივ საფუძველს მოკლებული იყო. თუკი, ტონი ბლერი ვერ შეძლებს ოპონენტების დარწმუნებას იმაში, რომ ერაყს მართლაც გააჩნდა მასობრივი განადგურების იარაღი, არ არის გამორიცხული, რომ მას თანამდებობის დატოვება მოსთხოვონ.

## საქველმოქმედო სეანსი „რუსთაველში”



"წითელი ჯვრის" კიდევ ერთი საქველმოქმედო აქცია.

გუშინ კინოთეატრ "რუსთაველში" საქართველოს "წითელი ჯვრის" საზოგადოებამ და კინოთეატრის დირექციამ უპატრონო და სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებს ანიმაციური მხატვრული ფილმი "მაუგლი" აჩვენა. აქციას 250 ბავშვი დაესწრო.

კინოთეატრის დირექტორი, ნუკრი ასათიანი: "სიამოვნებით გამოვეხმაურეთ "წითელი ჯვრის" თხოვნას, ვინაიდან ვიცით, რომ სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ბავშვების კინოში წაყვანა აუხდენელი ოცნებაა. ყოველთვის მზად ვართ, ასეთი შემთხვევებისთვის უფასო ჩვენება მოვაწყოთ."

ნანა მერაბიშვილი, მშობელი: "ასეთი გახარებული და ბედნიერი ჩემი შვილი კარგა ხანია არ მინახავს. რამდენჯერ აწუწუნებულა, - კინოში შემიყვანეო, - მაგრამ ვერ ვახერხებდი. ჩემთვის 5 და 10 ლარის გადახდა შეუძლებელია."

***"24 საათი"***

## „სამგორი” და „თოლია” - „ქართული ხარისხის” პირველი პრეტენდენტები

გვანცა კვინიკაძე

*ფონდმა "ქართული ხარისხი" ნაყინის დეგუსტაცია-ტესტირების შედეგად "ქართული ხარისხის" ნიშნის პირველი პრეტენდენტი კომპანიები დაასახელა. ესენია - კომპანიები "სამგორი" და "თოლია", რომელთა ნაყინმა ტესტირებისა და დეგუსტაციის საფუძველზე, შესაბამისად, "საუკეთესო" და "ძალიან კარგი" შეფასებები დაიმსახურა.*

ორივე გამარჯვებულმა კომპანიამ ხარისხის ნიშნის მიღების სურვილი გამოთქვა, რის გამოც, ფონდი ამ საწარმოებში წარმოების ხარისხის მართვის, დისტრიბუციისა და რეალიზაციის პირობების დაცულობასაც შეამოწმებს. ფონდი "ქართული ხარისხის" პრეზიდენტის, გიგლა კუნჭულიას განცხადებით, მხოლოდ ამ კრიტერიუმების მაღალ დონეზე დაკმაყოფილების შემთხვევაში მიენიჭება კომპანიებს ხარისხის ნიშანი. ეს პროცესი უახლოეს მომავალში დაიწყება.



გიგლა კუნჭულია - "ქართული ხარისხის" პროპაგანდისტი.

ასევე გაგრძელდება ფონდის მიერ სხვადასხვა პროდუქციისა (ძირითადად, სეზონური) და მომსახურების ტესტირება. კუნჭულიას თქმით, პირველ რიგში, შემოწმდება უალკოჰოლო სასმელები, ყავა (ნალექიანი და უნალექო), ლუდი, ძეხვეული და სამშენებლო მასალები. დაიწყება მომსახურების სხვადასხვა სფეროს ტესტირებაც. მნიშვნელოვანია, რომ ახლახან დასრულებული მოლაპარაკებების შედეგად ავტორიტეტული ამერიკული კომპანია "პერკინ ელმერი" ფონდ "ქართულ ხარისხს" სპეციალურ ლაბორატორიას გადმოსცემს, რომელიც პროდუქციაში მძიმე ლითონების, სტაბილიზატორების, შაქრის შემცვლელებისა და კონსერვანტების შემცველობის დონის დადგენის საშუალებას იძლევა. კუნჭულიას თქმით, ასეთი თანამედროვე ლაბორატორია კავკასიის რეგიონში ერთადერთი იქნება და იგი ფონდს ლაბორატორიული შემოწმებების უზუსტესი შედეგების მიღების საშუალებას მისცემს.

## უჯიხუროდ დარჩენილ მოვაჭრეებს არძინბა გაახსენდათ

*მეტრო "მარჯანიშვილთან" მდებარე სავაჭრო ჯიხურების აღებას მოვაჭრეებმა გუშინ მერიის წინ გამართული საპროტესტო აქციით უპასუხეს. დილის 10 საათზე მუნიციპალიტეტის შენობასთან შეკრებილ მანდილოსნებს ქალაქის ხელმძღვანელობიდან არავინ გამოხმაურებია და ისინიც მალევე დაიშალნენ.*

ნანა ქადაგიშვილი

ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა რამდენიმე თვის წინათ განაცხადა, რომ ცოტა ხანში, თბილისის ქუჩებში განლაგებულ უკანონო სავაჭრო ჯიხურებს შეუტევდა. ჯიხურების აღების პროცესი უკვე დაიწყო. ქალაქის ადმინისტრაციულმა ინსპექციამ, უპირველესად, გელოვანის გამზირი, დიღმის გასასვლელი და მეტრო "მარჯანიშვილის" მიდამოები გაათავისუფლა ჯიხურებისგან. ვაგზლისა და დიდუბის მეტროების მიმდებარე ტერიტორიების გასაწმენდად ინსპექცია საგანგებოდ ემზადება, რადგან ამ ადგილებში ბევრად უფრო მეტი დაბრკოლება ელის. წინააღმდეგობა არც ზემოთ აღნიშნულ ადგილებში მოვაჭრეებს დაუკლიათ, მაგრამ ჩვენ არაფრის გვეშინიაო, - აცხადებს ადმინისტრაციული ინსპექცია.

როგორც ჩანს, თუკი ქალაქის ხელმძღვანელობა მოინდომებს, ულიცენზიო სავაჭრო ჯიხურების აღება შესაძლებელია. არადა, მედიკამენტებითა თუ მალფუჭებადი საკვები პროდუქტით მოვაჭრე ჯიხურები წლობით საფრთხეს უქმნიდა მოსახლეობის ჯანმრთელობას, ჯიხურების მეპატრონეთა სადამსჯელო ღონისძიებები მხოლოდ 9-ლარიანი ჯარიმით შემოიფარგლებოდა და მოვაჭრეები ამასაც არ იხდიდნენ. მსგავსი ჯიხურების არსებობა საგადასახადო სამსახურს, პირიქით, ხელს აძლევდა, - გადასახადს იხდიან და ჩვენ სხვა არაფერი გვეხებაო. არადა, ჯიხურების უმრავლესობა ულიცენზიოა, რამდენჯერმე გაყიდული და მათი მეპატრონეთა ვინაობის დადგენაც კი შეუძლებელია. ისეთი შემთხვევაც ბევრია, როცა სავაჭრო ჯიხური ქალაქის გარეუბანშია გაფორმებული და ცენტრში კი მდებარეობს. თბილისის ხელმძღვანელობა თავს იმართლებდა, - ჯიხურებში მოვაჭრეებს ულუკმაპუროდ ხომ ვერ დავტოვებთო, თუმცა მეტრო "მარჯანიშვილის" მახლობლად მდებარე ჯიხურების აღებისას ეს პრობლემა არავის გახსენებია.

მოვაჭრე დევნილები მერიის ხელმძღვანელობას დაემუქრნენ კიდეც, - თუ ყურადღებას არ მოგვაქცევთ, დახმარებას არძინბას ვთხოვთო.

## მიუსაფართა შემოქმედება

*პორტრეტები, ნატურმორტები, ხელნაკეთი ჩანთები, ფოტოები და სხვა სახის ნამუშევრები - გუშინ ქარვასლის ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზს მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში ამშვენებდნენ. ეს ნამუშევრები თბილისის ბავშვთა თავშესაფრებისა და სარეაბილიტაციო ცენტრების აღსაზრდელებს ეკუთვნოდათ. ამ დღემ შთაბეჭდილება არა მარტო ნამუშევრების ავტორებზე მოახდინა, არამედ მათ მეგობრებზე და მიუსაფარი სახლებიდან მოსულ ბავშვებზე.*

თეა ხოფერია

ათი წლის სალომე პავლიაშვილი თბილისის ერთ-ერთ ბავშვთა თავშესაფარში ცხოვრობს. გუშინდელმა დღემ მისთვის სხვა დღეებთან შედარებით ბევრად განსხვავებულად - შთამბეჭდავად ჩაიარა. ის ქარვასლაში თავისი მეგობრების და, ასევე, თავშესაფრებში მცხოვრები გოგო-ბიჭების ნამუშევართა გამოფენაზე მივიდა. სალომეს თქმით, იგი ძალიან დააინტერესა ამ გამოფენამ, უფრო იმიტომ, რომ ნახატებზე ჩვეულებრივი ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება იყო აღბეჭდილი. სხვათა შორის, ნამუშევრების შემხედვარეს, სალომესაც გაუჩნდა ხატვისა და შემოქმედების სურვილი.

**"სურვილი მაქვს, ნაღვლიანი, სევდის გამომხატველი სურათები დავხატო..."** - ამბობდა სალომე, მიუხედავად იმისა, რომ მისი მასწავლებელი მას უფრო სახალისო თემებზე საუბარს ურჩევდა.

ერთი სიტყვით, გუშინდელმა დღემ თბილისის ბავშვთა სახლების აღსაზრდელებისთვის საკმაოდ საინტერესოდ ჩაიარა. ქალაქის მერიის მიერ მოწყობილ გამოფენაზე ჟიურიმ ავტორებს შორის საუკეთესოებიც გამოავლინა და სამი აღსაზრდელი დიპლომებით, თორმეტი კი სიგელებით დააჯილდოვა. ნამუშევრების წარმოდგენისათვის ჟიურიმ თბილისის ექვსი საუკეთესო ბავშვთა სახლი სიგელებით დააჯილდოვა.

## მოკლედ

**თბილისი.** თბილისში მდინარე ვერე ისევ დაბინძურებულია და მისი საბანაოდ გამოყენება წელსაც აკრძალულია; ქალაქის სანიტარიული ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ჯუღული ახვლედიანის თქმით, მდინარეს რამდენიმე წყარო აბინძურებს. მასში ატენის ქუჩიდან ჩაედინება დაზიანებული საკანალიზაციო კოლექტორის ნაკადი. ვერეს უერთდება ყიფშიძის ქუჩის და ბაგების საკანალიზაციო სისტემებიც. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში ქუჩების დახაზვის და მოძრაობის მაჩვენებლების მოწესრიგების სამუშაოები დაიწყო. მერიის საქალაქო ტრანსპორტის რეგულირებისა და მართვის სამსახურის უფროსის, ოთარ ჭიპაშვილის ცნობით, დღეისთვის უკვე მოინიშნა რუსთაველის გამზირი, პუშკინის და მელიქიშვილის ქუჩები, 26 მაისის მოედანი.

დაწყებულია ჭავჭავაძის გამზირის დახაზვა. წლის ბოლომდე მსგავსი სამუშაოები გამსახურდიას და წერეთლის გამზირებზე, კოსტავას ქუჩაზე და სხვა ცენტრალურ მაგისტრალებზეც ჩატარდება. თუმცა, ქალაქის პერიფერიებში ქუჩების დახაზვა, სავარაუდოდ, წელსაც ვერ მოხერხდება.

წლის ბოლომდე სამსახური აპირებს ქალაქში არსებული 250 შუქნიშნის მოწესრიგებას და შეკეთებას, 100 მოძრაობის მაჩვენებლის ნიშნის ახალი ნიშნებით შეცვლას.

ამ სამუშაოებისთვის დედაქალაქის ბიუჯეტში 400 ათასი ლარია გათვალისწინებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ადმინისტრაციულმა ინსპექციამ დედაქალაქის ქუჩებში არსებული სარეკლამო ფარების აღწერა დაიწყო. ინსპექციის უფროსის, დავით მუმლაძის განცხადებით, ინვენტარიზაცია ერთდროულად ყველა რაიონში ჩატარდება.

სარეკლამო ფარების აღრიცხვის შედეგად ცნობილი გახდება უკანონო რეკლამების რაოდენობა და მათი ლიკვიდაცია უფრო ეფექტიანად ჩატარდება. რეკლამების აღრიცხვა მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება და, პარალელურად, ინსპექცია უკანონო სარეკლამო ფარების მოხსნას გააგრძელებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** მოწამვლის რამდენიმე ფაქტის შემდეგ "ავტოქარხნის" დასახლებაში ხალხი ონკანის წყალს აღარ სვამს. მათი განცხადებით, წყალს თეთრი ჭიები მოჰყვება.

ქალაქის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურისა და "წყალკანალის" წარმომადგენლებმა წყლით მოწამვლის ფაქტები კატეგორიულად უარყვეს და აღნიშნეს, რომ წყლის სინჯებში არანაირი ცვლილება არ შეინიშნება. **ინტერ-პრესი**




## კანონი და სიყვარული

თამარ დვალი

*"ბატონო გელა, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ პროფესიონალი და დიდი, ბუმბერაზი კაცი ბრძანდებით, ეს საქართველოს სიყვარულით არ უნდა იკადროთ! მე სასტიკი და კატეგორიული წინააღმდეგი ვარ "პროქტოლოგიის ცენტრის" პრივატიზებისა. ასე თუ გაგრძელდა, საუნივერსიტეტო კლინიკიდან, რომელსაც ასე ვეთაყვანებით, არაფერი დარჩება", - ასეთი გულის ამაჩუყებელი განცხადებები გააკეთა გუშინ აკადემიკოსმა თამარ დეკანოსიძემ, რომელმაც სულ მუშტების ბრახუნით გააპროტესტა "პროქტოლოგიის ცენტრის" პრივატიზება.*



გია ლობჟანიძე სასამართლოზეც ცდილობდა პრივატიზაციის ხელის შეშლას.

საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის, ინგა თოდრიას გადაწყვეტილების მიუხედავად ("სამედიცინო უნივერსიტეტს მთლიანად უარი ეთქვას." 23. 04. 2003), გუშინდელი პრესკონფერენციის ორგანიზატორები აცხადებენ, რომ მათ სასამართლოში საქმე არ წაუგიათ. თუმცა, ადასტურებენ, რომ უახლოეს მომავალში უზენაეს სასამართლოში აპირებენ საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას.

პრივატიზაცია, რომლის გამოც ექიმები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია, რაც სასამართლომ კანონიერად ცნო, სამედიცინო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა კი დაუშვებლად და არასახელმწიფოებრივად მიიჩნიეს. "ევროპაში არ არსებობს ასეთი იდეაც კი, რომ საუნივერსიტეტო კლინიკის ნაწილი გაიყიდოს, გასხვისდეს. ეს არის ჩვენი ქვეყნისათვის პრესტიჟის შელახვა. შეიძლება, ხვალ იმ ლტოლვილებმა მოგვთხოვონ პრივატიზება, რომლებიც ამ შენობაში ცხოვრობენ", - აცხადებს პროფესორი გაიანე სიმონია, რომლის აზრსაც მთელი კოლექტივი იზიარებს.

"პროქტოლოგიის ცენტრის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ცენტრის შესყიდვა მათ არ მოუთხოვიათ და ეს სახელმწიფოს გადაწყვეტილება იყო. "მე არ მესმის, რა იურიდიული უფლება აქვს სამედიცინო უნივერსიტეტს, პრივატიზება აგვიკრძალოს. როდესაც ეს შენობა მათ დროებით სარგებლობაში გადაეცათ, ჩვენ უკვე ცალკე შპს-დ ვიყავით ჩამოყალიბებული და მათთან არანაირი შეხება არ გვქონია. არ მესმის, რატომ უნდა ვთქვათ უარი კერძო ინვესტიციების ჩადებაზე. ამით ხომ შანსი გვეძლევა, პაციენტებს უფრო თანამედროვე აპარატურით მოვემსახუროთ", - აცხადებს "პროქტოლოგიის ცენტრის" დირექტორის მოადგილე გია მუხაშავრია.

რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა, გია ლობჟანიძემ გელა მუხაშავრიას მიერ ვალებისა და კლინიკის ჩაძირვის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია ჯერ კატეგორიულად უარყო, შემდეგ კი დასძინა, რომ 1 წელიწადში ვალების რაოდენობა 800 ათასამდე შეამცირეს. რაც შეეხება დარჩენილ ვალებს, რომელიც 3 მილიონ 200 ათას ლარს შეადგენს, უახლოეს მომავალში კლინიკის გააქტიურებული მუშაობის შედეგად გაისტუმრებენ.

## წარმატება მხოლოდ თანმიმდევრულობაშია

### "სცოდავს ყველა, ვინც მიჰყვება "თამაშის" მანკიერ წესებს", - დარწმუნებულია თეუს-ის რექტორი

*გასულ შაბათს თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში რექტორის არჩევნები შედგა. პროფესორი გურამ თავართქილაძე მეორე ექვსწლიანი ვადით აირჩია რექტორად ინსტიტუტმა.*

გიორგი ბახელაძე

საქართველოში ყველაზე მოდური სპეციალობები ეკონომისტისა და იურისტისა გახლავთ. ამავდროულად, ამ სფეროებში საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღებთა შორის პროფესიონალიზმის, მართლაც, საშინელი დეფიციტია.

**"უბრალოდ, არასდროს და არსად არ უნდა გავათამამოთ შვილები, მშობლები და "რეკომენდატორები". ჩვენ ჩავდივართ უდიდეს ბოროტებას, როდესაც საკუთარი შვილები დაუმსახურებელ მწვერვალზე აგვყავს,** - გურამ თავართქილაძე ჩვენი საზოგადოების მანკიერი განვითარების მიზეზს უსაფუძლო პროტექციონიზმსა და ამპარტავნებაში ხედავს - **რა თქმა უნდა, სცოდავს ყველა, ვინც საკმარის სიმტკიცესა თუ პრინციპულობას არ იჩენს და მიჰყვება "თამაშის" ამ მანკიერ წესებს."** ინსტიტუტში დარწმუნებულები არიან, რომ უპირველესი, რაც ცხოვრების დასავლური წესიდან უნდა შევითვისოთ, არის "ჩაწყობაზე" სამუდამოდ უარის თქმა. მით უმეტეს, დღეს ქვეყანა ღიაა ადამიანებისა და კაპიტალის მოძრაობისთვის, რაც გარდაუვალს ხდის კონკურენტული გარემოს შექმნას.

ინსტიტუტში მოქმედი სასწავლო გეგმები და პროგრამები შედგენილია აშშ-სა თუ დასავლეთ ევროპის უმაღლეს სასწავლებელთა გამოცდილების გათვალისწინებითა და დახმარებით. სწორედ, საწყის ეტაპზევე მათ ინტენსიური თანამშრომლობა ჰქონდათ ჰალესა (გერმანია) და ატლანტის (აშშ) უნივერსიტეტებთან. მათივე დახმარებით დაკომპლექტებულია სასწავლებლის ძალიან მდიდარი თანამედროვე ბიბლიოთეკა.

ერთი წელია, რაც უმნიშვნელოვანესი ინოვაცია - სწავლების ე.წ. საკრედიტო ფორმა დაინერგა. **"საკრედიტო ფორმაზე ჩვენ ნაჩქარევად არ გადავედით, სწორედ იმის გამო, რომ ეს ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია დიპლომის ნოსტრიფიკაციისათვის. ორი წელი ვემზადებოდით და ერთწლიანმა პრაქტიკამ მაღალი შედეგები მოგვცა. გვყავს 100-ქულიანი სტუდენტებიც, დაახლოებით 10-12",** - ამბობს გურამ თავართქილაძე. მოცემულ საგანში თითო კრედიტი მოიცავს სამ მეცადინეობას (ერთი კვირა) და ყველაფერი ფიქსირდება რვეულში. თან სტუდენტს წინასწარ აქვს მიცემული დასამუშავებელი ლიტერატურის ნუსხა და ეს ყველაფერი არის ბიბლიოთეკაში. სტუდენტი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს საკრედიტო ფორმით სწავლების მოთხოვნებს, გადაყავთ ფასიან სექტორზე და მისი დიპლომი ნოსტრიფიკაციას აღარ დაექვემდებარება.

ინსტიტუტის დიპლომის ნოსტრიფიცირება სასწავლებლის ხელმძღვანელობას უმთავრეს პრიორიტეტად მიაჩნია. **"ჩვენ ბევრად მომზადებულები შევხვდებით ამ ეტაპს, ვიდრე ბევრს ჰგონია. მაგრამ, სამწუხაროდ, ნოსტრიფიკაცია მხოლოდ ჩვენს მზადყოფნაზე არ არის დამოკიდებული. იმ დროისათვის უნდა არსებობდეს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, რომელიც პარლამენტში დამუშავების საგანია. თუმცა, კონსულტაციები ჭიანურდება გასაგები მიზეზების გამო",** - დანანებით გვითხრა თეუს-ის რექტორმა.

ინსტიტუტში მისაღები კონტიგენტის განათლების ხარისხი პრიორიტეტულია. მათ მიაჩნიათ, რომ სანამ სკოლაში სასწავლო პროცესი ხარისხიანი არ გახდება და, რაც მთავარია, შეფასების სისტემა ობიექტური არ იქნება, მანამდე უმაღლეს სასწავლებელში მოსული კონტიგენტის სრულფასოვან მზაობაზე საუბარი ზედმეტია. სრულიად გასაგებია და, ალბათ, ამიტომაც ინსტიტუტთან შექმნილია კოლეჯი. იქაურ პირველკურსელებს ჯერ არ აქვთ სპეციალობის არჩევანის უფლება. იღებენ მხოლოდ ზოგად განათლებას. მეორეკურსელები კი უკვე გაცნობილები არიან, ოჯახთან ერთად, მთლიანად ინსტიტუტისა და კოლეჯის ცხოვრებას. ამდენად, მათ უკვე ეძლევათ მაპროფილებელი დარგის არჩევანის საშუალება: ტურიზმი, ფინანსები თუ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები და ა.შ.

ამის შემდეგ მათთან იწყება ინდივიდუალური მუშაობა. **"სკოლაში რეფორმის განხორციელება ამგვარი მდგომების დანერგვას უნდა გულისხმობდეს",** - დარწმუნებულები არიან თეუს-ში.

ინსტიტუტს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს ბანკებთან, სადაც სტუდენტები პრაქტიკას გადიან და ძალიან ხშირად მათ იქვე იწვევენ სამუშაოდ. ძალიან ბევრი კურსდამთავრებული მუშაობს ეროვნულ ბანკში, ბანკ "რესპუბლიკაში", გაერთიანებულ ქართულ ბანკში. ბევრი მუშაობს გაზის საერთაშორისო კორპორაციაში, "ეი-ი-ეს თელასში", "პირველში", არიან ფინანსთა სამინისტროშიც. სხვათა შორის, არის ტენდენცია პედაგოგიური მოღვაწეობის გაგრძელებისა და არა მარტო თეუს-ში. მათი კურსდამთავრებული ასწავლის კავკასიის ბიზნესის სკოლაშიც.

# მკალავიშვილს სამთვიანი პატიმრობა ემუქრება

პირველი გვერდიდან

როგორც მოგეხსენებათ, ბასილ მკალავიშვილის მიმართ წარსულშიც იყო საქმე აღძრული, მაგრამ მაშინ პროკურატურამ შედარებით მსუბუქი აღმკვეთი ღონისძიება – პოლიციის ზედამხედველობა მოითხოვა. ამჟამად პატიმრობის შეფარდება ქალაქის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა ვალერი გრიგალაშვილმა ასე ახსნა: **"ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ექვსჯერ ვცადეთ, რომ მკალავიშვილისთვის ბრალი წარგვედგინა, მაგრამ ტექსტის წაკითხვას ვიწყებდით თუ არა, იგი მაშინვე გარბოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოვასწარით ტექსტის წაკითხვა, მკალავიშვილი კი მაინც გაიქცა და წარდგენილ ბრალდებას ხელიც არ მოაწერა. როგორც მიხვდით, იგი ხელს უშლის გამოძიებას. ამიტომაც, იძულებულნი ვართ, რომ იგი წინასწარ პატიმრობაში გვყავდეს",** – აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბრისას ბრალდების მხარდამჭერმა პროკურორმა.



*მკალავიშვილის მომხრეები პოლიციამ ძლივს დააკავა.*

პროკურორის ნათქვამს გლდანის ეპარქიის წარმომადგენლები, რა თქმა უნდა, არ ეთანხმებიან: **"წიგნების დაწვისას, მოძღვარს მთელი მრევლი თან ახლდა, მარტო მოძღვარს რატომ იჭერენ. ჩვენ დაგვიჭირონ და მოძღვარი გაუშვან. რატომ გვდევნიან, ჩვენ ხომ მართლმადიდებლობის გადარჩენისთვის ვიბრძვით",** – ამბობდა სასამართლოს წინ შეკრებილი მრევლი.

გლდანის ეპარქიის წინამძღვრის მართლმადიდებლურ მისიაში ეჭვი არც "აღორძინების კავშირს" ეპარება. რწმენა კი მათ, როგორც ჩანს, არჩევნების მოახლოებისას უფრო ულრმავდებათ, რადგან გუშინ შეკრებილ მრევლს სულიერ მხარდაჭერას სწორედ "აღორძინების" რამდენიმე წევრი უცხადებდა. **"ჩვენ აქ იმიტომ ვართ, რომ შევარდნაძის ხელისუფლებისგან დავიცვათ ადამიანის უფლებები. მკალავიშვილი და მისი მრევლი მართლმადიდებლობის დასაცავად იბრძვის და ეს არ მოსწონს ჩვენს ხელისუფლებას. მკალავიშვილისადმი აქამდეც თბილი დამოკიდებულება გვქონდა, მაგრამ დღემდე დახმარება არ სჭირდებოდათ",** – გვითხრა "აღორძინების" ერთ-ერთმა ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ.

მოგვიანებით, მრევლს მათი ნამდვილი გულშემატკივარი გურამ შარაძეც შეუერთდა. **"მე არ მჯერა, რომ ჭანტურიას და სააკაშვილის სასამართლო ობიექტურ გადაწყვეტილებას გამოიტანს. ისინი "თავისუფლების ინსტიტუტის" დაკვეთას ასრულებენ. ეს ხალხი კი საქართველოს და მართლმადიდებლობის მტრები არიან,"** – განაცხადა შარაძემ.

გუშინდელ შეკრებას სრული მობილიზებით შეხვდა პოლიცია. მობილიზება კი აშკარად საჭირო აღმოჩნდა.

თითქმის სამსაათიანი ფიქრის შემდეგ, მოსამართლე მამუკა ნოზაძემ გადაწყვეტილება გამოაცხადა – შეეფარდოს ბასილ მკალავიშვილს სამი თვით წინასწარი პატიმრობა.

**"ეს უკანონო გადაწყვეტილებაა. კარგად ვიცით, ნოზაძეს რომელი პატიმრისგან რამდენი ქრთამი აქვს აღებული და ყველაზე საშიშ დამნაშავეებსაც გარეთ რომ ტოვებს. მკალავიშვილი კი ვიღაცის შეკვეთით დააპატიმრა,"** – ამბობდა მკალავიშვილის ადვოკატი ხათუნა სალუქვაძე.

**"რამდენიმე სექტანტურმა ორგანიზაციამ უცხოეთიდან შემოტანილი 300 ათასი დოლარი გადაიხადა, რომ მკალავიშვილი დაეპატიმრებინათ. ჩვენ ეს წინასწარ ვიცოდით, მაგრამ დღეს საბოლოოდ დავრწმუნდით,"** – ამბობდა დეპუტატი ბრეგაძე.

სასამართლო გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მრევლი კი პროტესტის გამოსახატად ზარების რეკვით და წყევლით ჯერ უზენაესი სასამართლოს შენობისკენ დაიძრა, იქიდან კი კანცელარიასთან მისვლას გეგმავდა, მაგრამ პოლიციამ აღშფოთებული მრევლი არაყიშვილის ქუჩის გასასვლელშივე მიიმწყვდია.

რამდენიმესაათიანი მოლაპარაკების შემდეგ, გლდანის ეპარქიის მრევლი პოლიციამ სპეციალურად მიყვანილ ავტობუსებში ჩასვა და საკუთარ სამლოცველომდე გააცილა.

**"ჩვენ ამ ხალხზე ვიზრუნეთ. გზაში კანონს დაარღვევდნენ, მერე საქმეს აღძრავდნენ, დაიჭერდნენ და ისევ აქციების გამართვა დასჭირდებოდათ,"** – ასეთი კომენტარი გააკეთა თემურ მღებრიშვილმა.

გლდანის ეპარქიის მრევლმა კი გლდანის ეკლესიასთან საპროტესტო აქცია გააგრძელა.

# პატიმრები თავისუფლდებიან, ბადრაგი პატიმრობაშია

ორთაჭალის საპყრობილიდან გაქცეული პატიმრების ადგილ-სამყოფელი დღემდე უცნობია. მომხდარი გაქცევის გამო, თბილისში ცენტრალური უბნების გადაკეტვასა და გაძლიერებულ რეიდებს, ჯერჯერობით, არანაირი შედეგი არ მოჰყოლია. ციხიდან გაქცეული 15 სერიოზული დამნაშავის კვალს სამართალდამცველებმა ვერ მიაგნეს.

არაოფიციალურად გავრცელდა ვერსია, რომლის მიხედვითაც, გაქცეულები ცხინვალის ტერიტორიაზე იმყოფებიან. როგორ და ვისი ხელშეწყობით მოხდა მძიმე ბრალდებებით დაპატიმრებულთა ცხინვალში გადაყვანა, ჯერჯერობით, ვერავინ აკონკრეტებს.

პატიმრების გაქცევის გამო, დაკავებულ ორთაჭალის საპყრობილის ხუთ კონტროლიორსა და რეჟიმის დაცვის ზედამხედველ ოფიცერს, რომელთაც სამსახურებრივი გულგრილობა და დაუდევრობა ედებათ ბრალად, მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა უკვე შეუფარდა. საბადრაგო სამსახურის წევრებისთვის წაყენებული ბრალდება ოთხ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

"დაკავებულ პირებს, კანონის შესაბამისად, უფლება არ ჰქონდათ, შაბათ დღეს პატიმრები სასეირნო ოთახში გაეყვანათ, მით უმეტეს - 15 და 20 კაცი ერთად", – აცხადებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კანონიერების დაცვის ზედამხედველი, პროკურორი ზურაბ ჯორჯიკია. მისივე თქმით, გამოძიებამ, პირველ რიგში, უნდა დაადგინოს, გაქცეულებმა თავად მოახერხეს კედლის განგრევა, თუ მათ მებადრაგეებმა შეგნებულად, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით გაუღეს კარი და უპრობლემოდ გაუშვეს. "გამოძიება ბევრ სხვა საინტერესო გარემოებასაც დაადგენს და გაქცევის ხელშემწყობ დამნაშავეებს კანონის წინაშე მოუწევთ პასუხის გება," - აცხადებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში კანონიერების დაცვის ზედამხედველი პროკურორი.

# ორი წელი „დედოვშჩინისათვის"

მოსკოვის საგარნიზონო სამხედრო სასამართლომ განაჩენი გამოიტანა კრემლის პოლკის რიგითის, 20 წლის ალექსანდრე ფოკინის ცემის გამო აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე. სასამართლომ დამნაშავედ ცნო ბრალდებული ვლადიმირ შუმენკო. მას ბრალად ედებოდა სამსახურებრივი უფლება-მოვალეობის გადამეტება ძალადობის გამოყენებით, რამაც მძიმე შედეგები გამოიწვია. ამ მუხლით თავისუფლების აღკვეთის უმაღლეს ვადად 10 წელია გათვალისწინებული. თუმცა, სასამართლომ ბრალდებულს დისციპლინარულ სამხედრო ნაწილში ორი წლის გატარება მიუსაჯა. ამასთან, სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალმდებლის მოთხოვნა იმის თაობაზე, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ შუმენკოს აეკრძალოს გარკვეული თანამდებობების დაკავება.

უმცროსი სერჟანტი ვლადიმირ შუმენკო კავშირგაბმულობის ქვედანაყოფის ერთ-ერთ განყოფილებას ხელმძღვანელობდა. მისი ხელქვეითი იყო რიგითი ფოკინიც, რომელმაც, გამოძიების მონაცემების თანახმად, თავის მოკვლა მას შემდეგ სცადა, რაც უმცროსმა სერჟანტმა უმოწყალოდ სცემა.

# ჩეჩენი პატიმრის ადვოკატი გამოძიებას კანონის დარღვევაში ადანაშაულებს

ხათუნა ჯანგირაშვილი

საოლქო სასამართლოში გუშინ კიდევ ერთხელ გადაიდო ჩეჩენი განსასჯელის, ხამზატ ისაევის სასამართლო პროცესი. ისაევი იმ ჩეჩენ პატიმართა რიცხვშია, რომელთა ექსტრადირებისთვის საჭირო დოკუმენტაცია რუსეთის გენერალურ პროკურატურას ქართველი კოლეგებისთვის ჯერ არ გამოუგზავნია. შესაბამისად, მისი რუსეთში ექსტრადირების საკითხს, ჯერჯერობით, არც საქართველოს გენერალური პროკურატურა აყენებს.

საოლქო სასამართლო ისაევს საქართველოში ჩადენილი დანაშაულისთვის, საზღვრის უკანონო გადმოკვეთისა და იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით ასამართლებს. რა პრინციპით გამოეყო ისაევის საქმე იმ ორი ჩეჩენი პატიმრის საქმეს, რომელთა ექსტრადირებასაც გენერალური პროკურატურა არ ითხოვს, და რატომ ასამართლებენ მას ცალკე, გაურკვეველია. ამ კითხვაზე პასუხი არც პროკურატურას გააჩნია და ვერც ადვოკატები აკონკრეტებენ.



*ხამზატ ისაევის სასამართლო პროცესი კვლავ გადაიდო.*

წინა პროცესზე საქართველო-რუსეთის საზღვრის დამრღვევი ჩეჩენი განსასჯელის ადვოკატმა ეჭვქვეშ დააყენა მისი დაცვის ქვეშ მყოფის წინააღმდეგ შეგროვებული ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების კანონიერება. "გამოძიების მიერ მოკვლეული მასალები კანონით დადგენილი წესით არ არის მოპოვებული", - აცხადებს ადვოკატი არჩილ ჩოფიკაშვილი. წინა პროცესზე სახელმწიფო ბრალმდებელმა ადვოკატის ბრალდებებზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა და საქმის მასალების გასაცნობად სასამართლო კოლეგიას დრო მოსთხოვა. სასამართლომ მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა, თუმცა პროკურორმა კოტე ცაცუამ ვერც გუშინ შეძლო გამოძიების ობიექტურობისა და მის მიერ მტკიცებულებების კანონიერად მოპოვების შესახებ ახსნა-განმარტებების მიცემა. ამ გარემოებას დაედო საფუძვლად ადვოკატის ახალი შუამდგომლობა, რომლითაც ჩეჩენი პატიმრის ინტერესების დამცველმა სასამართლოსგან მოითხოვა, რომ მოსამართლეს ისაევის დაკავების, იარაღის ამოღების, იარაღის წარმოდგენის ოქმები და ბალისტიკური ექსპერტიზის პასუხი დაუშვებელ მტკიცებულებად ეცნო. "თითქმის, ყველა ოქმი კანონის დარღვევით არის შედგენილი და არ შეიძლება ისინი უტყუარ მტკიცებულებებად გამოდგეს სასამართლო გამოძიების პროცესში", - ასეთია ისაევის დამცველის პოზიცია. პროკურორმა კოტე ცაცუამ, წინა პროცესის მსგავსად, ადვოკატის მიერ პროცესზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის გასაცნობად და დაცვის მხარისთვის დასაბუთებული პასუხების გასაცემად კვლავ რამდენიმედღიანი ვადა მოითხოვა. ისაევის სასამართლო პროცესი ოთხ დღეში განახლდება და სახელმწიფო ბრალმდებელს ადვოკატის მიერ გამოძიებისთვის წაყენებულ ბრალდებებზე მოუწევს პასუხის გაცემა.

# საერთაშორისო ორგანიზაციები აღშფოთებულები არიან

ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია "ამნისტი ინტერნეიშენალი", თავის ყოველწლიურ მოხსენებაში განსაკუთრებულ შეშფოთებას გამოთქვამს - უკრაინაში პატიმართა და დაკავებულთა მიმართ წამების მეთოდების გამოყენების გამო. "უკრაინელი სამართალდამცველების მუშაობაში წამება მუშაობის ჩვეულებრივ მეთოდად იქცა", - ნათქვამია მოხსენებაში, რომლის ნაწილიც კიევში საჯაროდ იქნა გამოქვეყნებული.

ადამიანის უფლებათა დამცველები აღნიშნავენ, რომ კარგა ხანია უკრაინაში შექმნილი მდგომარეობის გამო, განგაში აქვთ ატეხილი, თუმცა, დაკავებულთა და პატიმართა წამების ახალ-ახალი ფაქტების შესახებ კვლავაც რეგულარულად მისდით ინფორმაცია.

იგივე საკითხია წამოჭრილი ევროკავშირის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მიერ. კომიტეტის წევრები უკვე სამჯერ იყვნენ ჩასულები უკრაინაში და ამბობენ, რომ "იქ ადამიანებს, რომლებიც მილიციის განყოფილებებში იმყოფებიან, ფიზიკური ზეწოლის საშიშროება ემუქრებათ; განსაკუთრებული საფრთხე დაკავებიდან რამდენიმე საათის მანძილზე ელით, როდესაც სამართალდამცველებს მათგან აღიარებითი ჩვენების გამოძალვა სურთ". გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა დამცველების აზრით, უკრაინის ციხეებში პატიმრების შენახვის პირობები ძველებურად არ შეესაბამება "მინიმალურ საერთაშორისო სტანდარტებს".

"ამნისტი ინტერნეიშენალი" ასევე ამახვილებს ყურადღებას უკრაინაში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაზე და ხაზს უსვამს საინფორმაციო საშუალებების მუშაობაში ხელისუფლების უხეშად ჩარევის ფაქტებს. ამასთან, ადამიანის უფლებების დამცველები აღნიშნავენ, რომ ჯერაც წინ არ წასულა ჟურნალისტების - გიორგი ღონღაძისა და იგორ ალექსანდროვის მკვლელობების საქმეების გამოძიება.

# სადისტური მკვლელობა მუხათგვერდის სასაფლაოზე

თამარ კაციტაძე

მუხათგვერდის სასაფლაოსთან, ხრამში, შემთხვევით გამვლელმა მწყემსებმა თავმოჭრილი ქალის გვამი იპოვეს.

ინფორმაციის მიღებისთანავე შემთხვევის ადგილზე გასულმა ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს და ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა გვამის შორიახლოს მკვლელობის იარაღი, სისხლიანი მცირე ზომის დანასაც მიაგნეს.

სამდღიანი მუშაობის შემდეგ, გუშინ ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციაში გამართულ პრესკონფერენციაზე თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსმა ლევან მაისურაძემ მკვლელობა გახსნილად გამოაცხადა.

დღეისათვის უკვე დადგენილია, როგორც მოკლულის ვინაობა, ასევე დაკავებულები არიან მკვლელობაში ეჭვმიტანილებიც.



*სასაფლაოზე აღმოჩენილი გვამი.*

ლევან მაისურაძის ინფორმაციით, წარსულში რამდენჯერმე ნასამართლევმა ლევან დავითულიანმა და ვიტალი არაბულმა 2 ივნისს საღამოს რამდენიმე პიროვნების დახმარებით სახლიდან გამოიყვანეს 35 წლის მანანა სულაძე, რომელიც მოტყუებით ჩასვეს ავტომობილში, მუხათგვერდის სასაფლაოს ტერიტორიაზე აიყვანეს და სადისტურად მოკლეს. ჯერ-ჯერობით სამართალდამცველები მკვლელობის ზუსტ მოტივზე ვერ საუბრობენ. თუმცა, უკვე გამოკვეთილია გაქურდვის ფაქტი. მანანა სულაძის კუთვნილი ოქროს ბეჭედი და სხვა სამკაულები, რომელიც მას მკვლელობის ღამეს ეკეთა სამართალდამცველებმა არაბულის ბიძაშვილის ბინაში იპოვეს.

მაისურაძის ინფორმაციით, დავითულიანი და არაბული სულაძეს წარსულში იცნობდნენ, მაგრამ უკავშირდება თუ არა მკვლელობა ძველ ნაცნობობას პოლიციელები არ აკონკრეტებენ.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურა იძიებს. პროკურორის თამაზ გეთიას თქმით, ერთ-ერთმა ეჭვმიტანილმა აღიარა მკვლელობა, მეორე კი დუმილის უფლებას იყენებს. გეთიას თქმით, მკვლელობასთან დაკავშირებით უკვე შეკრებილია საკმარისი მტკიცებულებები და დღეს გამოძიება ორივე ეჭვმიტანილისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების მოთხოვნით სასამართლოში შუამდგომლობით შევა.

# მოკლედ

**ახმეტა.** ახმეტის პოლიციამ, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, პანკისის ხეობის სოფელ დუისში დააკავა 37 წლის ქისტი თამაზ გაურგაშვილი, მეტსახელად „შახი", რომელიც ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ახმეტის განყოფილებაში, აღნიშნული ფაქტის გამო, სისხლის სამართლის საქმე უკვე აღიძრა. ახმეტის რაიონის პოლიციის უფროსის, ლევან შაშიაშვილის ინფორმაციით, გაურგაშვილი ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებისთვის უკვე მეორედ დააკავეს. პირველად იგი კანონით დაწესებული 80-ლარიანი ჯარიმის გადახდის შემდეგ ხელწერილით გაათავისუფლეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** იუსტიციის მინისტრის მოადგილემ, კახა კობერიძემ გუშინ ჩეხეთის პენიტენციური სისტემის გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე, ბოგუსლავ ბურკევიჩი და საქართველოში ჩეხეთის ელჩი, ირჟი ნეკვასილი მიიღო. გუშინწინ სტუმრებმა თბილისის №1 და №5 საპყრობილეები მოინახულეს. კობერიძესთან შეხვედრაზე სტუმრებმა აღნიშნეს, რომ მზად არიან, ტექნიკური დახმარება გაუწიონ საქართველოს პენიტენციურ სისტემას. ჩეხეთის 10-მილიონიან მოსახლეობაში პატიმართა რიცხვი 16 ათასს შეადგენს. მათგან ერთი საქართველოს მოქალაქეა. ცნობისთვის: 4,5-მილიონიან საქართველოში 7.000-მდე პატიმარია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში დღეს განახლდება ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის განხილვა, სადაც განსასჯელ გრიგოლ ხურცილავას ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა გამოქვეყნდება. ექსპერტიზა პასუხს გასცემს კითხვას - იყო თუ არა გრიგოლ ხურცილავა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში, როდესაც მკვლელობა ჩაიდინა. ექსპერტიზის დანიშვნა ხურცილავას ადვოკატმა, დავით დადიანმა 7 აპრილის სასამართლო სხდომაზე მოითხოვა. ექსპერტებს სასამართლომ ერთთვიანი ვადა მისცა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა.

მსგავსი ექსპერტიზა განსასჯელს წინასწარი გამოძიების პროცესშიც ჩაუტარდა და ამ კითხვას უარყოფითი პასუხი გაეცა. ადვოკატმა ხელმეორე ექსპერტიზა სასამართლო პროცესზე მოწმეებისა და განსასჯელის მიერ მკვლელობის მოტივად სექსუალური ძალადობის დასახელების გამო მოითხოვა. ეს მოტივი საქმის წინასწარი გამოძიებისას არ დასახელებულა. ექსპერტების დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ გიორგი სანაიას მკვლელობის სასამართლო გამოძიება დასრულდება და მხარეები კამათზე გადავლენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პაკისტანის მოქალაქის, ამირ ჰასან-ხანის გაქურდვაში ედება ბრალი 45 წლის თბილისელ ნოდარ შაიბაზოვს, რომელიც პოლიციელებმა გუშინწინ დააკავეს. პოლიციის ცნობით, შაიბაზოვმა თბილისში დროებით მყოფ პაკისტანელს ხელჩანთა და პირადი ნივთები ავტომანქანიდან 3 ივნისს მოპარა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შპს „საქართველოს უშიშროებისა და უსაფრთხოების დაცვის" თანამშრომლები - 23 წლის დმანისელი ბესიკ ავალიშვილი და 24 წლის კასპელი თემურ გიგოლაშვილი, პოლიციელებმა ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. თბილისის პოლიციის ცნობით, ნასვამი ავალიშვილი და გიგოლაშვილი მოტყუებით ავტომანქანაში ჩაუსხდნენ თბილისელ ოთარ ხარატიშვილს და საფანტის პისტოლეტის მუქარით მას 30 ლარი გასტაცეს. „საქართველოს უშიშროებისა და უსაფრთხოების დაცვის" თანამშრომლები პოლიციელებმა შემთხვევიდან რამდენიმე წუთში კოსტავას ქუჩაზე დააკავეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 39 წლის კახა ჩახუნაშვილმა 2 ივნისს მასზე გაფორმებული საფანტის ტიპის პისტოლეტით თავი მოიკლა. ჩახუნაშვილმა თვითმკვლელობა თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარე საკუთარ სახლში ჩაიდინა. პოლიციის ცნობით, თვითმკვლელობის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, რომელსაც ვაკე-საბურთალოს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "სრულიად საქართველოს პატრიოტთა კავშირი" უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრებს თბილისის საოლქო სასამართლოს მიერ მიღებულ ვერდიქტს, რომლითაც კანონიერად იქნა ცნობილი იუსტიციის სამინისტროს მიერ ორგანიზაციის რეგისტრაციაში გატარებაზე უარის თქმა. კავშირის ერთ-ერთი ლიდერის, დოდო გუგეშაშვილის თქმით, წარსულის მწარე გამოცდილების მიხედვით, მათ არც ახლა აქვთ დიდი იმედი, რომ უზენაესი სასამართლო დასთანხმდება მათ რეგისტრაციაში გატარებას, თუმცა იმედოვნებენ, რომ სასამართლო გაითვალისწინებს იმ გარემოებებს, რომ რეგისტრაციაში არგატარების გადაწყვეტილება მიღებულია არაუფლებამოსილი პირის, იუსტიციის მინისტრის მოადგილის, ზურაბ ეზუხბაიას მიერ, რაც კანონის უხეში დარღვევაა. როგორც გუგეშაშვილი აღნიშნავს, რეგისტრაციაზე უარი ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებას პატრიოტების თავიდან მოცილება სურს და "მხედრიონის" დევნას აგრძელებს. **პრაიმ-ნიუსი**

# ანტიტერორისტული ბატალიონიდან კიდევ ერთი ჯარისკაცი გაიქცა

ვაზიანის სამხედრო ბაზაზე დისლოცირებული "კომანდოს" ანტიტერორისტული ბატალიონიდან, რომელიც "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის ფარგლებშია მომზადებული, კიდევ ერთი ჯარისკაცი გაიქცა. უფრო ზუსტად, ხაშურის რაიონში მცხოვრები 24 წლის ალექსანდრე დერევიაჩენკო, რომელთანაც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ კონტრაქტი გასული წლის 2 აგვისტოს გააფორმა, 30 აპრილს სამხედრო ნაწილიდან 5-დღიან შვებულებაში გაუშვეს. მას შემდეგ იგი ბატალიონში აღარ გამოჩენილა.

ქვემო ქართლის სამხარეო სამხედრო პროკურორის, მამუკა ცაავას თქმით, შვებულების ვადის ამოწურვიდან 10 დღის გასვლის შემდეგ შიდა სამსახურეობრივი მოკვლევა დაიწყო. ბატალიონის მეთაურის ბრძანებით, მოკვლევა თავად სამხედრო ნაწილში ჩატარდა და მოკვლეული მასალები ვაზიანის სამხედრო პროკურატურას გადაეგზავნა. ცაავასავე განცხადებით, მიუხედავად სრული საფუძვლის არსებობისა, ურჩ ჯარისკაცზე ძებნა ჯერ არ გამოცხადებულა: გამოძიება ცდილობს, ჯარისკაცი ნებით დააბრუნოს ნაწილში. მაგრამ, თუ მათი მცდელობა არ გამართლდა, დეზერტირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ელის.

სამხედრო ნაწილის თვითნებურად მიტოვების გამო, დერევიაჩენკოს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 388-ე მუხლის თანახმად, 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. გარდა ამისა, მას თავდაცვის სამინისტროსთან გაფორმებული კონტრაქტის დარღვევაშიც დაედება ბრალი.

კონტრაქტის თანახმად კი, თუ დაქირავებული ჯარისკაცი პირადი ინიციატივით ან ბრალეულობით შეწყვეტს კონტრაქტს, იგი ვალდებულია, ჯარიმის სახით, აანაზღაუროს სწავლების პერიოდში მასზე დახარჯული თანხა, რომელიც, დაახლოებით, 2000 ლარს შეადგენს.

დერევიაჩენკოს გაქცევა "კომანდოს" ანტიტერორისტული ბატალიონიდან, წელს, ჯარისკაცის გაქცევის უკვე მეხუთე შემთხვევაა. სამხედრო ნაწილში გამოცხადებისა და ბრალეულობის აღიარების შემდეგ გაქცეულებმა - ემზარ ბერულავამ და დავით გეგენავამ, კონტრაქტის დარღვევის გამო, 2000-2000 ლარი გადაიხადეს.

რაც შეეხება ამავე ბატალიონიდან გაქცეულ სხვა ჯარისკაცებს - კაპრალ მამუკა ხუროშვილსა და გიორგი აშკარელს, მათ სამართალდამცველები, ჯერჯერობით, უშედეგოდ ეძებენ.

# ერთი ბნელი ისტორია

ებრაელთა წინააღმდეგ მითიური ბრალდებების გამოგონებამ ინდუსტრიული ეპოქის დადგომისთან ერთად განახლებული სახე მიიღო: XIX საუკუნეში ებრაელებს უკვე, არც მეტი, არც ნაკლები, მსოფლიოს დაპყრობის მიზნით საიდუმლო შეთქმულებაში ადანაშაულებდნენ. ამ იდეას ათასი ჯურის ადამიანი გამოთქვამდა, რომელთა შორის იპოვით კათოლიკე ეპისკოპოსებს, ღარიბ პოლონელ აზნაურებს, ებრაული წარმოშობის რუს ანტისემიტებს, თურქული გვარის მქონე სერბ მართლმადიდებლებს და ევროპული ისტორიის სხვა მესამეხარისხოვან პერსონაჟებს.

ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ებრაელთა მსოფლიო შეთქმულების იდეა მრავალ ფორმას იღებდა, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი შემდეგია.

XIX საუკუნის შუა წლებში საფრანგეთი **ნაპოლეონ III**-ის დესპოტური რეჟიმის ქვეშ მოექცა. ფრანგ ჟურნალისტს, **მორის ჟოლის**, როგორც იგი 1870 წელს იგონებდა, აზრად მოუვიდა, დაეწერა სატირული ნაწარმოები: "დიალოგი ჯოჯოხეთში მონტესკიესა და მაკიაველს შორის". რეჟიმის კრიტიკა პირდაპირ ტექსტით აკრძალული იყო, ამიტომაც ჟურნალისტმა იგავური ფორმა აირჩია. და მაინც, 1865 წლის 25 აპრილს მას სასამართლოს წინაშე წარდგომა მოუხდა. ჟენევაში გამოცემული წიგნის ტირაჟი განადგურებულ იქნა. 1879 წელს ხელმოცარულმა ჟურნალისტმა თავი მოიკლა, მაგრამ მიხეილ ბულგაკოვისგან ვიცით, რომ ხელნაწერები არ იწვის...

მორის ჟოლის თვითმკვლელობიდან რამდენიმე წლის შემდეგ რუსეთის დაზვერვის რეზიდენტად პარიზში ჩამოვიდა ვინმე **პეტრე რაჩკოვსკი**. იგი მანამდე ცნობილი იყო იმით, რომ თვითონვე დაამზადა ბომბები, თავისი აგენტების მეშვეობით გადასცა ისინი შემთხვევით ადამიანებს, შემდეგ მოსპო აგენტები და "გახსნა" ანარქისტების შეთქმულება. სრულიად შემთხვევით რაჩკოვსკის ჩაუვარდა ხელში მორის ჟოლის პამფლეტის გადარჩენილი ეგზემპლარი, რომელიც უკვე აღარავის ახსოვდა საფრანგეთში. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა ამ ტექსტის საფუძველზე შექმნილი ნაყალბევი, რომელიც დღემდე ცნობილია როგორც "სიონის ბრძენთა ოქმები". ეს ოქმები თითქოსდა ასახავს საიდუმლო ებრაული ორგანიზაციის მიერ მოწყობილი კონგრესის შედეგებს. კონგრესზე, რომლის არც ჩატარების ვადა და არც ადგილი არაა ნახსენები, თითქოსდა შემუშავდა ევროპული სახელმწიფოების თანდათანობითი დაპყრობისა და დასუსტების გეგმა, რომლის მთავარი მიზანი ზეეროვნული იმპერიის შექმნა და მთელი ძალაუფლების ებრაელთა ხელში გადაცემაა.

საზოგადოდ, "ოქმების" ტექსტი საკმაოდ ბუნდოვანია და უთავბოლო. ისიც შეიძლება ითქვას, რომ ტექსტში სულაც არ ჩანან ებრაელები. მაგრამ დანიშნულება ძებნის მანიით შეპყრობილი ადამიანისთვის ეს "მტკიცებულება" სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. უფრო მეტიც, XX საუკუნის დასაწყისში, როცა უკრაინის ტერიტორიაზე რუსმა პატრიოტებმა რამდენიმე ათეული ათასი ებრაელი გაჟლიტეს, ამ ცნობილი "პოგრომების" ინიციატორები, "რუსი ხალხის კავშირის", ანუ "შავი ასეულის" წევრები სწორედ "სიონის ბრძენთა ოქმებით" ამართლებდნენ თავიანთ ბოროტმოქმედებას.

როგორ მოხდა მორის ჟოლის დიალოგი, რაჩკოვსკის ბრძანებით გადაკეთების შემდეგ რუსი შავრაზმელების ხელში? 1890 წელს პარიზში ჩამოსულმა "ოხრანკის" რეზიდენტმა, როგორც ეტყობა, ჟოლის ტექსტში ჩამალული პერსპექტივა შეამჩნია. ეს იყო ინტრიგების ქსოვის, ახალი გაყალბებული საქმეებისა და გაუვნებელყოფილი "სახელმწიფო საფრთხის" პერსპექტივა. თანაც ინტრიგების სამიზნე იდეალური იყო: მოსახლეობის ისედაც დაუცველი და ლამის კანონგარეშე დარჩენილი ფენა — ებრაელები.

რაჩკოვსკის მიერ შემუშავებული გეგმა იმდენად ეფექტური აღმოჩნდა, რომ, თუმცა იგი მშვიდობიანად გარდაიცვალა 1911 წელს, ახალგამომცხვარ "ოქმებზე" აღზრდილმა ანტისემიტებმა განაცხადეს, რომ მათი სულიერი მოძღვარი სიონის ბრძენთა განჩინებით იქნა მოკლული. მაგრამ ხილული სულიერი მოძღვარი სულ სხვა იყო: რაჩკოვსკიმ მალე, 1903 თუ 1904 წელს, შეამჩნია რამდენიმე წლის წინათ გაკოტრებული ლიტველი აზნაური **სერგეი ნილუსი**. ნილუსმა მთელი თავისი ქონება ბანქოში წააგო, მაგრამ მას ყურადღება მიაქცია რუსეთის საიმპერატორო კარის ერთ-ერთმა ფრეილინამ და მეფის ოჯახს წარუდგინა თავისი პროტეჟე.

**ნიკოლოზ II**-ის ოჯახი ცნობილი იყო სხვადასხვა მისტიკოსი და ქარიზმატული პიროვნებების დაახლოებით. ამათგან ყველაზე ცნობილია **გრიგოლ რასპუტინი**. მაგრამ რასპუტინამდე ეს ადგილი ფრანგული წარმოშობის მოპროტესტანტო კათოლიკეს, ეგრეთ წოდებული "მარტინისტების" სექტის წარმომადგენელს, ვინმე **ფილიპეს** ეკავა. ნილუსმა მალევე დაიმსახურა იმპერატრიცა **ალექსანდრას** ნდობა. ამისათვის მან შექმნა სასულიერო ხასიათის ყალბი ტექსტი: "წმ. სერაფიმე საროველის საუბარი მოტოვილოვთან". ორივე ეს პიროვნება რეალურად არსებობდა: სერაფიმე საროველი გამოჩენილი რუსი საეკლესიო მოღვაწე იყო, ხოლო მოტოვილოვი — ერთ-ერთი უმდიდრესი კაცი, ცხენსაშენის მფლობელი. მაგრამ მათ შორის არასოდეს ყოფილა მსგავსი საუბარი, რაც შემდგომში დამტკიცდა ისტორიული და ფილოლოგიური გამოკვლევების საფუძველზე.

რაჩკოვსკი მიხვდა, რომ სერგეი ნილუსი სწორედ ის პიროვნება იყო, რომელიც ბრწყინვალედ შეძლებდა მის მიერ ჩაფიქრებული გრანდიოზული პროვოკაციის გავრცელებას. ზოგიერთი მოწმობის თანახმად, ოხრანკის რეზიდენტი პირადად შეხვდა იმპერატორის ოჯახის სულიერ მრჩეველს და თავისი ხელით გადასცა "ოქმების ტექსტი", რომელიც ნილუსმა ჩართო თავის საღვთისმეტყველო ხასიათის წიგნში "დიადი მცირეში".

ამ დროიდან აგორდა ებრაელთა დევნის ახალი ტალღა — რაჩკოვსკისა და ნილუსის მიერ გამოქვეყნებული "ოქმები" გენოციდის ნამდვილ კურთხევად იქცა. ამ ტექსტის გერმანული თარგმანი გამოქვეყნდა ნაცისტურ გერმანიაშიც: მას იმოწმებდა პროპაგანდის რაიხსმინისტრი, **იოზეფ გებელსი**, როცა ებრაელთა წინააღმდეგ ამხედრებდა გერმანელებს.

ეს "ოქმების" ყველაზე ტრაგიკული გამოყენება იყო. იმედია, მსგავსი რამ არასოდეს გამეორდება. მით უმეტეს, რომ დღეს "სიონის ბრძენთა ოქმები" მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელი პარანოიკის სახელმძღვანელოდ და რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღში მობინადრე უკიდურესი თვალსაზრისის გამზიარებელი რამდენიმე დაჯგუფების ხელში სასროლ ქვად დარჩა.



უფლის ლოცვა "მამაო ჩვენო" – ებრაული ხელნაწერი

# ებრაელები ევროპაში

დასაწყისი იხ. N-357

## საკანონმდებლო შეზღუდვები

განსაკუთრებული ტანსაცმელი, ე. წ. **შამანი**, რომელიც ებრაელებს ლატერანის IV საეკლესიო კრების თანახმად უნდა ეტარებინათ, იმდენად ულამაზო იყო, რომ იტალიურ ენაში ზედსართავიც კი გაჩნდა — sciamanato (მოუწესრიგებელი). გარდა ამისა, ებრაელებს ეკრძალებოდათ გარეთ გამოსვლა აღდგომის წინა კვირის ბოლო სამი დღის განმავლობაში. მათ არ შეეძლოთ ისეთი საჯარო თანამდებობის დაკავება, რომლის შედეგად მათი ხელქვეითები შეიძლება ქრისტიანები ყოფილიყვნენ.

ამ იურიდიულ აქტებს პრაქტიკოსი იურისტები კიდევ უფრო ფართოდ განმარტავდნენ. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი, **ბარტოლო სასოფერატო**, უნივერსიტეტის იურიდიულ ნორმებში შემდეგს წერდა: "დოქტორის წოდება პატივია, რომლის მიღწევის უნარი ებრაელებს არ გააჩნიათ". მაგრამ იურიდიული ნორმები არ იყო ებრაელთა დევნის მთავარი ინსტრუმენტი: თვით ქრისტიანობის უარყოფა უკეტავდა მათ ყველა კარს საზოგადოებაში, რომელიც მთლიანად ქრისტიანული სარწმუნოების წიაღში წარმოშობილ ტრადიციებზე იყო დამყარებული. მაგალითად, ხელოსანთა ნებისმიერ კორპორაციაში შესვლის რიტუალი გულისხმობდა ქრისტიანული მრწამსის აღიარებას.

კიდევ უფრო ადრე, უკვე X საუკუნიდან, ებრაელებზე ვრცელდებოდა უძრავი ქონების შეძენისა და ფლობის საკმაოდ ძლიერი შეზღუდვები. მაგრამ ყოველგვარი რასიზმი დევნილთა ჯგუფს იზოლაციის, ესე იგი, უფრო მეტი სოლიდარობისაკენ მოუწოდებს. თავის მხრივ, ძლიერდება რეპრესიული მექანიზმებიც. ამგვარად, განსხვავებულის ყოველგვარი დევნა ერთგვარი მანკიერი წრეა, რომელიც საბოლოოდ მდევნელს ძალიან ძვირი უჯდება, ხოლო დევნილს აძლიერებს.

## მევახშეობა

ებრაელთა მიმართ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საყვედური არის მათი დასაქმება მევახშეობით. მაგრამ მევახშეობის წყარო სინამდვილეში საკმაოდ გაურკვეველია. ბევრი ფიქრობს, თითქოს აქ გამოვლინდა ებრაელთა თანდაყოლილ სიძუნწესთან დაკავშირებული ატავისტური ტენდენციები. სხვები, რა თქმა უნდა უფრო საფუძვლიანად, მიიჩნევენ, რომ მევახშეობა იმ ისტორიული პირობების პირდაპირი შედეგია, რომლებშიც აღმოჩნდნენ ებრაელები. ამ პირობების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი ქრისტიანული ეკლესიაც იყო. მართლაც, მევახშეობა და, საერთოდ, ფინანსური მაქინაციებისკენ მისწრაფება არაა ებრაელების, ასე ვთქვათ, ექსკლუზიური თვისება: ამგვარ მიდრეკილებებს ასევე ადვილად ამჟღავნებს იმიგრანტების ნებისმიერი ჯგუფი, რომელსაც არა აქვს მიწათმოქმედების საშუალება.

ევროპელი ებრაელების კონკრეტულ შემთხვევაში მევახშეობის განვითარებას ორმა ძირითადმა მიზეზმა შეუწყო ხელი: ერთი მხრივ, XI საუკუნიდან ევროპაში ეკონომიკურ აღმავლობასთან ერთად გაჩნდა კაპიტალის დაგროვების მწვავე მოთხოვნილება, მეორე მხრივ — ეკლესიის მიერ გრძელდებოდა ამქვეყნიურ სიმდიდრეთა მკაცრი გაკიცხვა, ხოლო ფულის სესხებით, ან თუნდაც სხვა რამ ხერხით კაპიტალის დაგროვება ცოდვად იყო მიჩნეული და ქრისტიანებს ეკრძალებოდათ. ებრაელები ევროპული საზოგადოების ერთადერთი სოციალური ჯგუფი აღმოჩნდა, რომლისთვისაც ეკლესია ისედაც არ ითვალისწინებდა მარადიული სასუფევლის დამკვიდრებას, რის გამოც მას შეეძლო, საბანკო-საკრედიტო ფუნქცია სულის ცხოვნებისათვის ყოველგვარი დამატებითი საფრთხის გარეშე აელო საკუთარ თავზე. ებრაელებზე არ ვრცელდებოდა სახარების მოთხოვნა: "უსასყიდლოდ გაეცით".

ამავე დროს, ებრაელებს არ შეეძლოთ სახელმწიფო თანამდებობათა დაკავება, თავისუფალი პროფესიის აღსრულება, სადოქტორო ხარისხის მიღება. ბოლოს და ბოლოს, XII საუკუნის დასაწყისიდან, ვენეციელთა და გენუელთა ძლიერმა კონკურენციამ ებრაელები აღმოსავლეთთან ვაჭრობის გზასაც ჩამოაშორა. ობიექტურად, შუა საუკუნეების ევროპულ საზოგადოებაში მათ არაფერი დარჩათ მევახშეობის გარდა. თანაც ეს მევახშეობა ყოველთვის წვრილი და ძნელად აღსასრულებელი იყო, რადგან დიდი მასშტაბის ეკონომიკურ და საფინანსო საქმიანობას ლომბარდიელები ეწეოდნენ. ამას თუნდაც მრავალ ენაში დამკვიდრებული ტერმინი "ლომბარდი" მოწმობს.

ბუნებრივია, რომ ყოველი მხრიდან შევიწროებული ებრაელები ამგვარად შურს იძიებდნენ თავიანთი მომთხოვნელობით (სარგებელი 45%-ს აღწევდა!), მაგრამ სწორედ ეს მომთხოვნელობა ხდებოდა მათ მიმართ აღძრული ხელახალი ბრალდებების საბაბი. განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ ეს ბრალდებები ხშირად საზოგადოების საშუალო და დაბალ ფენებში წარმოიშობოდა, რადგანაც სწორედ ამ ფენების წარმომადგენლებს ჰქონდათ ყველაზე ხშირი შეხება ებრაელ მევახშეებთან. უბრალო ხალხს კი ყოველთვის უშუალო რეაქცია აქვს ნებისმიერ ფენომენზე — უბრალო ხალხი არ აანალიზებს მოვლენების გამომწვევ ჭეშმარიტ მიზეზებს.



რიტუალური მკვლელობა – შუა საუკუნეების გერმანული ხელნაწერიდან

## ძალადობა

ამგვარად, ებრაელების მდგომარეობა ევროპაში სწორედ მაშინ გაუარესდა, როცა მათთვის შემოსავლის წყარო გამოჩნდა. XII საუკუნიდან მოყოლებული მთელს ევროპაში დროდადრო იჩენს თავს უბრალო ხალხის აღვირახსნილი აგრესია ებრაელთა მიმართ. ძალადობის ეს ფაქტები ერთმანეთთან დაუკავშირებელია და ერთმანეთისგან ძალიან შორ მანძილზე მდებარე ადგილებში ვლინდება. ჯვაროსნული ლაშქრობებიც ხშირად ებრაელთა მასობრივ ხოცვა-ჟლეტად გარდაიქმნება: რა საჭიროა ქვეყნის დასალიერში გამგზავრება, როცა მაცხოვრის ჯვარცმაში დამნაშავენი აქვე სახლობენ, მეზობელ უბანში! XIII საუკუნის ბოლოს ეს აგრესია კიდევ უფრო გახშირდა და განსაკუთრებით საგრძნობი გახდა 1348 წლის შემდეგ, როცა ევროპის მოსახლეობის მესამედი შავმა ჭირმა იმსხვერპლა. ეპიდემიის მთავარ მიზეზად კუდიანთა და ებრაელთა მავნებლობა და მისტიურ ბოროტებასთან კავშირი დასახელდა. სწორედ ამ დროიდან მოდის, მაგალითად, ნეაპოლის ერთ-ერთი ქუჩის დასახელება — "სკანაჯუდეი", რაც იუდეველთა ჟლეტას ნიშნავს.

ებრაელთა მიმართ უკონტროლო სისხლიანი ძალადობის თეატრად იქცა სტრასბურგი, ფრაიბურგი, ტრირი, მაინცი, კელნი და ევროპის სხვა ქალაქები. ახლა უკვე ეკლესიამაც აღიმაღლა ხმა დევნილთა დასაცავად, მაგრამ ქრისტიან მოქალაქეთა აღგზნებული ბრბოების შეჩერება შეუძლებელი იყო.

გვიან შუა საუკუნეებში გავრცელდა ებრაელთა წინააღმდეგ კიდევ ერთი ბრალდება: მათ ეკლესიებიდან ნაკურთხი ძღვენის პარვასა და შეურაცხყოფას აბრალებდნენ. კიდევ უფრო საზარელი იყო ებრაელთა დადანაშაულება ქრისტიანთა რიტუალურ მკვლელობებში. ღვთისგან კურთხეული აბრაჰამის მოდგმას ძვირად დაუჯდა ეს ბრალდებები.

ამ თვალსაზრისით შეიძლება გავიხსენოთ "ნეტარი" **სიმონჩინოს** შემთხვევა ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ ტრენტოდან. 1475 წელს აქ ჩამოვიდა ცნობილი მქადაგებელი, **ბერნარდინო და ფელტრე**, რომლის მხურვალე სიტყვამ მოსახლეობაში ანტისემიტური განწყობა გაამწვავა. ეს განწყობა ნამდვილ დაუოკებელ ვნებად იქცა, როცა აღმოაჩინეს ბავშვის, ვინმე სიმონჩინოს გვამი. დაკითხეს იქვე მცხოვრები ოთხმოცი წლის ებრაელი მოხუცი, რომლის წინააღმდეგ სასტიკი წამება იქნა გამოყენებული. წამების ქვეშ მოხუცმა აღიარა ბავშვის მკვლელობა. შედეგად სიკვდილით დასაჯეს ცამეტი ებრაელი.

ტრენტოს მოსახლეობამ პატარა სიმონჩინო მოწამედ აღიარა და მისი თაყვანისცემა დაიწყო. პაპმა **სიქსტუს IV**-მ ეს კულტი არ დაამტკიცა, მაგრამ მისმა მემკვიდრემ, **სიქსტუს V**-მ სიმონჩინოს კანონიზაცია მოახდინა. მომხდარიდან 490 წლის შემდეგ, 1965 წელს დაიწყო ახალი გამოძიება: გამოვლინდა სასამართლო პროცესის წინააღმდეგობები და უარყოფილ იქნა წამების ქვეშ მიცემული ჩვენების სიმართლე. კულტი, რომლის აღსრულებაც ტრენტოში ყოველწლიური საზეიმო პროცესიებით აღინიშნებოდა, ბოლოს და ბოლოს გაუქმდა.

მაგრამ არის კიდევ ორი მსგავსი "წმინდანი" — ნეტარი **ანდრეა დი რინი** და **ლორენცინო და მაროსტიკა** — რომელთა საქმე XV საუკუნიდან ჯერ კიდევ ელოდება საბოლოო გამოძიებას.

მასობრივ ჟლეტასთან ერთად ებრაელები ქალაქებიდან განდევნასაც განიცდიდნენ. ამ ქმედებების ინიციატორები საქალაქო მთავრობები იყვნენ, მაგრამ ხშირად ხდებოდა, რომ ცოტა ხნის შემდეგ ებრაელები ყოველგვარი ხმაურის გარეშე კვლავ უბრუნდებოდნენ ძველ ადგილს და მკვიდრდებოდნენ იქ. შესაძლებელია, მათ საიდუმლოდ აბრუნებდნენ ისინი, ვისაც ებრაული კაპიტალის გამოყენება სჭირდებოდა.

## განდევნა

ცნობილია ებრაელების მასობრივი განდევნა ინგლისიდან, გერმანიიდან და — ყველაზე უფრო გახმაურებული — ესპანეთიდან. 1492 წელს, ქალაქ გრანადის აღებასთან დაკავშირებით, ესპანეთის "უკათოლიკესმა" მეფეებმა, და-ძმამ, **ფერდინანდმა** და **იზაბელამ**, ბრძანება გასცეს, რომ ვინც ოთხი თვის განმავლობაში ქრისტიანობაზე არ მოიქცეოდა, ვალდებული იყო, დაეტოვებინა ქვეყანა. 50.000 ებრაელი მეტ-ნაკლებად გულწრფელად მოიქცა, მაგრამ 200.000-მა — ეს კი იმ დროისათვის მეტად მნიშვნელოვანი რიცხვია — სამ ნაკადად დატოვა ესპანეთი. მათ შორის პორტუგალიაში გადასახლებულნი რამდენიმე წელიწადში ხელახლა განდევნეს, ნეაპოლის მიდამოში დამკვიდრებულებს იქ შემოსული ესპანელებისგან კვლავ მოუხდათ დარბევების გადატანა, ხოლო ოსმალურ ტერიტორიებზე გადახვეწილებს ყველაზე მეტად გაუმართლა — თურქებმა სიხარულით მიიღეს საფინანსო საქმეებში გამოცდილი ებრაელები. მაგრამ მანამდე, ესპანეთიდან გამოსულ ებრაელებს უნდა ჩაებარებინათ თითქმის მთელი თავიანთი ქონება, რადგან გადასახლებაში მხოლოდ მცირედის წაღების უფლებას აძლევდნენ.

თუმცა ესპანეთის სამეფოს რელიგიური შედგენილობა უფრო ერთგვაროვანი გახდა, ამან ხელი ვერ შეუწყო ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას, არ მოუტანა სასურველი შედეგები დემოგრაფიულად დასუსტებულ ერს. შედეგად კი თვით ქრისტიანული საზოგადოება გაიხლიჩა, რადგანაც ხალხური ანტისემიტიზმის ენერგია ახლადმოქცეულებზე გადავიდა: დიდხანს გაგრძელდა მათ წინააღმდეგ მნიშვნელოვანი სანქციები, კიდევ უფრო დიდხანს — ეჭვი და უნდობლობა, რომელიც თვით რელიგიურ ორდენთა წიაღშიც კი ვრცელდებოდა.

## აბსოლუტიზმის პერიოდი

მოგვიანებით, როცა XV საუკუნეში გამართულმა ბაზელის საეკლესიო კრებამ კიდევ უფრო მწვავედ მოითხოვა ქრისტიანებისა და ებრაელების სეგრეგაცია, ქრისტიანული ანტისემიტიზმის ლიდერად იქცა ფრანგი ეპისკოპოსი **ბოსიუე**. მისი ნაწერები შეიძლება შევადაროთ **იოანე ოქროპირისა** და **ნეტარი ავგუსტინეს** ანტიებრაულ თხზულებებს, თუმცა ბოსიუე ოქროპირზე უფრო ზომიერი და ავგუსტინეზე უფრო მჭევრმეტყველი იყო. ამის გამო იგი მეტად დამაჯერებელიც აღმოჩნდა და ქრისტიანული ანტისემიტიზმი კლასიკური ფორმულებით აღჭურვა. კერძოდ, ბოსიუე წერდა: "**ებრაელთა უმძიმესი დანაშაული მაცხოვრის მკვლელობა არაა. უფალმა, თავისი ძის სიკვდილის შემდეგ ისინი ორმოცი წლის განმავლობაში დაუსჯელად დატოვა... მათ ღვთის ძის მკვლელობაზე უფრო მძიმე დანაშაულიც მიუძღვით: გულის გაქვავება, მოუთმენლობა**". ბოსიუე იმას გულისხმობდა, რომ ებრაელები ყურად არ იღებენ ღვთის გამოცხადებას. დასკვნა კი იგივეა: "**ღმერთი უნარჩუნებს სიცოცხლეს ებრაელებს, რათა მუდამ გვაჩვენოს თავისი შურისძიების მაგალითი**".

XVI და XVII საუკუნეების განმავლობაში ეს განწყობა პაპების გამოცემულ ბულებშიც აისახა. მაგალითად, **პავლე IV** 1555 წელს გამოცემულ თავის ბულაში Cum nimis absurdum აღნიშნავს, რომ ებრაელთა მხრიდან ქრისტიანთა მორჩილებაზე უარი აბსურდული და დაუშვებელია. სწორედ ამ ბულის ძალით დაწესდა ებრაელთა კომპაქტური დასახლება ქალაქის გამოყოფილ უბანში. ამ უბნის სახელწოდებად ყველა ენაში ვენეციური დიალექტიდან შემოსული სიტყვა "გეტო" დამკვიდრდა. პავლე IV-ის ბულა შესაშური სისწრაფით იქნა შესრულებული ყველა ევროპულ სახელმწიფოში. შელამებისას გეტოს კარიბჭეს ქრისტიანი მცველი კეტავდა, მცველის ჯამაგირს კი ებრაელები იხდიდნენ.

თავიანთი წინამორბედის მსგავს აზრებს გამოხატავდნენ სხვა პაპებიც — **პიუს V** და **კლიმენტი VIII**. ებრაელთა ძირითად თვისებად ორივე პონტიფიკი ქრისტიანთა მიმართ უმადურობას მიიჩნევს.

ამგვარი პოლიტიკის შედეგი იყო, რომ საეკლესიო და საერო კანონმდებლობა ებრაელებს მხოლოდ სიცოცხლის შენარჩუნების გარანტიას აძლევდა. სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით კი ისრაელიანთა რჯულის ყოველი წარმომადგენელი ნამდვილად კანონგარეშე იყო დარჩენილი. კანონით ებრაელებს მხოლოდ სამედიცინო განათლების მიღება შეეძლოთ, მაგრამ ეკრძალებოდათ დიპლომის აღება, რის გამოც მხოლოდ თვისტომთა მკურნალობის უფლება ჰქონდათ. თუმცა რეალურად თვით პაპებიც კი ავადმყოფობის შემთხვევაში ებრაელ ექიმებს მიმართავდნენ. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია **იულიუს III**-თვის, კოცონზე დაეწვა ებრაელთა წმიდა წიგნის, "თალმუდის" ყველა ხელნაწერი თუ ნაბეჭდი ეგზემპლარი, რაც კი რომში მოიპოვებოდა.

კიდევ უფრო გაუგებარი და დეკონსტრუქციული იყო კანონი, რომლის მიხედვით, ქრისტიანობაზე მოქცეულ ყველა ებრაელს მთელი ქონება უნდა ჩაებარებინა ხელისუფლებისათვის. 1542 წელს ამ კანონის მიღებას, იეზუიტთა საზოგადოების დამაარსებელმა, **ეგნატე ლოიოლამ** შეუწყო ხელი, რითაც კიდევ უფრო შეასუსტა ებრაელებში ქრისტიანობაზე მოქცევის ყოველგვარი სურვილი. ამის საწინააღმდეგოდ, პაპის, **ნიკოლოს III**-ის განჩინებით, ყოველ ქალაქში, სადაც კი სინაგოგა იყო, იქ კვირაში ერთხელ ქრისტიანული ქადაგება უნდა ჩატარებულიყო, რომელსაც ებრაული თემის მესამედი მაინც უნდა დასწრებოდა. მაგრამ ამ წესმა მხოლოდ რომში მოიკიდა ფეხი. ქრისტიანობის ქადაგება სინაგოგაში მხოლოდ **პიუს IX**-ის დროს გაუქმდა 1847 წელს, თუმცა 1860 წლამდე რომის კურიის ყოველწლიურ რეესტრში ვპოულობთ თანამდებობას "ებრაელთა მიმართ მოქადაგე".

მხოლოდ საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ, ლიბერალური მსოფლმხედველობის გაძლიერების პირობებში შეიმჩნევა ევროპაში ქრისტიანობის მხრიდან ებრაელთა მიმართ დამოკიდებულების ცვლილებები. ეს პროცესი ნელა და ძნელად მიმდინარეობს. მრავალი მსხვერპლისა და უბედობის გადატანა მოუხდა ისრაელიანთა მოდგმას, სანამ XX საუკუნეში **პიუს XI**-ის პირიდან გაიგონებდა შემდეგ სიტყვებს: "**ქრისტეს მეოხებითა და ქრისტეს მიერ ჩვენ აბრაჰამის სულიერი შთამომავლობა ვართ. ანტისემიტიზმი დაუშვებელია. სულიერად ჩვენ ყველანი სემიტები ვართ**".

ნოდარ ლადარია
ლეილა ბეზარაშვილი



ებრაელთა წამება – 1475 წლის ხელნაწერიდან



ებრაელისა და ქრისტიანის სავაჭრო მოლაპარაკება

www.24hours.ge 24 B

ნომრის პერსონა

# თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამნეზიას დავიმართებ, ცდება...

მაია ჭალაგანიძე

*იყო დრო, როდესაც ხათუნა გოგორიშვილს სიტყვა "კვორუმი" ადამიანის სახელი ეგონა - ეს დიდი ხნის წინ...*
*"არჩევნების გენიოსი" ცესკო-ს წევრი რომ აღარ უნდა ყოფილიყო, მის გონებაში კარგა ხანია, ტრიალებდა. უკანასკნელ პერიოდში მისი წევრობა უკვე სიმბოლურ ხასიათს ატარებდა. ახერხებდა მხოლოდ ბორბალში დიდი ჯოხის შეჩხირვას და პრობლემების შექმნას. ხანდახან იმასაც ფიქრობდა, მისი მხრიდან გამუდმებით პრობლემების შექმნის გამო მაინც გააუქმებდნენ არსებულ საარჩევნო კომისიას. გუშინ ცესკო შვიდმა წევრმა დატოვა და ახლა ყველა სხდომა სრულ სიმშვიდეში ჩაივლის. შეიძლება კამათის და ხმაურის ინსცენირება მოხდეს, თორემ ხათუნა გოგორიშვილის თქმით, ამ ცესკო-ს სრული იდილიისთვის მხოლოდ ორი მგალობელი ჩიტი აკლია.*



ამ ცესკო-მ არჩევნები არ უნდა ჩაატაროს.

ლევან ხერხეულიძის ფოტოები

- მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ თავზე არასდროს მიმიღია, ძალიან მოქმედებს, როცა ცესკო-ს ლანძღავენ. ბევრჯერ, როდესაც პარლამენტის მიკროფონთან, კამერების წინ ჩემს გვარს "ლამაზი" ეპითეტებით მოიხსენიებდნენ, იგივე ადამიანები რამდენიმე წამში მირეკავდნენ და მეუბნებოდნენ – მართალია, გაგლანძღეთ, მაგრამ გულთან ახლოს არ მიიტანო, იძულებული ვიყავით, ასე მოვქცეულიყავითო...

**- როგორ მოხვდით ცესკო-ში?**

- 1990 წელს ცესკო-ს რიგითი თანამშრომელი ვიყავი. 1992 წლის არჩევნებში ზურაბ ჟვანიას თხოვნით ერთადერთხელ უნდა დავსწრებოდი სხდომას, როგორც "მწვანეების" წარმომადგენელი. სხდომის დაწყებას დიდხანს არ დაადგა საშველი. დავინტერესდი, ვის ველოდებით-მეთქი და კვორუმსო, განმიმარტეს. კვორუმი ადამიანი მეგონა. ჭკუა მეყო და არ ვიკითხე, კაცია თუ ქალი-მეთქი... ასე შევრჩი არჩევნებს. ჯერ "მწვანეთა პარტიიდან" გავხდი წევრი და შემდეგ "მოქკავშირიდან". 10 წელზე მეტი გამოდის. ჩემს ზურგზე ოთხმა საპარლამენტო, ორმა საპრეზიდენტო, სამმა ადგილობრივმა და ერთმა ჩაშლილმა არჩევნებმა გადაიარა. ადგილმონაცვლე მაჟორიტართა არჩევნებს კი ვერ დავითვლი.

**- რატომ არის სკანდალებში გახვეული და რატომ არ იქმნება ყველასთვის მისაღები ცესკო?**

- ცესკო ამ ბოლო ხანებში მოექცა ყურადღების ცენტრში, თორემ სხდომებზე გაცილებით მეტი შეხლა-შემოხლა ყოფილა. უბრალოდ, მაშინ ამ კომისიის მუშაობა ჟურნალისტებისთვის საინტერესო არ იყო.

იყო დრო, როდესაც ცესკო-ში საქართველოში არსებულ ყველა პარტიას ჰყავდა თითო წარმომადგენელი. 1995 წლის არჩევნები 41 წევრიანმა ცესკო-მ ჩაატარა.

**- ნამდვილი პარიტეტი ყოფილა.**

- კომისიაში ერთკაციანი ქაღალდის პარტიები ხვდებოდა და მათ ბლანკსა და ბეჭედს ძლიერი პარტიები იყენებდნენ. იყო პერიოდი, როდესაც ადამიანი რომელიღაცა პარტიას წარმოადგენდა, მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, სინამდვილეში ვის ინტერესებს იცავდა. ასე რომ, პარიტეტი საკმაოდ ფორმალური გახლდათ.

**- რატომ არის ცესკო აქტუალური და პოპულარული?**

- ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ცესკო-ს მუშაობის საჯაროობა გახდა. ნებისმიერი ადამიანი (და სტრუქტურა) ცდილობს, მოძებნოს განტევების ვაცი. ცესკო-ს ბევრი შეცდომა აქვს დაშვებული, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია ბევრი რამ, რაც მის გარშემო ხდებოდა. პარლამენტში გაუთავებლად ლანძღავდნენ ცესკო-ს და მის წევრებს, საშინელი ეპითეტებით ამკობდნენ და იქვე დააყოლებდნენ "მაგრამ"-ს... ეს "მაგრამ" მაოცებდა. ვიფიქრე და რამდენიმე ვერსია მოვიფიქრე. ერთი: როდესაც არჩევნებში წარმატებული შედეგის იმედი არ გაქვს, ხელსაყრელია, წარუმატებლობა ცესკო-ს დააბრალო... წარმოიდგინეთ, რომ კომისიის წევრები საზოგადოებისთვის მისაღები და ავტორიტეტული ხალხია და რომელიღაცა ძალამ არჩევნები ობიექტურად წააგო... მერე რა უნდა ქნან? წარუმატებლობას ხომ ვეღარავის დააბრალებენ... გაყალბების ისეთ ციფრებს ასახელებენ, ის რომ დავიანგარიშოთ, საქართველოს მოსახლეობა ჩინეთის მოსახლეობის რიცხვს გაუტოლდება... რეპუტაციაშელახული ცესკო ძალიან ხელსაყრელია არჩევნების წაგების შემთხვევაში.

მეორე ვერსია: 18 წევრიდან 3 იყო უპარტიო. თუ ძალთა თანაფარდობას გადავხედავთ, მარტივია იმის დათვლა, თუ ვის არ აძლევს ხელს ამ ცესკო-ს დაშლა... დაუკვირდით, ვის აქვს გადაწყვეტილების მიღების საშუალება ისე, რომ არავის და არაფერს გაუწიოს ანგარიში.

ბოლო პერიოდში აბსოლუტურად აუტანელი გახდა ცესკო-ს სხდომებზე სიარული, რადგან 4,5,6 საათი იხარჯებოდა საკითხის განხილვაზე, როდესაც თავისუფლად შემეძლო, წინასწარ მეთქვა, რა შედეგებით დამთავრდებოდა კენჭისყრა და ვინ რას მისცემდა ხმას... ყველა სათითაოდ გამოდის, არის კამათი, აზრთა სხვადასხვაობა და ა.შ. რა ხანგრძლივობის კამათიც უნდა იყოს, შედეგი აბსოლუტურად ერთი და იგივე იქნება. ეს არის შოუ, რადგან ბევრი ჟურნალისტი ესწრება... ინტერესიც ბუნებრივია.

გუშინაც, "გამოსათხოვარ სალამოზე", ხანგრძლივი და გულისამაჩუყებელი განცხადებები გაკეთდა. პრესა რომ არ ყოფილიყო, ყველაფერი გაცილებით მოკლე ხანში დასრულდებოდა. ამაში დარწმუნებული ვარ... ვატყობდი, რომ ჩემი კოლეგები სიხარულისგან იფშვნეტდნენ ხელებს და ერთი სული ჰქონდათ, როდის გავიხურავდით კარებს.

**- თქვენ ბევრი ადამიანი გაახარეთ. რა დაკარგა ჟვანიამ?**

- არაფერი, დამერწმუნეთ. ის, რომ არჩევნები ვიცი და ჟვანიას გუნდის წევრი ვარ, ძალაში რჩება. განცხადებაში არ მითქვამს, რომ რაც 12 წლის განმავლობაში ვიცოდი, დავივიწყებ და ამნეზიას დავიმართებო. თუ ვინმეს ჰგონია, რომ სტატუსზეა დამოკიდებული, რას და როგორ გავაკეთებ, ცდება. არ არის აუცილებელი, ჩემი პარტიის ინტერესების დასაცავად ცესკო-ს წევრი ვიყო. ამის გასაკეთებლად სხვა ფორმებიც არსებობს. ადამიანი ცესკო-ში შეიძლება წარმოდგენილი იყოს პარტიის რწმუნებულად და მას აბსოლუტურად იგივე უფლებები აქვს, რაც ცესკო-ს წევრს. უბრალოდ, კენჭისყრაში არ იღებს მონაწილეობას. დამერწმუნეთ, ახლანდელ შემადგენლობაში ჩემი ხელის აწევას არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

**- ცესკო-ს პირდაპირ ადანაშაულებდნენ ანგარებიან გარიგებებში, ამ ბრალდებებს საფუძველი აქვს?**

- ამის შესახებ ოფიციალურად თუ არაოფიციალურად ბევრი თქმულა. რა თქმა უნდა, ხელს ვერავის დავადებ, მაგრამ მეც მესმოდა, ვინ რამდენს იხდიდა და იღებდა სრულიად ალოგიკურ გადაწყვეტილებებში...

შეიძლება ახლა დაგვიანებული იყოს, მაგრამ კარგი იქნებოდა, ცესკო-ს წევრი ქონებრივ დეკლარაციას ავსებდეს - სანამ წევრი გახდება, როცა არის და მესამედ, როცა წევრობიდან წავა. კარგად გამოჩნდება, ვინ როგორ გაიუმჯობესა თავისი ქონებრივი მდგომარეობა.

**- ხელისუფლება რა არგუმენტებით პასუხობს ოპოზიციას პარიტეტულ საწყისებზე ცესკო-ს დაკომპლექტების წესის საწინააღმდეგოდ?**

- გუშინ ერთ-ერთი კონსულტაციის დროს დამიძახეს და 6/11 ვარიანტის შეტანა მთხოვეს. წარმოიდგინეთ, მეც კი დავიბენი და დაკონკრეტება მოვითხოვე...

ვარიანტები ისეთი ტემპით იცვლებოდა, რომ მათი დამახსოვრება შეუძლებელია, თუმცა, ძალიან კარგი მეხსიერება მაქვს... ჩვეულებრივი ადამიანისთვის ეს სრულიად გაუგებარია.

ხელისუფლებას არ სურს, თვალი გაუსწოროს დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებას. დიახ, "მოქალაქეთა კავშირი" არსებობდა და არსებობს. მისი დაშლის შედეგად ახალი პოლიტიკური პარტიები შეიქმნა, რომელთაც გაცილებით დიდი რეიტინგი აქვთ - თვითმმართველობის არჩევნების შედეგებს თუ გადავხედავთ, თბილისში 8-ჯერ და 10-ჯერ მეტიც. ამისთვის თვალის გასწორება არ სურთ.

წინა არჩევნებში ვერც "მემარჯვენეები", ვერც "დემოკრატები" და "ნაციონალური მოძრაობა" ვერ მიიღებდა მონაწილეობას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი არ არსებობდნენ. ამის უფლება არც ახლა უნდა ჰქონდეთ? დღეს არსებული პოლიტიკური სპექტრი უნდა იყოს წარმოდგენილი. ფორმულირებას მნიშვნელობა არ აქვს, ეს კაზუისტიკაა.... აქ სხვა მომენტია - ხელისუფლება ამ პარტიების რეალურად არსებობას, მათ ძალას არ აღიარებს.

**- კარგად ახსენით, რას არ ეთანხმება ხელისუფლება...**

- ცესკო-ს წევრის დანიშვნის უფლება იმ პარტიებს აქვთ, ვინც ბოლო საპარლამენტო არჩევნებში შედეგები აჩვენა... 1995 წლამდე ერთი პარტიიდან არასდროს წარმოქმნილა ოთხი ახალი პარტია, ეს პოლიტიკური პრობლემა არ არსებობდა.

თუ ხელისუფლებას იმის აღიარება უჭირს, რომ ესენი მათზე ძლიერი პარტიები არიან, არც არის საჭირო. უბრალოდ, უნდა ითქვას, რომ ესენი არიან პარტიები, რომელთაც იგივე უფლება აქვთ, როგორც ჩვენო. ეს კონსტიტუციური პრინციპია. არსად წერია, რომ არჩევნებში მონაწილეობა პოლიტიკური პარტიების სტაჟით განისაზღვრება.

**- ცესკო-ს დაკომპლექტების მოქმედი წესი ზურაბ ჟვანიას პარლამენტის თავმჯდომარეობისას დაიწერა. ოპონენტთათვის არგუმენტია, რომ სწორედ ამ წესით დაკომპლექტებული ცესკო-თი მოიგომან სამი არჩევნები...**

- მოდით, დავაზუსტოთ. ზურაბ ჟვანიას თავმჯდომარეობის დროს მიღებულ იქნა კანონი, რომელსაც მოქმედი ჰქვია, მაგრამ არ მუშაობს - "ცესკო დაკომპლექტდეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით". ორი მცდელობის მიუხედავად, ეს წესი კენჭისყრაზე არ დამდგარა.

კიდევ ერთ რამეს შეგახსენებთ, დღეს ეს არავის ახსოვს... ცესკო-ში ვერაფრით ხვდებოდნენ "სოციალისტებისა" და "ტრადიციონალისტების" წარმომადგენლები. ისინი გაერთიანებული იყვნენ ბლოკ "აღორძინებაში" და ბოლო პერიოდში დამოუკიდებლად არც ერთ არჩევნებში არ მიუღიათ მონაწილეობა. პარლამენტს ცესკო-ში ოთხი წარმომადგენელი უნდა დაენიშნა. ზურაბ ჟვანიასთან ჯენტლმენური შეთანხმების საფუძველზე ცესკო-ში მათი წარმომადგენლები შევიდნენ. კანონში არსად წერია, რომ "სოციალისტებსა" და "ტრადიციონალისტებს" წარმომადგენელი უნდა ჰყოლოდათ. ვერ ნახავთ ასეთ ჩანაწერს. დენის დავითაშვილი და მერაბ ურიდია, რომელმაც მოგვიანებით კომისია დატოვა, ჯენტლმენური შეთანხმების საფუძველზე მოხვდნენ იქ. ეს დავითაშვილს აღარ ახსოვს.

სწორედ ჟვანიამ შემოიტანა თვითმმართველობის არჩევნების შედეგების ცნება და სწორედ იმ მიზეზით, რომ საოლქო და საუბნო კომისიებში ჰყოლოდათ წარმომადგენლები სხვა პარტიებს. მანამდე კანონში ვერ ნახავდით ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც საოლქო და საუბნო კომისიაში წევრების წარდგენის უფლება ბოლო თვითმმართველობის არჩევნებში შედეგების მქონე პარტიებს ჰქონდათ. ეს სწორედ მაშინდელი რეალობის გათვალისწინებით მოხდა. ახლა ხელსაყრელი არ არის, რომ ეს ახსოვდეთ და სხვისგანაც ამნეზიას მოითხოვენ...

**- ვინ უწევს კონსულტაციებს სახელისუფლო ბლოკს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა დაიწეროს ცესკო-ს წევრების დანიშვნის მრავლისმომცველი და ნაირ-ნაირი წესი?**

- მათი მუშაობის სტილს არ ვიცნობ. ჩემი ინფორმაციით (და ეს ტელევიზიითაც დასტურდება), ამ შეხვედრებში მონაწილეობას იღებს ბატონი გია ზესაშვილი. ის ასრულებს გარკვეული ექსპერტ-კონსულტანტის როლს. ეს ადამიანი ცესკო-ში თავიდან რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი იყო, მერე კი მისი სიმპათიები სხვადასხვა არჩევნებზე სხვადასხვა პარტიას ეკუთვნოდა.

**- იქნებ განმარტოთ, რას ნიშნავს სიტყვა "კარუსელი"?**

- არჩევნების ყველაზე მეტი დაცვა არჩევნებზე ამომრჩევლის მისვლაა. ცესკო-ს "კარუსელთან" არანაირი შეხება არ აქვს. საუბნო საარჩევნო კომისიას აქვს ამომრჩეველთა სია. ამ სიაში არიან ადამიანები, რომლებიც არ ცხოვრობენ თბილისში, ან არ ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე. ეს ინფორმაცია აქვს პირს, რომელიც დადის კარდაკარ და სიებს ადგენს. სიის რეალურობა საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრთა კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. რადგანაც თანხების ნაკლებობაა და ძალზე შრომატევადი სამუშაოა, როგორც წესი, სახლმმართველობიდან იღებენ მაცხოვრებელთა სიებს. ასეთი სიები წლიდან წლამდე მოქმედებს და შემოწმება არ ხდება. რა თქმა უნდა, საარჩევნო სიაში აღმოჩნდება ადამიანი, რომელიც იციან, რომ არ ცხოვრობს ამ მისამართზე და გარანტირებულად არ მივა არჩევნებზე. ასეთი ადამიანების მაგივრად ხმის მიცემას ქვია "კარუსელი"...

როცა ამბობენ, "კარუსელი" საარჩევნო უბნიდან 100 მეტრში დავიჭირეთო, აბსურდია. "კარუსელის" დაჭერა მხოლოდ ხმის მიცემის მომენტში შეიძლება.

**- აბა, ავტობუსებით ვინ დაჰყავთ?**

- კანდიდატები მათი მხარდამჭერი ამომრჩევლების უბანზე მისვლას უზრუნველყოფენ. ეს კანონით აკრძალული არ არის და არც გაყალბებაა... ამ თემაზე ატეხილი ხმაური პიარ-კამპანიაა და სხვა არაფერი.

**- როგორი არ უნდა იყოს ცესკო?**

- ცესკო-ს წევრმა რომ ობიექტური გადაწყვეტილება მიიღოს, საჭიროა საარჩევნო კანონის ზედმიწევნით ცოდნა. დანარჩენი კი საქართველოს პირობებში აბსოლუტურად შეუძლებელია - არ უნდა გყავდეს ახლობელი, მეგობარი, ბიძაშვილი და ა.შ.

1997 წელს ინგლისში პრემიერმინისტრის არჩევნებზე ვიყავი დამკვირვებლად. საარჩევნო უბანზე ორად ორი ადამიანი იჯდა, რომელსაც არჩევნების ჩატარება ევალებოდა. არ არსებობდა არანაირი სია, არ ითხოვდნენ პირადობის დამადასტურებელ მოწმობებს და ა.შ. ჩემი შეკითხვები მათთვის იმდენად გაუგებარი იყო, რომ ეგონათ, ენა არ ვიცოდი. მათთვის სრულიად წარმოუდგენელი იყო რაიმე მანიპულაცია, ზედმეტი ბიულეტენების ჩაყრა ან სხვა რამ... ყუთიც კი ჩვეულებრივად, ყოველგვარი დაცვის გარეშე, საკუთარი მანქანით წაიღეს. მთელი არჩევნები სრული ნდობის პრინციპზეა აგებული. მესმის, რომ 800 წლიანი გამოცდილების მერე მივიდნენ აქამდე, მაგრამ როცა უცხოელთა გამოცდილების გაზიარებაზეა საუბარი, საინტერესოა, აქედან რომელი ნაწილი უნდა გავიზიაროთ?

**- იქნებ წევრების დანიშვნის წესი კი არა, ცესკო-ს სტრუქტურა არის შესაცვლელი?**

- ინგლისში შსს ატარებდა არჩევნებს, შვედეთში - საგადასახადო ინსპექცია ატარებს, რადგანაც ყველა გადამხდელი დაფიქსირებული და კომპიუტერული სისტემა აწყობილია... ის, რომ რაიმე ცენტრალური უნდა არსებობდეს, ცხადია, მაგრამ ასე აწყობილ სტრუქტურას ჩვენთან ვერ ვხედავ.

**- რამდენად გადაწყვეტს არჩევნების ბედს ქუჩაში გამოსული ხალხი?**

- ზუსტად ვიცი, რა არის გასაკეთებელი იმისთვის, რომ არჩევნები არ გაყალბდეს. პირველი და მთავარია ამომრჩეველთა სია. თავად მე, 1995 წლიდან მოყოლებული, ძირითად სიაში არ ვყოფილვარ. ყოველთვის პირველი ამომრჩეველი ვარ და ყველა მიცნობს, მაგრამ ჯერ ძირითად სიაში არ მოვხვედრილვარ... ამგვარი შეცდომები მინიმუმამდე უნდა დავიყვანოთ. მეორე - ამომრჩეველთა აქტივობაა. როცა ადამიანი არჩევნებზე მიდის, მისი გვარისა და სახელის გასწვრივ სხვა ვერავინ ვერასდროს მოაწერს ხელს.

**- დემონსტრაციაზე არც სოციალური, არც პოლიტიკური, არამედ სამოქალაქო მოთხოვნა იყო დაყენებული.**

- მეგონა, რომ პარლამენტის სხდომათა დარბაზში დეპუტატები შეწუხდებოდნენ და ხალხის მოთხოვნით ცესკო-ს გაუქმების საკითხს დააყენებდნენ. იქ კი ისეთი განწყობა იყო, თითქოს ყველაფერი ამ ქვეყანაში, ამ ქალაქში და ათიოდე მეტრში არ ხდებოდა... რეალურად, ეს არის ბრძოლა არჩევანის უფლებისთვის და არა რაღაც ციფრებისთვის, როგორც ამას ხელისუფლება წარმოაჩენს. ამ ციფრების უკან ხალხის უზენაესი უფლება დგას.

ამ ცესკო-მ არჩევნები არ უნდა ჩაატაროს, ეს ფაქტია. ვინც გამოვა და საწინააღმდეგოს იტყვის, ჩათვალეთ, რომ დემოკრატიული არჩევნები არ სურს.

გუშინ "გამოსამშვიდობებელი საღამო" გაიმართა და კამერების წინ ითქვა - მოდით, დავანახოთ ქვეყანას, როგორი კანონიერი არჩევნების ჩატარება შეგვიძლიაო. რბილად რომ ვთქვათ, გამეცინა. შვიდ ადამიანს დაუქნიეს ხელი და კანონიერი არჩევნების ჩატარება გადაწყვიტეს. დარჩენილთა მონაწილეობით ჩატარებული სხდომები მშვიდ და მეგობრულ ვითარებაში ჩაივლის...

კარგად მახსოვს, უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში სწორედ დარჩენილი წევრები ყვიროდნენ, სასწრაფოდ გადავდგეთ, აღარ შეიძლება, არჩევნებს ვატარებდეთო და ა.შ. ბატონ ჯუმბერ ლომინაძეს ეუბნებოდნენ, არჩევნების ჩატარების მორალური უფლება არ გაქვთო... დღეს კი იგივე ადამიანები არწმუნებდნენ ლომინაძეს - გადადგომის უფლება არ გაქვთო...

**- დემონსტრაციის შედეგად მივიღეთ ასეთი ცესკო, რა დარჩენია ოპოზიციას?**

- ამომრჩეველთა საარჩევნო ყუთებთან მისვლა და მხარდაჭერა.









# "კაპიტანი თავართქილაძე" მწერალთა ეკიპაჟს ელოდება

### "პენ მარათონის" ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე 11 წლისაა

თამარ სუხიშვილი

**ლიტერატურული კონკურსი "პენ მარათონი"**
**გენერალური სპონსორი: "საქართველოს ბანკი"**
**ორგანიზატორები: გამომცემლობა "დიოგენე", ღვინო "ძველი თბილისი", "ჯორჯია ონლაინი"**
**I პრემია – 1000 აშშ დოლარის ეკვივალენტი: "ჯორჯია ონლაინი"-სგან**
**II პრემია – 600 აშშ დოლარის ეკვივალენტი: კომპანია "ჩენელ ენერჯი"-სგან**
**III პრემია – 400 აშშ დოლარის ეკვივალენტი: ფოთის პორტისგან**
**მასპინძელი: ფოთის პორტი**
**საინფორმაციო მხარდაჭერა: ტელეკომპანია "რუსთავი - 2", გაზეთი "24 საათი"**

დღეს ლიტერატურის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში კვლავ "პენ მარათონი" მოექცა. სულ რაღაც ორ დღეში გემი "კაპიტანი თავართქილაძე" ფოთის ნავსადგურიდან გავა და ნამდვილი საკალმო პაექრობის ასპარეზად იქცევა. მარათონი წელს უკვე გაორმაგებული, 24-საათიანი ფორმატით იმუშავებს, 7 ივნისს დილის 12 საათზე დაიწყება და მეორე დღის, ანუ 8 ივნისის 12 საათამდე გასტანს. შეჯიბრის მონაწილეთა განკარგულებაში იქნება სამი კაიუტა – დიდი და მომცრო კაიუტები და ღია გემბანი (სადაც ცივზამთარგადატანილი მწერლები, ალბათ, სიამოვნებით მიეფიცხებიან მზეს), კალამი, ქაღალდი და მარიფათი. რა თემას მიეძღვნება საკონკურსო ნამუშევრები, იქნება ეს შარშანდელივით საკონკურსო ფრაზა თუ რამე სხვა მინიშნება, მონაწილეებმა ჯერჯერობით არ იციან. ეს ის ერთადერთი საიდუმლოა, რასაც კონკურსის ორგანიზატორები ბოლო წუთამდე ინახავენ.

გუშინ ცნობილი გახდა "კაპიტანი თავართქილაძის" ლიტერატურული ეკიპაჟის წევრთა სახელები. ესენი არიან: პაატა ბერიკაშვილი, ავქსენტი კვირტია, ნუგზარ შატაიძე, ანა კორძაია-სამადაშვილი, ჯემალ მონიავა, დათო ტურაშვილი, სოსო ტაბუცაძე, ირაკლი სამსონაძე, ირმა მალაციძე, ნინო სადღობელაშვილი, ირაკლი სოლომანაშვილი, ვანო ჩხიკვაძე, მარიანა ნანობაშვილი, რამაზ გიგაური, თამაზ ექვთიმიშვილი, გიორგი კაჭარავა, ბესო სოლომანაშვილი, ნინო დადვანი, ვახტანგ კომახიძე, ვანო შატბერაშვილი, გია არგანაშვილი, სალომე ჯანელიძე, მაკა მიქელაძე. ყველაზე მცირეწლოვანი 11 წლის სალომე ჯანელიძეა. მართალია, როგორც ჟიურის წევრები ამბობენ, მის დაშიფრულ ნაწერს ეტყობოდა ბავშვის ხელი, მაგრამ მის მოთხრობაში ჩართული პასაჟები ისეთი საინტერესო აღმოჩნდა, რომ კონკურსის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე პირველ ეტაპზე ნამდვილად გამარჯვების ღირსად მიიჩნიეს. ზემოთ ჩამოთვლილი 23 მონაწილის გარდა, კონკურსანტების სიას დაემატება შარშანდელი "პენ მარათონის" სამი გამარჯვებული სპეციალური მიწვევით: გელა ჩქვანავა, მარინე ელბაქიძე და თამარ ფხაკაძე.

თუ 2002 წელს მარათონის პირველ ეტაპზე 661 ადამიანი მონაწილეობდა, 2003-ში განაცხადის შემომტანთა რიცხვი თითქმის განახევრდა. საკონკურსო მოთხრობები მხოლოდ 339-მა ადამიანმა წარმოადგინა. ვიღაცამ შეიძლება გაიკვირვოს კიდეც, რატომ შემცირდა კონკურსში მონაწილეობის მსურველთა რიცხვი, მაშინ როცა ფულადი პრემიები საგრძნობლად გაიზარდა. "საზოგადოება დარწმუნდა, რომ ჟიური მკაცრია შეფასების დროს," - ამბობს კონკურსის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ჟიურის წევრი თამარ ლებანიძე, რომელიც შარშანდელი და წლევანდელი კონკურსების შედარებისას ასეთ კომენტარს აკეთებს: "შარშანდელთან შედარებით დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ. ასაკობრივი, გეოგრაფიული თვალსაზრისით, სტატისტიკურად თითქმის იგივე სურათია. მეტს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ასე მგონია, წელს უფრო იმედიანად უნდა ვიყოთ."

"შარშანდელმა პრაქტიკამ აჩვენა, რომ ჟიური მაქსიმალურად მომთხოვნი და ობიექტურია, ამიტომ წელს, როგორც ჩანს, აღარ სცადეს ბედი იმ ადამიანებმა, რომლებიც რეალურად არ იყვნენ დარწმუნებულნი საკუთარ შესაძლებლობებში, - გვეუბნება "პენ მარათონის" ინიციატორი, ჟიურის წევრი ჯარჯი აქიმიძე და იქვე დასძენს: მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობა უფრო ნაკლები იყო, მხატვრული თვალსაზრისით, უფრო მეტად ღირებული თხზულებები შემოვიდაო.

ჯერჯერობით ყველაფერი წინაა. განვლილ პირველ ეტაპზე კი დამატებით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ წელს კონკურსში მონაწილეობის მსურველებს 5-გვერდიანი მოთხრობის წარმოდგენა მოეთხოვებოდათ (შარშან 10 გვერდი იყო). "ვფიქრობ, ეს ოპტიმალური ვარიანტია, 5 გვერდი სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ რეალურად დავინახოთ ნაწერში მწერალი და ჟიურის ისედაც რთული და დაძაბული მუშაობა კიდევ არ გავურთულოთ," - ფიქრობენ ორგანიზატორები.

როგორც გავიგეთ, დაშიფრული ნაწერების გახსნის შემდეგ ჟიურის პირველი რეაქცია ასეთი იყო: გულწრფელად დაწყდათ გული ჟიურის წევრებს, ზოგი ისეთი მწერალი ვერ მოხვდა 23-ეულში, რომ ნამდვილად არ ელოდნენ. რას ვიზამთ, კონკურსი კონკურსია, ჩვენი "პენ მარათონი" კი განაკუთრებული რამაა, კონკურსიცაა და ერთგვარი თამაშიც, ამიტომ აქ წერასთან ერთად თამაშის წესების ცოდნაც საჭიროა.

# გალაკონცერტამდე ორი კვირა დარჩა. ვარსკვლავი იტალიაშია

თეონა ჯაფარიძე

ქართველი ვარსკვლავი, რომლის მოძრაობის გრაფიკიც საოპერო სცენებსა თუ საკონცერტო დარბაზების მსოფლიო რუკაზე სწრაფი ტემპით იცვლება, გაზეთმა "24 საათი" მეტროპოლიტენ ოპერაში გასტროლისა და გერმანიაში დასვენების შემდეგ იტალიაში, კერძოდ კი სარდინიაში, ერთ-ერთ სასტუმროში აღმოაჩინა. ბოლოს და ბოლოს პაატა ბურჭულაძესთან სატელეფონო საუბარი შედგა: "8 ივნისს აქ, სარდინიაში, მოცარტის "ჯადოსნურ ფლეიტაში" ზარასტროს პარტიას შევასრულებ და მერე მოსკოვს ვეწვევი, სადაც დიდი თეატრის სცენაზე ჩემი საიუბილეო საღამო გაიმართება. მეორე დღეს კი თბილისისკენ გამოვემგზავრები", – ამბობს მომღერალი.

- ბატონო პაატა, თუ იცით, რა ხდება დღეს საქართველოში? თქვენ, ფაქტობრივად, გაქანებული წინასაარჩევნო კამპანიის დროს ჩამოდიხართ.

- მშვენივრად ვიცი, მანდ რაც ხდება. რა ვქნა, არჩევნების გამო იუბილეს ხომ არ გადავდებ? ასეთი აჟიოტაჟი ბუნებრივია და ის თითქმის ყველა ქვეყანაში ყველა არჩევნებს თან სდევს. არც ჩვენ ვართ გამონაკლისები, – გვამშვიდებს იტალიიდან ქართველი ბანი და მხოლოდ ამის შემდეგ ვიწყებთ მისი საიუბილეო საღამოს შესახებ საუბარს, რომელიც, შეგახსენებთ, 17 ივნისს გაიმართება.



პაატა ბურჭულაძე: არჩევნების გამო იუბილეს ხო არ გადავდებ?

გაზეთი "24 საათი" დაინტერესდა, ათვლის წერტილად და დებიუტად რომელ სპექტაკლს, პარტიასა და თარიღს გულისხმობს ვარსკვლავი, როცა საუბარია სასცენო მოღვაწეობის 25 წლის იუბილეზე. "ჩემი დებიუტი ოთარ თაქთაქიშვილის ოპერაში – "მთვარის მოტაცებაში" შედგა, სადაც ბაბუა ტარიელის პარტია შევასრულე. ეს 1978 წელს იყო", – იხსენებს მომღერალი და დებიუტის დროს, ადგილსა და რეპერტუარს ისევ და ისევ ქართულ სცენასა და ქართულ კლასიკას უკავშირებს. ისე კი, მსოფლიოს დიდ სცენაზე მისი დებიუტი "მთვარის მოტაცებიდან" ზუსტად ექვსი წლის შემდეგ შედგა: ეს ლონდონში, სამეფო თეატრ "კოვენტ გარდენში" 1984 წელს მოხდა. შეგახსენებთ, რომ ამ თარიღს წინ უძღოდა ლა-სკალაში სტაჟიორად ყოფნა, იტალიაში, პრესტიჟულ კონკურსში ("ვერდის ხმები") გამარჯვება და მოსკოვში ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე ოქროს მედლის მოპოვება. ლონდონის "კოვენტ გარდენში" კი ის ვერდის "აიდაში" რამფსის პარტიის შესასრულებლად მიიწვიეს. პარტნიორებს არ იკითხავთ? – ქართველ ბანს დიდ სცენაზე მხარს კატია რიჩარელი და ლუჩანო პავაროტი უმშვენებდნენ, ორკესტრს ზუბინ მეტა დირიჟორობდა. სწორედ "კოვენტ გარდენიდან" იწყება მისი ტრიუმფალური სვლა მსოფლიო საოპერო სცენებზე. მუსიკალურ წრეებში კი, საბოლოოდ, დამკვიდრდა მაესტრო ჰერბერტ ფონ კარაიანისეული შედარება - "მეორე შალიაპინი".

ისევ ტელეფონით ვაგრძელებთ საუბარს. "24 საათი" მისი ფან-კლუბითაც დაინტერესდა: "თბილისში ჩემი კლუბის რამდენიმე წევრი ჩამომყვება", – ამბობს იუბილარი. შეგახსენებთ, რომ პაატას მოყვარულთა კლუბი ვენაშია. ეს 1986 წელს მომხდარა: ვენის შტადტს ოპერაში ვერდის "ლუიზა მილერს" დგამდნენ. ვალტერის პარტიის შემსრულებლის მოძებნა გაუჭირდათ, რადგან ეს პარტია რთულად ითვლება, იმიტომ, რომ შემსრულებელი ზედა და ქვედა რეგისტრს უნდა ფლობდეს. ასეთი ბანი ქართველ შემსრულებელს აღმოაჩნდა. პაატა ბურჭულაძის შესრულებას მაშინ თურმე ფუროორი მოუხდენია. ამ მოვლენის შემდეგ (მოგეხსენებათ იტალიელების გენეტიკური სიყვარული ოპერის მიმართ) ვენაში პაატა ბურჭულაძის მოყვარულთა კლუბი შექმნილა, რომლის წევრებიც ვარსკვლავთან ერთად მოგზაურობენ მსოფლიოს წამყვან სცენებზე.

- ამ კონცერტით ხომ არ ამზადებთ თბილისის ოპერის სცენას მომავალში მსოფლიო კლასის კონცერტებისა და მსოფლიო კლასის ვარსკვლავებისათვის? - ვეკითხებით მომღერალს.

- მსოფლიოში სახელგანთქმული რვა ვოკალის თბილისის ოპერის სცენაზე გამოსვლა, ცხადია, მის ავტორიტეტს გაზრდის. რვა მსოფლიოში სახელგანთქმული ქართველი მომღერალი – ეს უკვე ჩვენი სცენის ძალების მოსინჯვაა, თანაც ამ იუბილის აღსანიშნავად მინდოდა ისინი სამშობლოში ჩამომეყვანა. თუ ყველაფერი კარგად ჩაივლის (ამაში კონცერტის ორგანიზატორი "თაგის არტსიც" დამეხმარება), მაშინ ქართველი მსმენელი უცხოელ ვარსკვლავებსაც შეხვდება, - ამბობს დამშვიდობებისას პაატა ბურჭულაძე.

პაატა ბურჭულაძის ქართველ ფანებს კი შევახსენებთ, რომ 17 ივნისს თბილისის ოპერის სცენაზე სიურპრიზები ელით.

# ვახტანგ მაჭავარიანი ორკესტრიდან მიდის

### ცნობილი დირიჟორი გადამწყვეტ მიზეზზე ხმამაღლა არ საუბრობს

ვერა ნეფარიძე

საქართველოს ერთადერთი სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი მთავარი დირიჟორისა და სამხატვრო ხელმძღვანელის გარეშე რჩება. ვახტანგ მაჭავარიანი არ აპირებს გადათქვას 22 მაისს კულტურის სამინისტროში მიტანილ განცხადებაში მიღებული გადაწყვეტილება. ცნობილი დირიჟორი ორკესტრში საკუთარ მოღვაწეობას 19 ივნისიდან შეწყვეტს. მაჭავარიანს არ სურს ხმამაღლა ისაუბროს, თუ რა იყო მისთვის ასეთი გადაწყვეტილების მიღებისას "ბოლო წვეთი".

"ჩემს ცხოვრებაში ასეთი მძიმე დილემის, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების წინაშე არ ვმდგარვარ. ვერ გეტყვით, თუ რა იყო ჩემთვის ბოლო წვეთი. მე ამაზე ხმამაღლა არ ვისაუბრებ. ამას გულში, ჩემთვის შევინახავ", - გვითხრა გუშინ ორკესტრის ჯერ კიდევ მთავარმა დირიჟორმა და სამხატვრო ხელმძღვანელმა ვახტანგ მაჭავარიანმა. ამჟამად კი იგი უპრეცედენტო პროექტის, ვაგნერის "ტრისტან და იზოლდას" თბილისში პირველად აჟღერების სამზადისშია. ამის შემდეგ საქართველოს ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ვახტანგ მაჭავარიანის ხელმძღვანელობით კიდევ ერთ, ბოლო კონცერტში მიიღებს მონაწილეობას – ეს იქნება პაატა ბურჭულაძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი გრანდიოზული ღონისძიება ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.



ვახტანგ მაჭავარიანი: ასეთი დილემის წინაშე არ ვმდგარვარ

ვახტანგ მაჭავარიანი უკვე მიღებული გადაწყვეტილების გადაფიქრებას არ აპირებს. ყველაზე მეტი, რაც შეიძლება მან გააკეთოს, ეს არის უფლებამოსილების კიდევ ერთი სეზონით გაგრძელება. "მზად ვარ კულტურის სამინისტროს ოფიციალურ წარმომადგენლობას ვესაუბრო და მხოლოდ იმ მიზნით, რომ ორკესტრში არ შეიქმნას უმართავი სიტუაცია და ვაკუუმი, დავრჩე ორკესტრში პირველ დეკემბრამდე. ეს იქნება მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შემიძლია, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ჩემგან ასეთი ნაბიჯი მათ ძალიან დასჭირდებათ", - პრინციპულობას იჩენს ვახტანგ მაჭავარიანი.

მართალია, დირიჟორი არ ამბობს, თუ რა კონკრეტულმა შემთხვევამ აიძულა ასეთი ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ მიზეზების აღმოჩენას, ალბათ, დიდი ძიება არ დასჭირდება. ხუთი წელიწადია ერთადერთი სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი მისთვის აბსოლუტურად მიუღებელ პირობებში მუშაობს. ორკესტრის წევრები უჩივიან როგორც დარბაზის (სადაც ისინი რეპეტიციებს გადიან) აკუსტიკას, ისე მის კლიმატურ პირობებს, რაც მავნებელია თავად მუსიკოსებისა და ინსტრუმენტებისთვისაც. აღარაფერს ამბობენ 70-ლარიან დაგვიანებულ ხელფასებზე. "როდესაც სტატუსით ქვეყნის პირველი ორკესტრის წევრს თბილისის სიმფონიური ორკესტრის (ქვეყნისთვის რიგით მეორე ორკესტრის) მუსიკოსზე ათჯერ ნაკლები ხელფასი აქვს, ეს უსამართლობაა, მეტი არაფერი. ხუთი წლის განმავლობაში, მას შემდეგ რაც გარეთ, საკუთარი ჭერის გარეშე დავრჩით, ამ პრობლემის დასაძლევად მცირედიც რომ გაკეთებულიყო, ამ გადაწყვეტილებას არ მივიღებდი", - ამბობს ვახტანგ მაჭავარიანი.

სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი საკუთარი გადაწყვეტილების გახმაურების შემდეგაც არ ელის სახელმწიფო სტრუქტურებიდან რადიკალურ ძვრებს. "ამ წლების განმავლობაში დავრწმუნდი, რომ კულტურის მინისტრს, თავისი სურვილის მიუხედავად, რეალურად არ შეუძლია ჩვენი დახმარება. თავის დროზე იგივე ვერ შეძლეს ვერც ზურაბ ჟვანიამ და ვერც ვაჟა ლორთქიფანიძემ. წლების განმავლობაში ვერ მოვახერხე ურთიერთობა პრეზიდენტთან, ახლა თავადაც რომ მოინდომოს, მე უარს ვეტყვი. რა უნდა მითხრას მან, ან მე რა უნდა ვუთხრა?". სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი კულტურის მინისტრის მხარდაჭერით კმაყოფილია. დღემდე სამინისტრო უხდის ორკესტრს იჯარის ფულს, იმის მიუხედავად, რომ პრეცედენტი – სახელმწიფო სტრუქტურისთვის იჯარა ისევ ერთ-ერთმა სახელმწიფო სტრუქტურამ გადაიხადოს, ალბათ, საქართველოს გარდა არსად არსებობს.

ამჟამად ვახტანგ მაჭავარიანი მოახლოებული გრანდიოზული კონცერტის სამზადისშია. 14 ივნისს დაგეგმილი ვაგნერის "ტრისტანი და იზოლდა" წამყვანი ევროპელი სოლისტების მონაწილეობით, თბილისში გაიმართება, იმის მიუხედავად, რომ "ცხელი ხაზიდან" საკონცერტოდ შემოსული თანხა 60 ლარამდეა.

# პეტრე ბლიოტკინის აკადემიური ფერწერა

ნათია ვადაჭკორია

გალერეა "ჰობიში" გახსნილი გამოფენა ქართველი მხატვრების დიდი პლეადის - ელენე ახვლედიანისა და შარლემანის თანამედროვის - პეტრე ბლიოტკინის ნამუშევრებს წარმოგვიდგენს. ხსენებული გამოფენით გალერეა "ჰობი" საქართველოს დამსახურებული მხატვრის ბლიოტკინის 100 წლისთავს აღნიშნავს. მისი ნამუშევრები საქართველოს სხვადასხვა მუზეუმებში, მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაში და აღმოსავლური ხელოვნების მუზეუმში ინახება.

"ჰობიში" წარმოდგენილი პორტრეტები, პეიზაჟები და აბსტრაქტული კომპოზიციები, სულ 48 ნამუშევარი, გივი ფარასტაშვილის კერძო კოლექციიდანაა. ეს იშვიათი შემთხვევაა, რადგან ამ რაოდენობით ერთი ავტორის ფერწერის შეგროვებას საკმაოდ დიდი ენერგია, მოთმინება, სიყვარული და რუდუნება სჭირდება, საჭირო თანხაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. არადა, ბატონი გივის კერძო კოლექციას ფიროსმანის, ელენე ახვლედიანის და სხვა ცნობილი მხატვრების ტილოები ამშვენებს. ამას ჰქვია ხელოვნების ნამდვილი სიყვარული, რომელიც მატერიალურადაც არის დაფასებული. გივი ფარასტაშვილის კერძო კოლექციაში სხვადასხვა მხატვრის 1000-მდე ტილო ინახება. როგორც ბატონმა გივიმ გვითხრა, 30 წელია, რაც ამ საქმიანობას - სურათების შეგროვებას მიჰყო ხელი და მას შემდეგ თავისი მოწოდებისთვის, მისწრაფებისთვის და, თუ გნებავთ, ჰობისთვის არასდროს უღალატია. ბატონი გივი მათემატიკოსია, ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი. როგორც ამბობს, ეს საქმიანობა მისი ცხოვრებისეული დანიშნულებაცაა. პეტრე ბლიოტკინის ფერწერის ნახვა და შეფასება კი გალერეა "ჰობიში" 12 ივნისამდე შეგიძლიათ. დახვეწილი გემოვნება, კახეთის პეიზაჟები, აკადემიური პორტრეტები, ექსცენტრულ-აბსტრაქტული კომპოზიციები - აი ის, რითიც გალერეაში მისულები დატკბებიან.

# სახელისა და ღვაწლის უკვდავსაყოფად

ნანა ბასილაშვილი

აბაშიძის №21-ში, იქ, სადაც ლეგენდარული ქართველი ხელოვანები, ილიკო სუხიშვილი და ნინო რამიშვილი ცხოვრობდნენ, დღეს ილიკო სუხიშვილის მემორიალური დაფის გვერდზე ნინო რამიშვილის მემორიალიც გაიხსნება.

გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, ქართული ნაციონალური ბალეტის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ნინო რამიშვილის სახელისა და ღვაწლის უკვდავსაყოფად, მემორიალური დაფის გახსნას მისი ოჯახის წევრებთან ერთად ქალაქის მერი, კულტურის მინისტრი, კულტურის სამმართველოს უფროსი, ხელოვნების მოღვაწეები, მსახიობები, ძველი და ახალი თაობის მოცეკვავეები და მისი თაყვანისმცემლები დაესწრებიან. ნინო რამიშვილის მემორიალი, რომლის ავტორიც მოქანდაკე გია ჯაფარიძეა, თბილისის კულტურის საქალაქო სამსახურის ინიციატივით იხსნება.

"ქალბატონ ნინოს ყველა წოდება, უმაღლესი ჯილდო და პრემია აქვს მიღებული, რაც კი საქართველოსა და ყოფილ საბჭოთა კავშირში არსებობდა. თუმცა, ამ დაფაზე არც ერთი მათგანის აღნიშვნა არ ვისურვეთ, რადგანაც ცხოვრებაში იგი საოცრად თავმდაბალი ადამიანი იყო და ყოველთვის უხერხულობას გრძნობდა, როდესაც მას აქებდნენ და ადიდებდნენ. ამდენად, ამ დაფაზე ისეთივე სადა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავმდაბლური წარწერაა, როგორი პიროვნებაც იყო ცხოვრებაში ნინო რამიშვილი - "ამ სახლში 1910-2000 წლებში ცხოვრობდა ნინო რამიშვილი", - გვითხრა ნინო სუხიშვილმა. როგორც თავად აღნიშნა, მისთვის, და არა მხოლოდ მისთვის, დღევანდელი დღე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღეა.

# ცივი იარაღი ირლანდიური მოტივებით

ნინო ჭანიშვილი

ირმის რქა, ცხენირმის რქა, სპილოს ძვალი, აფრიკული შავი რკინის ხე, გიშერი, ბზა ძეწნა, ნეფრიტი, ობსიდიანი - ყველა ამ მასალას დიზაინერი ალეკო ფიფია თავის საკოლექციო დანის ტარების დასამზადებლად ოსტატურად იყენებს. ფორმით, მასალით, დეკორითა და დიზაინით ერთმანეთისგან განსხვავებული ორმოცდაათი დანა ალეკო ფიფიამ ერთწლიანი მუშაობის შემდეგ გუშინ "N გალერეაში" გამოფინა. გემოვნებით მოწყობილი ექსპოზიციის გახსნა ირლანდიური მუსიკალური მოტივების ფონზე მიმდინარეობდა, რაც სასიამოვნო და ამასთან მსუბუქად საბძოლო განწყობასაც ქმნიდა.

დიზაინერი ამ პროექტისთვის ერთი წელი ემზადებოდა თავის სახელოსნოში, აწრთობდა რკინის და ფოლადის დანის პირებს. ამ საქმეში მას გიორგი მუზაშვილი ეხმარებოდა, რომელსაც ჯერ მხოლოდ საშუალო განათლება აქვს მიღებული, თუმცა აპირებს თეორიული ცოდნა სამხატვრო აკადემიაში მიიღოს.

მათ მიერ შექმნილი დანები, რა თქმა უნდა, დეკორატიულია, ყოველი მათგანი სპეციალურ ხის სადგამზეა მოთავსებული. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში საბრძოლველადაც გამოდგება - თუ ამ დანებს გალესავ, რკინას გაჭრიო - ამბობს ავტორი. განსხვავებული მოყვანილობის დანის პირებზე ძველი ცივილიზაციების ასტრალური, სიმბოლური, მითოლოგიური და ტოტემისტური გამოსახულებებია ამოკვეთილი და გრავირებული. თითოეულ ნამუშევარს ფორმიდან გამომდინარე სახელი აქვს "ინდი", "კელტური", "გველისპირული", "ფარაონი". მთლიანობაში ყოველი ნიმუში მოხდენილი, ორიგინალური და ზომიერად დეკორირებულია თვლებითა და ორნამენტებით, ანუ სრულიად განსხვავდება ჩუქურთმებით დახუნძლული ალუმინის ხანჯლებისგან, რომლებიც თბილისის სამხატვრო სალონებში იყიდებოდა.



ეს იარაღი ბრძოლისთვისაც გამოდგება

იარაღის გარდა საგამოფენოდ გამოტანილია შედუღებით შესრულებული ცხოველთა, ფრინველთა და მცენარეთა გამოსახულებები.

ეს ალეკო ფიფიას პირველი დიდი პროექტია, მანამდე დიზაინერი შერეულ გამოფენებში მონაწილეობდა. ისე კი მისი ნამუშევრები დაცულია კერძო კოლექციებში. ის საგვარეულო გერბის და სხვადასხვა სახის ჰერალდიკის ავტორია.

გამოფენა შვიდ ივნისამდე გაგრძელდება. იჩქარეთ, არ ინანებთ.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

მიუხედავად იმისა, რომ გადაცემა "ხალხის პირისპირ" ზაფხულის პერიოდში ეთერში არ გავა, ჩვენი რედაქტორები ზაფხულშიც იმუშავებენ. ჩვენ სექტემბრიდან განვაახლებთ გადაცემებს. ასე რომ, კვლავ შეავსეთ ანკეტა და ბლანკები, და გამოგვიგზავნეთ.

[illegible]

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2", ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ", ვაჟა-ფშაველას 45, 380077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა: დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: [illegible]

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

განათლება: საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

დამხმარე კატეგორია: [illegible]

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. მასზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათის უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი. ფოტოსურათი გადაღებული უნდა იყოს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? [illegible]

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? [illegible]

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? [illegible]

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

რატომ გინდათ, მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

„ხალხის პირისპირ" – ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.

შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს).

შეკითხვები არ მიიღება გაზეთის ქსეროასლით

| შეკითხვის ტექსტი: | პასუხის ტექსტი: |
|---|---|
| 1 | |
| 2 | |
| 3 | |
| 4 | |
| 5 | |

სახელი და გვარი:

ბინის მისამართი:

სამსახურის ტელეფონის ნომერი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

წესები კითხვის შემდგენელთათვის:

[illegible]

თუ ეთანხმებით ჩვენს წესებს, გთხოვთ, ხელი მოაწეროთ ბლანკს და მიუთითოთ შევსების თარიღი.

ხელმოწერის გარეშე კითხვა არ მიიღება.

ფეხბურთი

## ანჩელოტი კალაძის პროგრესით აღფრთოვანებულია



კახა კალაძე - ანჩელოტის ფავორიტი

იტალიურმა "მილანმა" თავისი ტრიუმფალური სეზონი დაასრულა - მოიგო ჩემპიონთა ლიგა და იტალიის თასი. მილანელთა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ თავს უფლება მისცა, თავისი თითოეული ფეხბურთელის გარჯა შეეფასებინა.

ანჩელოტის აზრით, "მილანის" ფეხბურთელთა შორის ყველაზე დიდ პროგრესს ხორვატმა დარიო სიმიჩმა და კახა კალაძემ მიაღწიეს. მწვრთნელი მიიჩნევს, რომ ამ ორმა ფეხბურთელმა უდიდესი წვლილი შეიტანეს "მილანის" წლევანდელ ტრიუმფში. კლუბის წარმატებები თითოეული ფეხბურთელის დამსახურებაა და ყოველი მათგანი იმსახურებს ქების სიტყვებს.

ანჩელოტიმ ბრაზილიელ რივალდოზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ მისი წარუმატებელი თამაში მხოლოდ დროებითია. მწვრთნელი ფიქრობს, რომ ადაპტაციის პერიოდი უკვე გავლილია და მომავალ სეზონში რივალდო "მილანის" იმედებს გაამართლებს.

## ბრაზილიის ნაკრები ძლივს შეიკრიბა

სულ ცოტა დრო რჩება კონფედერაციის თასის გათამაშებამდე, რომელშიც, ტრადიციულად, ბრაზილიის ნაკრებიც იღებს მონაწილეობას. ამ ტურნირის წინ ბრაზილიელთა თავკაცს კარლოს ალბერტო პარეირას დიდი საკადრო პრობლემები გამოუჩნდა - ვერა და ვერ მოახერხა ფეხბურთელთა საჭირო რაოდენობის დასახელება. ბრაზილიის ნაკრები, საბოლოოდ, პარეირამ გუშინ დაასახელა, თუმცა, შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი პირველ მატჩში (ნიგერიის წინააღმდეგ) მაინც ვერ მიიღებს მონაწილეობას. "ფლამენგოს" მეკარეს ჟულიო სეზარს და "კრუზეიროს" მოთამაშეებს მაურინიოს, ედუ დრასენას და ალექსს ამ დროისთვის ბრაზილიის თასის ფინალში მოუწევთ თამაში. გარდა ამისა, კონფედერაციის თასის პარალელურად იმართება ლიბერტადორესის თასის ფინალური ეტაპი, რის გამოც პარეირას ნაკრებში ვერ ითამაშებენ "სანტოსის" ფეხბურთელები.

გასულ კვირას პარეირამ განაცხადა, რომ დასვენების საშუალებას მისცემს რონალდოს, რივალდოს, რობერტო კარლოსს და ჯილბერტო სილვას. ეს ფეხბურთელები არც კონფედერაციის თასზე ითამაშებენ, რათა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის, რომლებიც სექტემბერში გაიმართება, კარგად დაისვენონ.

"წინასწარვე ვიცოდით, რომ კონფედერაციის თასისთვის ფეხბურთელთა შეკრება გაგვიჭირდებოდა. ზოგი ტრავმირებულია, ზოგს დასვენება სჭირდება. ცხადია, ამ ტურნირზე გამოუცდელი შემადგენლობა გვეყოლება, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სტატისტის როლში ვიქნებით. კონფედერაციის თასი შესანიშნავ შანსს აძლევს ახალგაზრდა ფეხბურთელებს, საკუთარი თვისებები დაგვანახონ". ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობა ასე გამოიყურება:

**მეკარეები:** *დიდა (მილანი), ფაბიო (ვასკო და გამა), ჟულიო სეზარი (ფლამენგო).*
**მცველები:** *მაურინიო (კრუზეირო), ბელეტი (ვილიარეალი), კლებერი (კორინტიანსი), ფაბიო აურელიო (ვალენსია), ედუ დრასენა (კრუზეირო), ხუანო (ლევერკუზენი), ლუსიო (ლევერკუზენი), ფაბიო ლუსიანო (კორინტიანსი).*
**ნახევარმცველები:** *ედუარდო კოშტა (ბორდო), ემერსონი (რომა), კლებერსონი (ატლეტიკო პარანაენსე), დუდუ კეარენსე (ვიტორია), რიკარდინიო (სან პაულუ), ადრიანო (ატლეტიკო პარანაენსე), ალექსი (კრუზეირო), რონალდინიო (პსჟ).*
**თავდამსხმელები:** *ადრიანო (პარმა), ლუის ფაბიანო (სან პაულუ), ჯილი (კორინტიანსი), ილანი (ატლეტიკო პარანაენსე).*

### "არსენალი" კანისარესით დაინტერესდა

ინგლისური "ივნინგ სტანდარტი" იუწყება, რომ ესპანური "ვალენსიას" მეკარე, სანტიაგო კანისარესი, შესაძლოა, ლონდონის "არსენალის" ძირითად მეკარედ მოგვევლინოს. ინგლისელები კანისარესს დევიდ სიმენის უპირველეს შემცვლელად თვლიან. ცნობილია, რომ "არსენალის" ვეტერანი მეკარე "მანჩესტერ სიტიში" გადავიდა.

ეს ტრანსფერი, შესაძლოა, გაცვლის გზითაც განხორციელდეს. ლონდონელები "ვალენსიას" თავიანთ ფრანგ თავდამსხმელს სილვიენ ვილტორდს სთავაზობენ. ვილტორდის კონტრაქტი "არსენალთან" მომავალ წელს იწურება, ხელშეკრულების გაგრძელებაზე კი ფეხბურთელი უარს ამბობს, რადგან ფინანსური პირობები არ აკმაყოფილებს.

### აბელარდო კარიერას ამთავრებს

ესპანეთის ნაკრების ყოფილი მცველი აბელარდო მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე კარიერის დამთავრებას გეგმავს. აბელარდო წლების მანძილზე გამოდიოდა "ბარსელონას" შემადგენლობაში, ქვეყნის ნაკრებში 54 მატჩი ჩაატარა, ხოლო ერთი წლის წინათ "ალავესში" გადავიდა. "ალავესი" უმაღლეს დივიზიონს გამოეთხოვა, აბელარდოს კი აღარ სურს ამ კლუბთან კონტრაქტის გაგრძელება. "ფეხბურთელის 14-წლიანი კარიერის მანძილზე უამრავი სიხარული მქონდა, მაგრამ იყო იმედგაცრუებები და ტრავმები. საკმარისია", - განაცხადა აბელარდომ.

### კაპელო "რომაში" რჩება

ფაბიო კაპელოს ამა თუ იმ კლუბში გადასვლის შესახებ თითქმის მთელი სეზონის განმავლობაში საუბრობდნენ, თუმცა, ცნობილმა მწვრთნელმა საბოლოოდ გადაწყვიტა, კვლავ "რომაში" დარჩეს. კაპელომ ეს მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც კლუბის ხელმძღვანელობა გუნდის გაძლიერებისთვის საკმარისი თანხის გამოყოფას შეჰპირდა. "რომას" ოფიციალურ ვებ-გვერდზე წარმოდგენილ განცხადებაში კლუბის ხელმძღვანელობა პირობას დებს, რომ ახალი ფეხბურთელების შესაძენად ფულს და ენერგიას არ დაიშურებს.

# ნაკრებს ფეხბურთელები ემატებიან და აკლდებიან

პაატა თოთაძე
გიგა გურასაშვილი

30 აპრილს რუსეთთან მოგებულმა მატჩმა საქართველოს ნაკრებს ჯგუფიდან გასვლისა და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაშის შანსი გაუჩინა. ივო შუშაკის წარმატებულმა დებიუტმა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე გულშემატკივართა ინტერესი ქვეყნის უპირველესი გუნდისადმი კიდევ უფრო გაზარდა. თუ აქამდე თითქმის ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ ქართველებს ირლანდიასთან მოგების არავითარი შანსი არ გვაქვს, ახლა ვითარება ცოტათი შეიცვალა. მართალია, ჩვენი გუნდის უპირობო წარმატების მომლოდინეთა რიცხვი ერთობ მცირეა, მაგრამ გაიზარდა მათი რაოდენობა, ვინც საქართველოს ნაკრებს ირლანდიასთან განწირულად არ თვლის.

- ბიჭო, თამაში ირლანდიასთან კი არა, ვისთან არ შეიძლება...

შეიძლება, და ეს ყველას კარგად ესმის, მწვრთნელსაც და მოთამაშეებსაც.

- უდავოდ ძლიერი გუნდია ირლანდიის ნაკრები. ამას ჩემი თქმაც არ სჭირდება, მაგრამ უიმედოდ სულაც არ ვართ. უიმედოდ რომ ვიყო, თბილისში საერთოდ არ ჩამოვიდოდი. არც ის მინდა, ექვსი საათი მხოლოდ დუბლინის დასათვალიერებლად ვიფრინო.

რუსეთთან მატჩის წინ ნაკრებიდან სკანდალურად წასვლის შემდეგ ზოგმა მიიჩნია, რომ არველაძის სანაკრებო კარიერა დასრულებული იყო.

- რაკი თბილისში ხარ, გამოდის, შენ და შუშაკს შორის არავითარი გაუგებრობა აღარ არსებობს...

- რაკი აქ ვარ, ასეა. სიმართლე გითხრათ, აღარ მინდა იმ ამბების გახსენება. რაც უნდა ვთქვა, ბევრი არასწორად გაიგებს. ამიტომ, ჯობს, საერთოდ არაფერს ვიტყვი. მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: მაშინდელი ჩემი საქციელი განაპირობა იმან, რომ არ ვიცოდი ის, რაც უნდა მცოდნოდა.

ამ შემთხვევაში მთავარი ის არ არის, იქნება თუ არა ნაკრებში შოთა არველაძე. მთავარია, რომ გუნდში კონფლიქტი არ იყოს. იმის აუცილებლობას კი ვერ ვხედავთ, ვთქვათ, რას წარმოადგენს შოთა არველაძე საქართველოს ნაკრებისთვის. არველაძესთან დიალოგი გუშინ შედგა "დინამოს" ბაზაზე, სადაც ნაკრები ირლანდიასთან მატჩისთვის ემზადება. ტრავმის გამო საქართველოს ნაკრებს სამი მოთამაშე დააკლდება. ლევან კობიაშვილის ამბავი კარგა ხნის წინ იყო ცნობილი. გუშინ კი გაირკვა, რომ ნაკრებს ლევან ცქიტიშვილი და დათო კვირკველიაც გამოაკლდნენ. ორშაბათს შეკრებილ გუნდს გუშინ, კახა კალაძის გარდა, ყველა მოთამაშე შეუერთდა. კალაძე დღეს, გამთენიისას უნდა ჩამოსულიყო და, სავარაუდოდ, საღამოს გუნდთან ერთად ივარჯიშებს. რაც შეეხება გუშინდელ საღამოს ვარჯიშს, მან 45 წუთს გასტანა. შუშაკის თქმით, ბიჭები სეზონის დამთავრების შემდეგ გადაღლილები არიან და მისი მთავარი ამოცანა მათთვის დაღლილობის მოხსნაა. ცუდად გვენიშნა ის, რომ ნაადრევად მიატოვა ვარჯიში ზურაბ ხიზანიშვილმა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, საშიში არაფერია.





რეხვიაშვილი (ზევით) და ხიზანიშვილი ირლანდიისთვის მზად არიან

- ისეთი არაფერი, ცოტა შეუძლოდ ვარ, მაგრამ ხვალ უკვე კარგად ვიქნები და სრული დატვირთვით ვივარჯიშებ.

წარმატებული სეზონის შემდეგ (ხიზანიშვილი შოტლანდიის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს) ქართველი მცველით არაერთი სახელიანი გუნდი დაინტერესდა.

- ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი. სეზონით კმაყოფილიც ვარ და უკმაყოფილოც. ბუნებრივია, მიხარია, საუკეთესო ახალგაზრდად რომ მაღიარეს, მაგრამ უკმაყოფილო ვარ გუნდის შედეგით. ვფიქრობ, მეტის მიღწევა შეგვეძლო. ჩემი ტრანსფერის საკითხი, ალბათ, ახლო მომავალში გადაწყდება, თუმცა, ამაზე ფიქრით დიდად არ ვიწუხებ თავს. ახლა მთლიანად ირლანდიასთან თამაშზე ვარ გადართული. აქ დაიწერა, რომ "დანდი" ჩემში სოლიდურ კომპენსაციას ითხოვს. ჩემი ასაკის გამო "დანდი", მართლაც, მიიღებს კომპენსაციას, თუმცა, კლუბის ხელმძღვანელობასთან საუბრის შემდეგ გავარკვიე, რომ არც ისე ყოფილა საქმეები, როგორც დაიწერა.

ვარჯიში ახალი დაწყებული იყო, როცა ბაზაზე გიორგი დემეტრაძე გამოჩნდა. ქართველი თავდამსხმელი აეროპორტიდან პირდაპირ ბაზაზე მოვიდა და შუშაკმაც დასვენების საშუალება მისცა. როგორც გაირკვა, ქართველ ფეხბურთელს ერთ-ერთი ინგლისურ კლუბში გადასვლის საშუალება ჰქონია, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, დონეცკის "მეტალურგთან" გააგრძელოს კონტრაქტი. უკრაინული კლუბის ხელმძღვანელებს სურთ, დემეტრაძე კიდევ ერთი წლით დაიტოვონ, მაგრამ ყველაფერი დამოკიდებულია "რეალ სოსიედადის" უფროსობაზე, რომლის საკუთრებაცაა ქართველი ფორვარდი. ამის შემდეგ მომავალ მატჩთან დაკავშირებით აზრის გაზიარება სხვა ფეხბურთელებსაც ვთხოვეთ.

**ალეკო რეხვიაშვილი:** "როდესაც საქართველო-რუსეთის მატჩი იწყებოდა, ნაკრების მაისურა გადავიცვი და ასე გამოწყობილი მივუჯექი ტელევიზორს. სამწუხაროდ, საქართველო-რუსეთის თამაში რიგაში პირდაპირი ეთერით არ უჩვენებიათ. მატჩი ათი წუთის დაგვიანებით გაუშვეს, მე კი წამდაუწუმ შინ ვრეკავდი, რათა მატჩის პერიპეტიები დაწვრილებით გამეგო.

იმან, რაც ვნახე, აღმაფრთოვანა. დიდი ხანია, საქართველოს ნაკრების ასეთი კარგი, ზომიერი და დახვეწილი თამაში არა მარტო მე, არამედ სხვებსაც არ უნახავთ. თამაშის ხარისხი ბოლო წუთებზეც სანიმუშო იყო. არავითარი აურზაური, პანიკა. ბიჭებს ცივსისხლიანობა ეტყობოდათ. ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრები რუსებზე მთელი თავით მაღლა იდგა. სხვათა შორის, ამას აღნიშნავდნენ რუსი კოლეგებიც, რომლებთანაც მოგვიანებით ამ თემაზე საუბარი მომიხდა. ყველანი განცვიფრებული იყვნენ და ერთხმად აღნიშნავდნენ საქართველოს ნაკრების კარგ თამაშს. თუმცა, ირლანდიასთან მატჩი გაცილებით მეტ ძალისხმევას მოითხოვს. მოხარული ვიქნები, თუ შუშაკი მოედანზე შემიშვებს. რუსებთან მოგების შემდეგ ირლანდიასთან მატჩმა მეტი მნიშვნელობა შეიძინა. ქვეჯგუფში მდგომარეობის გაუმჯობესება ირლანდიასთან მოგებაზეა დამოკიდებული. პირადად მე ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ 11 ივნისს სამი ქულა მოვიპოვოთ."

**გიორგი ლომაია:** "რაც მთავარია, გუნდში საბრძოლო განწყობაა. ვიბრძოლებთ იმისთვის, რომ შედეგს მივაღწიოთ. თუ რა გამოვა აქედან, ეს ისევ ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენი მხრივ, ყველანაირად ვეცდებით, ქართველ გულშემატკივარს რუსეთთან მოგებაზე არანაკლები სიხარული მივანიჭოთ. ირლანდიასთან საკუთარ მოედანზე თამაში ადვილი არ არის, მაგრამ დაუმარცხებელიც არავინაა."

**მალხაზ ასათიანი:** "რა თქმა უნდა, ირლანდია ძლიერი გუნდი და რთული მეტოქეა, მაგრამ შეუძლებელი არაფერია. ეს რუსეთთან მატჩშიც გამოჩნდა. ჩვენ ირლანდიაშიც მოსაგებად მივდივართ. თუ რა გამოვა აქედან, 11 ივნისს მოედანზე გამოჩნდება."

**გიორგი ქინქლაძე:** "ირლანდიელებთან უშეღავათო თამაში გველის. მათაც მოგება სჭირდებათ და ჩვენც. ამიტომ მატჩი ძალიან დაძაბული და არაპროგნოზირებადი იქნება, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაიმეს დათმობას ვაპირებთ. ამის დრო აღარ არის.

წესით, ფრეც დამაკმაყოფილებელი შედეგი უნდა იყოს. გასვლით მატჩში, თანაც, ირლანდიასთან, ესეც კარგი შედეგი უნდა იყოს, თუმცა, ქულათა მაქსიმუმი უფრო დამაკმაყოფილებდა.

ეს ყველაფერი ვარჯიშამდე მოხდა, ვარჯიშის შემდეგ კი ივო შუშაკმა პრესკონფერენცია გამართა. მწვრთნელის თქმით, ტრავმების მიუხედავად, რეზერვიდან ვინმეს გამოძახება აუცილებელი არ არის. თავისი მოსაზრება შუშაკმა შოთა არველაძესთან დაკავშირებითაც გაგვაცნო, თუმცა, ისიც თქვა, რომ ერიდება რაიმეს თქმას მანამ, სანამ გუნდი სრული შემადგენლობით არ შეკრებილა. ერთი სიტყვით, თავის პოზიციას მომხდართან დაკავშირებით შუშაკი ამ დღეებში დააფიქსირებს. ფეხბურთელთა ტრავმების გამო მარცხენა ფლანგზე თამაშის კანდიდატად მწვრთნელი დარასელიას, ქინქლაძეს, იაშვილს, ალექსიძეს და კალაძეს თვლის. ერთი სიტყვით, კობიაშვილის, ცქიტიშვილისა და კვირკველიას გამო გუნდის თამაშში ხარვეზები არ უნდა იყოსო. იმ ინფორმაციას კი, რომელიც მწვრთნელს ირლანდიის ნაკრების შესახებ აქვს, მნიშვნელოვნად არ მიიჩნევს, რადგან ალბანეთთან მატჩის შემდეგ, შესაძლოა, კელტთა თამაშში ბევრი რამ შეიცვალოს. სათამაშო ტაქტიკასაც მწვრთნელი ალბანეთ-ირლანდიის მატჩის შემდეგ შეარჩევს. იმ თამაშს ჩვენი ნაკრების წარმომადგენელი დაესწრება."

# საფეხბურთო ალიაქოთი

### სიმენი "სიტიში"

ლონდონის "არსენალისა" და ინგლისის ნაკრების ყოფილი მეკარე დევიდ სიმენი, როგორც ჩანს, არ ჩქარობს საფეხბურთო კარიერის დასრულებას. მან ახლახან "მანჩესტერ სიტისთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა - მომავალი სეზონიდან მანჩესტერული კლუბის ღირსებას დაიცავს. "არსენალის" ფრანგი მწვრთნელი არსენ ვენგერი ფეხბურთელს, მეკარეთა მწვრთნელის რანგში, კლუბში დარჩენას სთავაზობდა, მაგრამ სიმენმა მწვრთნელობას საფეხბურთო კარიერის გაგრძელება არჩია. ასაკის მიუხედავად (სიმენი 39 წლისაა), სიმენი აცხადებს, რომ შესანიშნავ ფორმაშია და უმაღლეს დონეზე თამაში კიდევ შეუძლია.

მეტიც: სიმენს ეროვნულ ნაკრებში დაბრუნების შანსიც გაუჩნდა. სვენ გორან ერიქსონმა განაცხადა, რომ მზად არის, სიმენი ნაკრებში დააბრუნოს, ოღონდ იმ პირობით, თუ ვეტერანი მეკარე ინგლისის პრემიერლიგაში გააგრძელებს კარიერას. მიმომხილველები ამტკიცებენ, რომ სიმენის გადაწყვეტილებაზე სწორედ შვედის განცხადებამ იმოქმედა.

რაც შეეხება "მანჩესტერ სიტის", მისთვის ხანდაზმული მეკარეების შეძენა უცხო არ არის. ადრე კლუბის ღირსებას იცავდა დანიელი პეტერ შმეიხელი, რომელიც მანჩესტერში სწორედ საფეხბურთო კარიერის დასამთავრებლად ჩავიდა. ახლაც "სიტის" მწვრთნელმა კევინ კიგანმა არჩევანი შეაჩერა გამოცდილ მეკარეზე, რომელიც ახალგაზრდა გუნდთან მუშაობასაც შეძლებდა. შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნით ადრე "მანჩესტერ სიტიმ" შეიძინა მიუნხენის "ბაიერნის" ყოფილი ფეხბურთელი მიხაელ ტარნატი, რომელიც, სავარაუდოდ, "სიტიში" დაასრულებს საფეხბურთო კარიერას.



სიმენი "სიტიში" გადავიდა



კაფუს კი "მილანი" ეპატიჟება

### კაფუ - "მილანში"

"მილანის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ ტრიუმფალური სეზონის შემდეგ არაერთხელ განაცხადა, რომ დაცვის გაძლიერებას აპირებს და ამ მიმართულებით სეზონის ერთ ხმაურიან ტრანსფერს აუცილებლად გაჩარხავს. როგორც ჩანს, "მილანი" უკვე ჩამოყალიბდა ხმაურიანი ტრანსფერის საკითხში. მას შემდეგ, რაც ნათელი გახდა, რომ დევიდ ბექჰემის შეძენა ვერ მოხერხდება და, თანაც, არასასურველია (ინგლისელს კომპანია Vodafone-სთან სპონსორული კონტრაქტი აკავშირებს, რაც შეთანხმებას არარეალურს ხდის), "მილანმა" უმაღლესი კლასის მცველზე გაამახვილა ყურადღება. ძიება დიდხანს არ გაგრძელებულა. იტალიური პრესის ცნობით, სამშაბათს გუნდში, სამედიცინო შემოწმებისთვის, მსოფლიო ჩემპიონი კაფუ გამოცხადდა.

"მილანმა" გუშინაც დაადასტურა თავისი განზრახვა იმის შესახებ, რომ ნახევარმცველის ან ფორვარდის კი არა, სწორედ კვალიფიციური მცველის დამატებას აპირებს, უფრო სწორად, უკანასკნელი მცველის. სიმართლე რომ ითქვას, კაფუ ალიბეროს პოზიციაზე არ გამოდგება. ის განაპირა მცველია და ცენტრში არასოდეს უთამაშია. თუმცა, მალდინი საფეხბურთო კარიერის დასრულებას არ აპირებს. აი, კოსტაკურტა კი, ალბათ, დაემშვიდობება დიდ ფეხბურთს. ასე რომ, აბსოლუტურად თავისუფლად შეუძლია, კოსტაკურტას პოზიციაზე ითამაშოს.

ბრაზილიელის უმთავრესი უპირატესობა ის არის, რომ ის "მილანს" უფასოდ ერგო. "რომასთან" მის კონტრაქტს ყავლი გაუვიდა. რომაელები არ აპირებენ ბრაზილიელთან თანამშრომლობის გაგრძელებას. მათ უკვე აღნიშნეს, რომ კაფუ არ სჭირდებათ. ერთხანს ბრაზილიელი იაპონიის ჯეი-ლიგაში აპირებდა გადასვლას, მაგრამ "მილანის" ვარიანტი მისთვის უფრო მომხიბვლელია.

ახალ კლუბში კაფუს კონტრაქტი ორწლიანი იქნება და ამ ხნის განმავლობაში ბრაზილიელი 2 მილიონ ევროს მიიღებს. სერია A-სთვის ეს დიდი ხელფასი არ არის, მაგრამ, იმის გათვალისწინებით, რომ წლევანდელ სეზონში "მილანი" დიდი ტრანსფერების განხორციელებას აღარ გეგმავს, კაფუს ტრანსფერი უფრო რეალური ხდება.

გამოსათხოვარი

# უბადლო კაპიტანი

გიგა გურასაშვილი

*ადრე თუ გვიან ვარსკვლავებიც ქრებიან. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული კაშკაშა ვარსკვლავი გახლდათ პეტრე მშვენიერაძე, კაცი, რომლის სახელსაც უკავშირდება საბჭოთა კავშირის წყალბურთის ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. საბჭოთა წყალბურთის სკოლა კი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი გახლდათ, უძლიერესი პეტრე მშვენიერაძის დარი წყალბურთელების წყალობით.*
*დღეს პეტრე მშვენიერაძე ჩვენს გვერდით აღარაა, მაგრამ დარჩა მისი სახელი, ბიოგრაფია, რომელიც სხვათათვის, განსაკუთრებით ახალგაზრდა წყალბურთელებისთვის, სამაგალითო უნდა იყოს.*


*პეტრე მშვენიერაძემ წყალბურთი ვაჟსაც ასწავლა*

პეტრე მშვენიერაძე დაიბადა 1929 წელს. სამ ოლიმპიურ თამაშებზე გამოსულა. მელბურნისა (1956) და რომის (1960) ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოსა და ვერცხლის მედლები მოუპოვებია. იყო საბჭოთა კავშირის ათგზის ჩემპიონი სამხედრო საჰაერო ძალებისა და მოსკოვის "დინამოს" შემადგენლობაში და ორგზის თასის მფლობელი; ევროპის ჩემპიონატების არაერთგზის პრიზიორი. სპორტის დამსახურებული ოსტატი...

მოსკოვის "დინამოს" წყალბურთელთა კლუბის ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით მოვიძიეთ მასალა, უფრო სწორად, ერთგვარი ავტობიოგრაფია, სადაც დიდი წყალბურთელის შესახებ ბევრ საინტერესო რამეს ვიგებთ.

"დავიბადე თბილისში. თოთხმეტი წლის ლაწირაკი აუზზე მივედი. იმ დროს, ომიანობისას, მთელ ქალაქში ერთადერთი აუზი იყო, იქ მოხვედრის მსურველი კი - უამრავი. ამიტომ პრობლემის გადაწყვეტის იოლ ხერხს მივაგენი: ერთხელ ღობეს გადავახტი და პირდაპირ ლუკა იაკიმიდის - ჩემი მომავალი პირველი მწვრთნელის ხელში აღმოვჩნდი. ეტყობა, მიზნის მიღწევისთვის იმდენად მტკიცე გამომეტყველება მქონდა, რომ მწვრთნელმა ულაპარაკოდ მიმიღო ცურვის სექციაში. უკვე მომდევნო, 1944 წელს, საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში ქვეყნის პირველობაზე გამოვედი. შემდეგ საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გავხდი 100 და 200 მეტრზე ბრასში. მალე წყალბურთმა გამიტაცა. აღმოვჩნდი თბილისის "დინამოში". ჩვენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, კარგ შედეგს მივაღწიეთ - სსრკ პირველობაზე მეექვსე ადგილი. სპეციალისტებმა შემნიშნეს და ნაკრებში მიმიწვიეს. ნაკრებში დებიუტი 1949 წელს შედგა. სადებიუტო მატჩშივე ჩეხოსლოვაკიის კარში ბურთების ნახევარი მე გავიტანე. ერთი სიტყვით, წარმატებული სტარტი მქონდა.

1951 წლამდე, როგორც წყალბურთელი, თვითნებურად ვიწრთობოდი, ასე ვთქვათ, ინტუიციით. 1951 წელს უნგრეთის ნაკრებს შევხვდით. ვნახე იშტვან სივოშის, იშტვან-უფროსის ვირტუოზული მოძრაობა, ბურთის ფლობის მანერა. ყველაფერმა ამან ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

მივუახლოვდი, გავეცანი და ვთხოვე, თავისი "საფირმო" საიდუმლოებები გაეზიარებინა. უყოყმანოდ დამთანხმდა. მალე ნამდვილი მეგობრები გავხდით.

ერთხელ იშტვანმა მითხრა: "პეტრე! ყურადღებით მომისმინე. არასდროს იყო მსაჯით უკმაყოფილო. მიმიკებით ნუ აჩვენებ, რომ გძირავენ, რომ მცველი თამაშის წესს არღვევს. ერთი სიტყვით, ნუ ეცდები, მსაჯს მოწინააღმდეგის დასჯა გამოსტყუო. მტკიცედ იდექი წყალზე, არ ჩაიძირო; აიკიდე მეტოქე და მსაჯს დაანახე, რომ იგი შენზე ტომარასავითაა ჩამოკიდებული. აი, ესაა ნამდვილი წყალბურთი - ძლიერი კაცების თამაში. პეტრე! დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები და დიდი წყალბურთელი გახდები".

პეტრე მშვენიერაძე, მართლაც, დიდი წყალბურთელი გახდა. იმ დროის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე. მშვენიერაძის თამაშის მხილველნი ქართველ წყალბურთელს სხვათაგან ფიზიკური სიძლიერით გამოარჩევდნენ. მისი ჩაძირვა, პრაქტიკულად, შეუძლებელიც იყო. ხშირი იყო ასეთი სურათიც: მშვენიერაძე, ბურთით ხელში, ამოდის წყლიდან, მასზე მეტოქეა ჩამოკონწიალებული (როგორც ტომარა). ასეთ სიტუაციაშიც კი თავდამსხმელი მეტოქის კარში ბურთის შეგდებას ახერხებდა. განსაკუთრებული ტექნიკის პატრონს, ბურთის დამუშავების მთელი არსენალი ჰქონდა. მრავალფეროვნებით, ტექნიკური ილეთების უნივერსალობით მას ბადალი არ ჰყავდა. იმასაც ამბობენ, რომ ის გუნდის ლიდერიც გახლდათ, ლიდერი, რომელსაც შეეძლო, გადამწყვეტ მომენტში მატჩში გარდატეხა შეეტანა და თანაგუნდელებს გასძლოლოდა. სხვა თუ არაფერი, საბჭოთა კავშირის ნაკრებში ქართველს კაპიტნობას ტყუილუბრალოდ არავინ ჩააბარებდა. კაპიტნის სამკლაური კი ყველაზე საპასუხისმგებლო ასპარეზობის - მელბურნის ოლიმპიური თამაშების წინ გადასცეს.

რამდენიმე დღის წინ დიდი კაპიტანი გარდაიცვალა.

Roland Garros

# გამარჯვების გემო

ანდრე აგასი თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა. აღარ თამაშობს მსოფლიოს პირველი ჩოგანი ლეიტონ ჰიუიტი. გათამაშებას გამოეთიშა კარლოს მოიაც და ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ გამარჯვება ნებისმიერ ჩოგბურთელს შეუძლია. მათ შორის ტურნირის შარშანდელ ტრიუმფატორს, ესპანელ ალბერტ კოსტას.

კოსტამ ესპანურ დაპირისპირებაში ტომი რობრედოს მოუგო - 2:6, 3:6, 6:4, 7:5, 6:2. იმ რობრედოს, რომელმაც ლეიტონ ჰიუიტს დააყრევინა ფარ-ხმალი. როგორც ჩანს, ახალგაზრდა ესპანელმა მთელი ენერგია ავსტრალიელის დამარცხებას შეალია და გადამწყვეტ მომენტში ფიზიკურმა კონდიციებმა უმტყუნა. რობრედომ ენერგიულად დაიწყო და პირველ ორ სეტში ხუთი გეიმი აართვა გამოცდილ მეტოქეს. მეტოქის უშეცდომო თამაშის ფონზე ალბერტ კოსტას აშკარა ნერვიულობა დაეტყო და უნებლიე შეცდომებსაც უშვებდა. კოსტამ პირველი ორი სეტი წააგო.

ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს, ტომი რობრედო ფიქრობდა, რომ ყველაფერი ასე გაგრძელდებოდა: ალბერტ კოსტა შეცდომებს დაუშვებდა, თვითონ კი აუღელვებლად მიიყვანდა მატჩს ლოგიკურ დასასრულამდე. ეს შთაბეჭდილება რობრედოს თამაშის მანერამ შემიქმნა. ახალგაზრდა ესპანელი ცდილობდა, მაყურებლისთვის ორიგინალური თამაშით მოეწონებინა თავი - მოჭრილი დარტყმებითა და უძლიერესი ფორხენდებით გზავნიდა ბურთს მეტოქის ნახევარზე, მაგრამ ამ დარტყმების უმეტესობა დანიშნულების ადგილამდე ვერ აღწევდა. ამ დაუდევრობით საქმე იქამდე მივიდა, რომ კოსტამ მეტოქის მოწოდება მოიგო და ანგარიშში სხვაობა შეამცირა.

მეოთხე სეტი უაღრესად დრამატული გამოდგა და კოსტამ, რომ იტყვიან, რობრედოს ხელიდან გამოგლიჯა გამარჯვება. 5:5-ზე მან მომდევნო ორი გეიმი და, ამასთან, სეტიც მოიგო. აქ კი, როგორც უკვე ვთქვით, რობრედოს მდგომარეობის გამოსასწორებლად ფიზიკური გამძლეობა არ ეყო. მეხუთე სეტი მთლიანად ალბერტ კოსტას კარნახით წარიმართა და მისივე გამარჯვებით დასრულდა. თავისი დაუდევრობით, მთელი მატჩის განმავლობაში ტომი რობრედომ 6 ორმაგი და 98 უნებლიე შეცდომა დაუშვა. ეს მაჩვენებელი კი, შეიძლება ითქვას, ორ თამაშს ეყოფოდა.

ამრიგად, ნახევარფინალში გავიდა ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული ალბერტ კოსტა, რომელიც თანამემამულეს ხუან კარლოს ფერეროს დაუპირისპირდება. ნახევარფინალის გზაზე ფერეროსაც გვარიანად გაუჭირდა. ტურნირის მესამე ნომერს სამსაათნახევარი დასჭირდა ჩილელი ფერნანდო გონსალესის დასამარცხებლად. ამ ხუთსეტიან ისტორიაში კი ყველაზე სანახაობრივი გამოდგა მეოთხე სეტი, რომელიც საათზე მეტხანს გაგრძელდა. დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. ჩოგბურთელები ვერაფრით ახერხებდნენ თავისი მოწოდების მოგებას. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ანგარიში 2:2 არ გახდა. ამის შემდეგ ფერნანდო გონსალესმა, როგორც იქნა, მოიგო თავისი მოწოდება. მცირე პაუზის შემდეგ კი მეტოქის გეიმიც მიითვალა და სეტი 7:5 მოიგო. გადამწყვეტი სეტი დაახლოებით იგივე სცენარით წარიმართა, როგორც მეოთხე. ოღონდ ამჯერად მეტოქეები კბილებით იცავდნენ თავის მოწოდებას. მხოლოდ მეცხრე გეიმზე გატყდა ჩილელი, ისიც, უნებლიე შეცდომის გამოისობით და ამან, ფაქტობრივად, გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი, რასაკვირველია, ფერეროს სასარგებლოდ. "ისეთი გულგატეხილი ვარ, სიტყვებით ვერ გადმოგცემთ", - განაცხადა ფერნანდო გონსალესმა, რომელმაც უამრავი ორმაგი და უნებლიე შეცდომა დაუშვა - 15 და 117 შესაბამისად.


*ალბერტ კოსტა გამარჯვებას ზეიმობს*

**პარიზი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი.**
**"დიდი სლემის" ტურნირი. მეოთხედფინალი**

**ვაჟები**

| | |
|---|---|
| ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 9) - ტომი რობრედო (ესპანეთი, 28) | 2:6, 3:6, 6:4, 7:5, 6:2 |
| ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი, 3) - ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 19) | 6:1, 3:6, 6:1, 5:7, 6:4 |

წუთიერი დუმილი

პაატა თოთაძე

## სიცოცხლისთვის საშიში ფეხბურთი

- დიდი ხანია, სტადიონზე დადიხარ? – მახსოვს, ერთხელ ასეთი კითხვა დამისვეს, – ერთი ჩემს ძმასაც ურჩიე, რომელ გუნდს უქომაგოს.
- იმას, რომელიც მოსწონს, უყვარს.
- ფანატთა გამოხდომებს როგორ უყურებ?
- როგორც ავადმყოფთა ქმედებას.
- ხო, მაგრამ ისინი ხომ ფეხბურთით არიან დაავადებულნი?
- არა, ფეხბურთით დაავადებული მე ვარ. ისინი სტრესით, აპათიით არიან შეპყრობილნი. ეს იმიტომ, რომ ცხოვრების აზრს ვერ ხედავენ.

ყველაზე ცნობილი ტრაგედია ბრიტანულ ფეხბურთში 1989 წელს მოხდა - შეფილდში "ჰილსბოროს" სტადიონზე, ინგლისის თასის ნახევარფინალურ მატჩში "ლივერპულსა" და "ნოტინგემ ფორესტს" შორის. თამაშის უკეთ ყურების სურვილით, სტადიონის ზედა რიგების მაყურებელი ქვევით დაიძრა და ქვედა რიგში მსხდარი მაყურებელი ეგრეთ წოდებულ დამცავ ღობეს მიაჭყლიტა. ამ ჭყლეტაში 95 ადამიანი დაიღუპა, თუმცა, არაოფიციალური მონაცემებით, დაღუპულთა რიცხვმა 118-ს მიაღწია. ევროპული ფეხბურთის ყველაზე დიდ ტრაგედიად კი "ლუჟნიკებში" მომხდარი უბედურება ითვლება. მაშინ კიბის ჩანგრევისა და წარმოქმნილი ჭყლეტის შედეგად 300-მდე ადამიანი დაიღუპა. ყველა ამ ტრაგედიას უბედური შემთხვევა უწოდეს. თუმცა, ხანდახან ისეც ხდება, რომ ადამიანი გაგიჟებული, ჭკუიდან გადასული ფანის ხელით კვდება.

რვა წლის წინათ "ჯენოას" 21 წლის გულშემატკივარი "მილანის" ფანებმა სასიკვდილოდ სცემეს. 1985 წლის ტრაგედია კი არათუ ახსოვს უმეტესობას, ალბათ, უნახავს კიდეც. "იუვენტუსსა" და "ლივერპულს" შორის უეფას თასის ფინალის დაწყებამდე ერთი საათით ადრე მატჩის მონაწილე გუნდების გულშემატკივრებს შორის ამტყდარმა ჩხუბმა 39 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. შეხვედრა მაინც გაიმართა, იტალიელებმა 1:0 მოიგეს, ინგლისურ კლუბებს კი ამის შემდეგ ხუთი წლით აეკრძალათ ევროტურნირებში მონაწილეობა.

არცთუ დიდი ხნის წინათ სტამბულში, ადგილობრივი "გალათასარაის" გულშემატკივრებმა მოკლეს ორი ინგლისელი, რომლებიც თავის გუნდს, "ლიდსს" ჩამოჰყვნენ "გალათასარაის" წინააღმდეგ უეფას თასის მატჩში საქომაგოდ.

2001 წელს განაში მომხდარი ტრაგედიის შედეგად 126 ადამიანი დაიღუპა. არეულობა სტადიონზე მას შემდეგ დაიწყო, რაც მასპინძელი "ჰარტს ოვ ოუკ" "აშანტი კოტოკოსთან" მატჩის მიწურულს დაწინაურდა - 2:1. უკმაყოფილო სტუმარმა ფანებმა სტადიონზე სკამების მტვრევა და მოედანზე სროლა დაიწყეს. ეს რომ ეკმარებინათ, ისეთი არაფერი მოხდებოდა, მაგრამ ცოტა ხანში მასპინძელ გულშემატკივრებსაც გადასწვდნენ. მოჩხუბართა გასაშველებლად და დასაშოშმინებლად საქმეში პოლიცია ჩაერთო – ცრემლსადენი გაზი გამოიყენა, რამაც მდგომარეობა კიდევ უფრო გაამწვავა. ჩხუბის, ჭყლეტისა და ცრემლსადენი გაზის შედეგად 126 ადამიანი დაიღუპა.

საერთოდ, არეულობები საფეხბურთო მატჩებისას აფრიკის კონტინენტზე არცთუ იშვიათია. ფანატთა მოქმედების გარდა, ეს მატჩების ცუდი ორგანიზაციის, წესრიგის დამცველთა უუნარობის, მსაჯთა დაბალი დონისა და მათი მოსყიდვის ბრალიცაა. 1991 წელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ქვეყნის ჩემპიონატის მატჩისას ტრიბუნებზე მომხდარი ჩხუბისას 40 ადამიანი დაიღუპა. სამი წლის შემდეგ იგივე მოხდა სხვა სტადიონზე. მაშინ დაღუპულთა რიცხვმა 34-ს მიაღწია. ანალოგიური რამ ორი წლის წინათაც მოხდა, მაგრამ მაშინ უეცრად წამოსული თავსხმა წვიმის წყალობით, რომელმაც მოჩხუბრები დაფანტა, მხოლოდ 12 ადამიანი დაიღუპა.

პერუში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ ქვეყნის მთავრობა იძულებული გახდა, დედაქალაქში სამხედრო რეჟიმი შემოეღო. პერუს ოლიმპიური ნაკრები არგენტინისას მასპინძლობდა. მატჩის ბოლო წუთზე მსაჯმა მასპინძელთა მიერ გატანილი გოლი არ ჩათვალა. შედეგად 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე პერუს ნაცვლად არგენტინის ნაკრებმა მიიღო მონაწილეობა. მსაჯის მოქმედებით უკმაყოფილო გულშემატკივრებმა თავიანთი რისხვა არგენტინელ გულშემატკივრებს, შემდეგ კი საქმეში ჩარეულ პოლიციას დაატეხეს თავს, რამაც 318 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

საფეხბურთო ტრაგედიების სია გაცილებით გრძელია... თუმცა, იმის თქმაც საკმარისია, რომ არგენტინასა და ბრაზილიაში წლის განმავლობაში ჩემპიონატის მატჩებისას, დაახლოებით, 40 ადამიანი იღუპება.

TV-სპორტი

### ხუთშაბათი. 5 ივნისი

**НТВ + ФУТБОЛ**
13:00 თავისუფალი დარტყმა
13:15 ლიბერტადორესის თასი. პირველი ნახევარფინალური მატჩი.
15:00 იტალიის ჩემპიონატის შეჯამება.
16:30 "დარტყმა გოლისთვის"
16:45 ფრენბურთი. "Montreux Volley Masters"-ის საერთაშორისო ტურნირი. გოგონები. რუსეთი-იაპონია.
18:15 "ფეხბურთი ანიდან ჰაემდე"
18:45 "FUTBOL MUNDIAL"
19:15 თავისუფალი დარტყმა
19:30 სახვალიო ტელეპროგრამა
19:35 ლიბერტადორესის თასი. პირველი ნახევარფინალური მატჩი.
21:20 "საფეხბურთო სამზარეულო"
21:55 ფრენბურთი. "Montreux Volley Masters"-ის საერთაშორისო ტურნირი. გოგონები. რუსეთი-ბრაზილია (პირდაპირი ტრანსლაცია)
01:30 ლიბერტადორესის თასი. პირველი ნახევარფინალური მატჩი. (პირდაპირი ტრანსლაცია)

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:15, 18:00 და 22:00 "პრესცენტრი"
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20 აერობიკა
11:45 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. პირველი ფინალური მატჩი
14:30 აერობიკა
14:55 "Power week - NHL-ის კვირა"
15:20 ბოულინგი
16:10 "რკინის ფაქტორი". მოსკოვის ჩემპიონატი ბოდიბილდინგში. მე-2 ნაწილი
16:55 ჩოგბურთი. "როლან გაროსი". ქალთა ნახევარფინალები. (პირდაპირი ტრანსლაცია)
21:00 საკალათბურთო მიმოხილვა
21:30 "ჩქაროსნული სამყარო"
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:30 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. პირველი ფინალური მატჩი
01:00 ახალი ამბები
01:15 მძლეოსნობა. რუსეთის ჩემპიონატი (კაცები)

**EUROSPORT**
11:30 გოლფი. PGA-ს ტურნირი. აშშ
12:30 საცხენოსნო სპორტი. სამსუნგის ერთა თასი შვეიცარიაში
13:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ლეგენდები
14:30 ფეხბურთი. ევრო-2004
16:00 ჩოგბურთი. "როლან გაროსი"
21:45 ახალი ამბები
22:00 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი
00:00 "როლან გაროსი"
01:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
03:15 ახალი ამბები
03:30 არალი-რეიდი. მსოფლიო თასი მაროკოში
03:45 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი
04:15 ახალი ამბები

კრივი

# შვებულება დამთავრდა, სანდერსი ხელთათმანებს მოირგებს

კრივის მოყვარულებს, ალბათ, კარგად ახსოვთ, რომ მძიმე წონაში WBO-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ამას წინათ 37 წლის სამხრეთაფრიკელმა კორი სანდერსმა კარგა გვარიანად მიბეგვა უკრაინელი ვლადიმირ კლიჩკო და მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. ამ გამარჯვებამ სანდერსი იმდენად ააღელვა, რომ პრომოუტერებმა მოკრივე პირდაპირ სამხრეთ აფრიკის კურორტებზე გაგზავნეს.

ახლა კი, როგორც ჩანს, შვებულება დასრულდა და სანდერსი კვლავ მოირგებს ხელთათმანებს. ეს აგვისტოში მოხდება. სანდერსის მომავალი მეტოქე ჯერჯერობით უცნობია. ადრე ვარაუდობდნენ, რომ კორი საჩემპიონო ტიტულის დასაცავად 26 ივლისამდე WBO-ს ვერსიით უმაღლესი რეიტინგის მქონე მოკრივეს დაუპირისპირდებოდა. თუმცა, სანდერსის პრომოუტერმა როდნი ბერმანმა სამხრეთ აფრიკაში გამართულ პრესკონფერენციაზე სკანდალური განცხადება გააკეთა: "კორი თავის მომდევნო ბრძოლას ჯერ კიდევ უცნობ მეტოქესთან აგვისტოში გამართავს".


*დავიდ ტუა*


*კორი სანდერსი*

ბერმანის თქმით, ეს ბრძოლა მოკრივეთა ტურნირის პროგრამის ფარგლებში გაიმართება და მას სამხრეთ აფრიკა უმასპინძლებს. ამ ტურნირზე სანდერსი ტიტულს არ დაიცავს. მსოფლიო ჩემპიონის გარდა, ტურნირის მთავარი მოქმედი პირი დევიდ ტუა იქნება. შეჯიბრების შემდეგ ორივე მოკრივე გუდა-ნაბადს აიკრავს და ამერიკის გზას გაუყვება, სადაც მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ოქტომბერში ერთმანეთს დაუპირისპირდება. საპრიზო ფონდი, რასაკვირველია, სოლიდური იქნება.

ბერმანის თქმით, აგვისტოში ჩატარებული ბრძოლა სანდერსს საუკეთესო ფორმას შეუნარჩუნებს და სამხრეთ აფრიკაში კრივისადმი ინტერესს გააღვივებს. "კორი თავისი ასაკისთვის (ის 37 წლისაა) საკმაოდ კარგად გამოიყურება. ტუასთან მისი ბრძოლა კი უმნიშვნელოვანესი იქნება სამხრეთ აფრიკის კრივის ისტორიაში", - მიიჩნევს ბერმანი.

მოვლენების ასეთი განვითარება ანუ სანდერსის აგვისტოში ჩხუბი საერთოდ არ შედიოდა WBO-ს ხელმძღვანელთა გეგმებში, ამიტომ არ არის გამორიცხული, WBO-მ სანდერსს მსოფლიო ჩემპიონის წოდება ჩამოართვას. თუმცა, როგორც ჩანს, მსოფლიო ჩემპიონს და მის პრომოუტერს ეს ნაკლებად აღელვებთ.

როდნი ბერმანი აცხადებს, რომ ოქტომბრის ბრძოლისთვის ყველაფერი მზად არის. სატელევიზიო არხი "ნვო" დაინტერესებულია სანდერსი-ტუას მატჩის ტრანსლაციით. შეთანხმება მიღწეულია: მიუხედავად იმისა, ეს ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის იქნება თუ არა, "ნვო" მას აუცილებლად აჩვენებს.



გარდაიცვალა ქართველი მეცნიერი და ღვაწლმოსილი მოქალაქე, ბიოფიზიკის მეცნიერებათ დოქტორი, პროფესორი

**ბორის ლომსაძე**

იყო პარლამენტის წევრი (1992-1995), მუშაობდა სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიოფიზიკის კათედრის გამგედ.




განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება — MS Word,
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები — MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: ი. ჭავჭავაძის №25 ტელ:29-48-61

## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

**ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
გალა კონცერტი "სამაისო"
დას: 19:00 სთ

### თეატრები

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
პიეტრო მასკანი "სოფლის ღირსება", ჯაკომო პუჩინი "ჯანის სკიკი"
ოპერა ოთხ მოქმედებად
დირიჟორი ზაზა კალმახელიძე
დას: 19:00 სთ

**მარჯანიშვილის თეატრი**
თენგიზ ჩანტლაძის ხსოვნის საღამო
დას: 18:00 სთ; ფასი 5,7 ლარი

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
"ვენეციელი ვაჭარი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 10 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
ნინო ბასილია "თაგვი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
პრემიერა "ჰენრიხ IV", რეჟ. დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ; ფასი

### კლუბები

**„აჭარა მიუზიკ ჰოლი„**
თქვენ გაგართობენ კლუბის ადგილობრივი დი-ჯეები
დას: 22 სთ; ფასი: გოგონები უფასოდ, ბიჭები 20 ლარი

### საგამოფენო დარბაზები

**ქარვასლა**
ოლეგ გოჩაკიძის ნამუშევრების გამოფენა

**ხელოვნების მუზეუმი**
ია არსენიშვილის ნამუშევრების გამოფენა, (ბატიკა)

**უნივერსი**
ირაკლი სუთიძის ნამუშევრების გამოფენა

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"ჯუჯა ცხვირა"
დას: 11:00 სთ; ფასი 5,6 ლარი
"მატრიცა 2"
დას: 13:00; 14:00; 19:00; 22:00 სთ; ფასი 6-10 ლარი

**„რუსთაველი„**
"მაუგლი"
დას: 15:00; ფასი 5 ლარი
"X მენი"
დას: 17:00; 22:00 სთ; ფასი 7,9 ლარი
"ახალდაქორწინებულები"
დას: 19:30 ფასი 5 ლარი

**გერმანული ფილმების კვირეული**

**„ელისო„**
"პიუნთქთხენი და ანტონი"
დას: 13:00 სთ; ფასი 1 ლარი
"პატარა ჯიმი"
დას: 16:00 სთ; ფასი 1 ლარი
"მშვენიერი მარტა"
დას: 18:00 სთ; ფასი 1 ლარი
"სკოლა"
დას: 21:00 სთ; ფასი 1 ლარი

**კინოს სახლი**
"ინგლისი", რეჟ. ახიმ ფონ ბორისი; როლებში: მერაბ ნინიძე, ივან შვედოფი და სხვ. (ორიგინალური ვერსია)
დას: 18:00 სთ; ფასი 1 ლარი
"პოლიციელი ქალი" (ორიგინალური ვერსია), რეჟ. ანდრეას დრეზენი
დას: 21:00 სთ; ფასი 1 ლარი

## TV პროგრამა 5 ივნისი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ასულ ტეკილა“
10.20 დოკ. ფილმი „მეოცე საუკუნე“
11.10 სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები“
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.20 სერიალი „ასულ ტეკილა“
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 სერიალი „ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები“
18.50 სერიალი „მაშველები“
19.50 სერიალი „დატყვევებული გულები“
22.00 ვის უნდა ოცი ათასი?
22.00 სერიალი „სექსი დიდ ქალაქში“
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „თხის რქა ერთი“ მთ. რ-ში: ტერი სავალასი.
02.30 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „დაკარგული სამყაროს თავგადასავალი“
10.10 მხ. ფილმი „მახე“
11.45 დოკ. სერიალი „ხელოვნების სცენარები“
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
13.00 ნაშუადღევს
14.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
14.30 პალიტრა
15.15 მხ. ფილმი „ამელი“
17.15 რამპა
17.20 ტელესერიალი „ძილის წინ“
17.30 დოკ. სერიალი „ქვეყანა, ქვეყნები“
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ლეგენდები მეცნიერების შესახებ“
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 ჯანმრთელობა
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
21.05 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
22.10 საქართველო არის ესე
22.40 ტელესერიალი „ძილის წინ“
23.00 „რა ხდება ?!“
23.55 მხ. ფილმი „ჰენრი ფული“.

### პირველი სტერეო

07.00 ევანგელური ეკლესიის მიმდევართათვის
08.00 ტოროლა
11.00 განმ. ქართ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „გაქცეული პატარძალი“ მთ.რ-ში ჯულია რობერტსი.
18.00, 19.15 ქართული მუსიკა
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხ. მუსათეული
22.35 მუსიკა
23.00 აბა გამოიცანი მელოდია
00.00 „ბრავო“ „ფანატი ქალი“ მთ. რ-ში ჯესი ბრედფორდი.
02.00 „ღამურა“ „სიამოვნების წყარო“ მთ. რ-ში ერიკა პრიორი.
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.30 სერიალი „რვაფეხა“
20.30 ისტორიანი
21.00 შვიდეული
22.10 მხ. ფილმი „მე, ისევ მე“

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „განრისხებული ანგელოზი“

13.30 მხ. ფილმი „ პაროლი ხმალთევზა“
15.00 მხ.ფილმი „ქარბორბალა“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა „დღეს“
17.15 მხ. ფილმი „დიკ ტრეისი“
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „გლადიატორი“
22.30 მხ. ფილმი „გზაჯვარედინი“

### იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „ბლეფი“
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. ფილმი
15.15 მხ. ფილმი „დეტროიტი 9000“
17.20, 17.50, 18.30, 21.55, 23.45 მუსიკა
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
19.40 მხ. ფილმი „ტეხასის მეფე“
21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმ.)
22.15, 23.00 დიალოგი
00.05 მხ.ფ. „ბერი“
01.55 მუსიკა

### მეცხრე არხი

08.00 პროგრამა „დილა“
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
10.30 მულტსერიალი „ვიზიონერები“
11.00 სერიალი „მოჯადოება“
11.50 კლასიკა
12.15 მხ. ფილმი „სპეციალისტი“
14.15 „ტელემეტრი“
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.50 „ევროპის სტადიონებზე“
15.15, 18.50, 19.50 მუსიკა
15.30 სერიალი „სირინოზები“
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება“
17.50 მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები“-სტეპ.
18.05 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
18.25 მულტსერიალი „ვიზიონერები“
19.00 სერიალი „მოჯადოება“
20.00 „ქართული ფეხბურთი“
21.15 სერიალი „სირინოზები“
22.00 გადაცემა „ყვითელი კვადრატი“.
22.25 მოკლ. რუს. მხ. ფილმი „ნიღაბი“
23.00 „ცხელი ცხრიანი“
00.20 რუს. მხ. ფილმი „ანგელოზის თვალსაზრისი“.

### იმედი

08.59, 11.59, 13.59, 15.59, 17.59, 20.59 ქრონიკა
09.00 „უცერემონიოდ“ (განმ.)
09.30 სერიალი „იუდას ქალი“
10.30 არტ-ბულვარი
11.00 დოკ. სერიალი „ბრძოლა გადარჩენისათვის“
12.05 სერიალი „სახიფათო მოსახვევები“
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
13.15, 17.20, 00.10 იმედის მელოდიები
13.30 სერიალი „უკიდურესი ზღვარი“
14.05 სერიალი „ეარ ამერიკა“
15.15 ფანების კინოკლუბი „საჭირო ხალხი“
17.30 დოკ. სერიალი „ისტორიის ერთი კვირა“
18.05 სერიალი „იუდას ქალი“
19.30 სერიალი „სახიფათო მოსახვევები“
20.30 სპ. პროგრამა „ესტაფეტა“
21.05 სერიალი „ეარ ამერიკა“
22.45 „უცერემონიოდ“
23.20 სერიალი „ეროვნული უშიშროების აგენტი“
00.30 კინოვარსკვლავთა ღამე „ოსკარი“

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.10 ფანტასტიკა „ოდისეა“ 2 ს.
10.40, 14.00 მუსიკა

11.10 დოკუმენტური ფილმი
12.10 სათავგადასავლო ფილმი „ბლანში“
14.05 კომედია „კიკუჟირო“
16.10, 19.10, 22.20, 00.20 საინფორმაციო გამოშვება „ნოვოსტი“
16.20 მულტფილმი „ჯადოსნური ქვაბი“
17.35 თრილერი „ყინულოვანი დუმილი“
19.00, 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება „დღეს“
19.20 „პირისპირ“ (ავტორი ვ.კვარაცხელია)
20.30 თრილერი „სტიქსი“
22.40, 03.20 მუსიკა
23.00 დოკუმენტური ფილმი
00.45 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
00.50 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.00 ვესტერნი „შესანიშნავი შვიდეული“
03.50 თრილერი „კლდე“

### VII არხი

09.10 მელოდია
09.25 „აჩიკუდა“
09.45 მობილურები
10.10 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ - ესპანეთის ჩემპიონატის მიმოხილვა - განმეორებით
11.00 მელოდია -
11.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
11.50 „ბიორითმი“ - .
12.10 აუდიო-ვიდეო-ტელე
12.50 დისნეი და მისი მეგობრები
13.10 კომპიუტერული თამაშები
13.30 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.55 მოკლედ... უცხოეთი
19.00 „აჩიკუდა“
19.25 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
20.30 კომპიუტერული თამაშები
20.35 ღამის კაპრიზი“ - თემა: „ „.
21.25 მობილურები
22.20 „კინოკლუბი „ - „ავიაკატასტროფა“. თრილერი. პიტერ ჰურასიკი, შერილ ლედი
23.45 აუდიო-ვიდეო-ტელე
00.30 „ბიორითმი“ - .
00.50 კომპიუტერული ტექნიკა

### ОРТ

07.00 „Доброе утро!“
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00 Новости
10.15, 20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“
11.05 Худ.фильм „По ту сторону волков“
12.05, 17.30, 00.55 „Фабрика звезд 2“
12.35 Дисней-клуб: „Базз и его команда“
13.15 Детектив „Убийство в Саншайн-Менор“
15.00 „Новые чудеса света“. „Вена. Призраки старого города“
15.30 „Гении и злодеи“
16.15 Худ.фильм „Досье детектива Дубровского“
18.00 „Большая стирка“
19.25 Док. детектив „Гонка по встречной полосе“.
21.00 Ток-шоу „Основной инстинкт“
22.00, 00.30 Время
22.40 Худ.фильм „По ту сторону волков“
23.45 „Человек и закон“
01.10 „Крылья“
01.40 „Великаны и карлики“
02.10 „Апология“
03.10 Боевик „Операция „Медуза“, ч.2

### РТР

06.45 „Доброе утро, Россия!“
09.45, 21.55 Сериал „Главные роли“
10.40, 22.55 Сериал „Госпожа Победа“
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание“
13.20 Сериал „Проклятие древней гробницы“
14.15, 17.45 „Экспертиза“
14.30 „Вся Россия“
14.45 Вести - Москва
15.20 „Что хочет женщина“
16.10 Сериал „Московские окна“
17.15, 04.55 „Агентство одиноких сердец“
18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
18.50, 03.50 „Дорожный патруль“
19.05 Вести - Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести - Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс“
21.50 „Спокойной ночи, малыши!“
00.15 Церемония вручения 1-ой национ. спортивной премии „Слава“
01.25 Детектив „Сумерки“
03.20 „Синемания“
04.05 „Твин Пикс“

### НТВ

07.00 „Утро на НТВ“
09.45 Сериал „Сокровища мертвых“
11.00 „Сегодня утром“
11.25 „Чистосердечное признание“
12.00 „Квартирный вопрос. Музыкальная гостиная“
13.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.10 „Сегодня“
13.35 „Страна Советов“
14.40 Детектив „Поворот ключа“, 4 с.
15.45 „Криминал“
16.35 „Принцип „Домино“. „Мы и наше биополе“
18.30 Сериал „Скорая помощь“
19.25 „Очная ставка“. „Последнее свидание“
20.35 Сериал „Сокровища мертвых“
21.45 Сериал „Дальнобойщики. Кино“
23.00 „Страна и мир“
23.40 Сериал „Секс в большом городе“
00.25 „Живой Пушкин“ с Л.Парфеновым, ч.4
02.30 Сериал „Доктор“
03.20 „Кома“

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*






## ბინები

### იყიდება

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაჟზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

იყიდება კერძო სახლი ეზოთი საბურთალოზე. 37-68-81 (22 სთ-დან 23 სთ-მდე).

**იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი საგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38**

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

**იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. 29 17 53, 8(99) 54 84 25**

**იყიდება!**
**სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.**
**ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

**იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.**

**იყიდება 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით. ვერცხლის ქ.50. ტელ: 98-61-12**

**განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.**

## ბინები

### ქირა, ბირაო

**ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.**

**ქირავდება 4-ოთახიანი 125 კვ.მ ფართის ბინა, სათავსოებით, ცხელი წყლით, მუდმივი დენით, ბ/ა-ით ბარათაშვილის N12-ში 7(7), მუშაობს ლიფტი.**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

**ქირავდება!**
**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

**ქირავდება 1-ოთახიანი კეთილმოწყობილი ბინა სოლოლაკში. ყველა საჭირო ინვენტარით. 98-94-74.**

## კომერც. ფართი

**ვიქირავებ ფართს სასურსათო მაღაზიისთვის, ქალაქის ცენტრალურ უბანში.**
**ტელ: 95-21-46 დღისით**
**79-44-03 საღამოს ირაკლი.**

**ქირავდება 45 კვ.მ საოფისე კეთილმოწყობილი ფართი, ცხელი წყლით, ტელეფონით, მუდმივი დენით ლეონიძის ქ. N8-ში (ყოფილი კიროვის).**
**ტელ: 99-74-83, 99-93-62.**
**19.00 სთ-ის შემდეგ.**

## მანქანები

იყიდება BMW-320, 2 -კარებიანი, 6 ცილინდრიანი ძრავით, 1984 წლის გამოშვება, ფასი 1000$. ტელ: 29-00-92.

იყიდება გოლფი-3 92 წლის გამოშვება 1.8 ძრავი, 2 კარიანი ლურჯი ფერის. ფასი 2800$. ტელ: 893 347536.

## სწავლება

ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი შეგასწავლით ინგლისურ ენას ინდივიდუალურად თქვენი მიზნების გათვალისწინებით. ტელ: 96-64-12, 893 219442, 95-20-34.

ინგლისურ ენაში მეც. კანდიდატი ატარებს შემაჯამებელ მეცადინეობებს ბინაში მისვლით, ემიგრანტებისათვის, სკაუტებისათვის . ტელ: 69-95-87.

აბიტურიენტთა და გერმანიაში წამსვლელთათვის გერმანულ ენაში მეცადინეობა ინტენსიური მეთოდით. 20 ივნისიდან. ტელ: 893 215688

## სხვადასხვა

იყიდება საორსულო ტანსაცმელი და ბანდაჟები, მოხრილობის, წელისა და ფეხის ასადგმელი ქამრები, ბრტყელტერფიანებისთვის სუპინატორები და ორთოპედიული ბალიშები. ტელ: 53-64-41.

**ვამზადებთ წვეულებებისთვის მრავალფეროვან კერძებს (როგორც ქართულს, ასევე, ეგზოტიკურს). შეკვეთისათვის დაგვიკავშირდით ორი დღით ადრე.**
**მის: ა. ყაზბეგის N55ა (კაფე "ჩარგალის" პირდაპირ) – კაფე "ცეზო".**
**ტელ: 39-46-30, 899 978757**
**მაკა ან ცეზო.**

კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე.
ტელ: 899 584855












# პირსინგი

## სილამაზე მსხვერპლს მოითხოვს

ანა კორძაია-სამადაშვილი

ადამიანი, მოგეხსენებათ, ერთობ უცნაური არსებაა, და ცალკეულ მოვლენებსაც ერთობ უცნაურად აფასებს. თუნდაც ის რად ღირს, რომ გახვრეტილი და უზრმაზარი ქვებით დამძიმებული ყურის ბიბილო ლამაზად მიაჩნია, ვერცხლის სამკაულით შემკული ჭიპი კი – საძაგლობად და საზოგადოებრივი აზრის შეურაცხყოფად. რატომ? განა ყურის ბიბილო უფრო ლამაზია, ვიდრე, ვთქვათ, ცხვირის ნესტო? თუ უფრო პატივსაცემია და ამიტომ განსაკუთრებულ მორთვას იმსახურებს?

პირსინგი, ანუ სხეულის ნაწილების გახვრეტის ხელოვნება, რომელიც კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში არსებობდა, უკანასკნელ წლებში ძალიან აქტიურად გამოიყენება, რაც ახალგაზრდობის ნაწილის დიდ ხალისს და კონსერვატიული მოსახლეობის გულისწყრომას იწვევს.

ყურის პირსინგის მიმართ დამოკიდებულება ყველაზე ლიბერალურია. ქალებისთვის ის ჩვეულებრივი მოვლენა გახლავთ. რაც მამაკაცებს შეეხებათ, აქ ცოტა უფრო რთულადაა საქმე, განსაკუთრებით ჩვენთან, საქართველოში. არადა, უწინ საყურე ძლიერი სქესის წარმომადგენელთა სიძლიერეს ხაზს უსვამდა. მაგალითად, მეზღვაურს, რომლემაც ეკვატორი პირველად გადალახა, ყურს უხვრეტდნენ – ეს მის კარიერაში სერიოზული მოვლენის ნიშანი იყო. ასეთი კაცისთვის ვინმეს რომ ეთქვა, მამათმავალი ყოფილხარო – ჩვენში ხომ უკანასკნელ დრომდე სწორედ ასე განიხილებოდა ყურგახვრეტილი მამაკაცი, - ნამდვილად არ შეარჩენდა, რა არაჯანსაღი აზრია, ბოლოს და ბოლოს!

ეს ყურს რაც შეეხება, შედარებით "მშვიდობიან ზონას". მაგრამ სხეულის სხვა ნაწილების პირსინგსაც დიდი ისტორია აქვს:

მდიდარი რომაელი ცენტურიონები, იულიუს კეისრის ამალაში მყოფნი, ძუძუსთავებში გაყრილ რგოლებს ატარებდნენ, რაც სიმამაცის ნიშანი და წმინდა პრაქტიკული დანიშნულების საგანიც იყო – ამ რგოლებზე მოკლე მოსასხამებს იმაგრებდნენ, რომ ქარში არ ეფრიალა. თურმე, ასეთ სამკაულს ვიქტორიანული ეპოქის ქალბატონებიც ხმარობდნენ, მკერდის მოცულობის გასაზრდელად და მისთვის მოხდენილი ფორმის მისაცემად. ახლანდელ ძუძუგახვრეტილ რეივერებს, ცხადია, ცენტურიონებამდე ბევრი უკლიათ, და არც გოგონებსა აქვთ კეთილშობილ ბრიტანელთა მანერები, მაგრამ მერე რა? ქცევის ნორმები სხვაა და პირსინგი – სულ სხვა.


ხომ ლამაზია?!



უჩვეულო პირსინგი

თურმე, ძველ ეგვიპტეში ჭიპგახვრეტილობა გარკვეული თემური უფლებების ფლობის ნიშანი ყოფილა. ცხადია, კრისტი ტარლინგტონს ჭიპი ამ საქმისთვის არ გაუხვრეტია, მაგრამ ლამაზი კია, რას იტყვით?

ვიქტორიანული გალანტერეის ერთ ატრიბუტს "პრინცი ალბერტი" ჰქვია. ლეგენდის თანახმად, ასეთი რგოლი უფლისწულ ალბერტის სასქესო ორგანოს ამშვენებდა. ამბობენ, რომ მისი წამხედურები ძალიან კმაყოფილი არიან: ოპერაცია წამში კეთდება, სიამოვნება კი დიდი და ხანგრძლივიაო. ლეოპოლდ ზაგერ-მაზოხის და მარკიზ დე სადის მიმდევართა გასახარად უნდა აღვნიშნო, რომ "უადგილო ადგილას დახვრეტილთა" რიცხვი დღითიდღე მატულობს, უბრალოდ, ამ სილამაზეს ყველა ვერ ხედავს, ან რა საყურებელია...

მთავარია, რომ ამჟამად პირსინგი ანდერგრაუნდის ბნელი სულიერების დამახასიათებელ მოვლენად აღარ ითვლება და ყველამ იცის, რა საქმეს ემსახურება: ადამიანს საკუთარი თავის შეცვლა უნდა და თავისებურად გალამაზებას ცდილობს.

ვინაიდან ზაფხული დადგა, დაცხა და გავიხადეთ, თავს ნებას მივცემ და რამდენიმე რჩევას მივცემ სხეულის მოდიფიკაციის მსურველებს:

პირველ რიგში, ის უნდა გავითვალისწინოთ, რომ ნამდვილი პირსინგი მარადისობაზეა გათვლილი. მისი ნორმალურად გაკეთება მხოლოდ პროფესიონალს შეუძლია. პირსინგის გასაკეთებელი ხელსაწყოების წარმოებაზე დასავლეთში მთელი ფაბრიკები მუშაობს, იქვე ამზადებენ ნემსებს, საყურეებს და სხვას და სხვას. ჩვეულებრივი საყურის სხვაგან გაყრა სრულიად დაუშვებელია – მას დიდი დიამეტრი აქვს და ნაზ ქსოვილებს ხევს. ასე რომ, საკუთარ სამზარეულოში გახვრეტილმა, მანამდე არაყ "გომით" დეზინფიცირებულმა ჭიპმა შეიძლება ძალიან ბევრი პრობლემა შეგიქმნათ. არ მოგკლავთ, მაგრამ გაგამწარებთ.

გახვრეტა და ბრჭყვიალა ნივთით მორთვა სხეულის ყველა ნაწილისა შეიძლება. მაგალითად, ყური ხომ მხოლოდ ბიბილო არაა, ასე რომ, შეგიძლიათ ხრტილოვანი ნაწილიც მოირთოთ. გასახვრეტად წარბები, ნესტოები, ტუჩები, ენა, ძუძუსთავები და ჭიპიც გამოდგება, თუ ძალიან მოგინდათ, შეგიძლიათ სასქესო ორგანოებსაც მიადგეთ. ერთადერთი, ნუ დაივიწყებთ, რომ პირსინგი მაინც სამკაულია და ის, ვისთვისაც ასეთ მტკივნეულ საქმეზე წასვლა გაქვთ გადაწყვეტილი, ამდენი რკინაკავეულის დანახვაზე შეიძლება სულ არ დარჩეს აღტაცებული. საერთოდ, სანამ რამის გახვრეტას გადაწყვეტთ, ჯერ მოიფიქრეთ, რად გინდათ.

გარდა ამისა, "ნაპირსინგალის" შეხორცება საკმაოდ ხანგრძლივი და რთული პროცესია. ასე, წარბის შეხორცებას 6-8 კვირა სჭირდება, ჭიპისას – 4 თვიდან ერთ წლამდე. გახვრეტილი ენის "გახვრეტილობას" 4 კვირის განმავლობაში იგრძნობთ. საუკეთესო ოსტატთან დამუშავებულ სასქესო ორგანოებს მამაკაცები 6 თვე ძალიან ფრთხილად უნდა მოექცნენ; ქალებს კიდევ რა უშავთ, მათ 10 კვირაში აღარაფერი ეხსომებათ. გალამაზებული ტუჩების მოხმარებას სამიოდე თვეში ისწავლით, აი, ძუძუსთავებმა კი შეიძლება ძალიან გაგაწვალოთ: ნახევარი წელი ცივი ნიავი არ უნდა მიაკაროთ, მერე კი გულდასმით უნდა შეარჩიოთ, ვის მიაკარებთ – ბრჭყვიალა სამკაული დიდი ცდუნებაა, ყველას მოქაჩვა უნდება...

### ყველაზე ძვირადღირებული მხატვრები

ჟურნალმა Artreview-მ გამოაქვეყნა იმ ცნობილი ცოცხალი მხატვრების სია, რომელთა ნამუშევრებიც ყველაზე ძვირად იყიდება. ჟურნალის ცნობით სიას სათავეში უდგას ამერიკელი მხატვარი ჯასპერ ჯონსი, რომლის მიერაც ბოლო 30 წლის განმავლობაში გაყიდულმა ნამუშევრებმა 92 მილიონი ფუნტი სტერლინგი შეადგინა. 80,9 ფუნტი სტერლინგით მეორე ადგილი გერმანელ მხატვარს გერჰარდ რიჰტერს უკავია. მეოთხე პოზიციაზეა რობერტ რაუშენბერგი, დაახლოებით, 36,5 მილიონი ფუნტ სტერლინგით. მეცხრე ადგილზე გავიდა დევიდ ჰოკნი, რომლის გაყიდულმა ნამუშევრებმა მთლიანობაში 23,7 მილიონი ფუნტი შეადგინა.

### ფრანგები ერთობიან

ანიმაციური ფილმის "კირიკუს" გადაღებისა და მისი წარმატების შემდეგ, ფრანგ "კინოშნიკებს" ახალ-ახალი იდეები გაუჩნდათ. ტრემბლეზი, მიკი, ვუდი, შრეკი და მთელი მულტპერსონაჟები წარმოდგენილნი იქნებიან ანესის 27-ე ფესტივალზე, რომელიც მსოფლიოს უდიდეს მანიფესტაციას წარმოადგენს ანიმაციურ ჟანრში. გრდა ამისა, ფესტივალზე ასევე იქნება წარმოდგენილი ასტერიქსი, ლაკი ლაკი, ბაბარი, ძაღლი პიფი და ბავშვების საყვარელი ბევრი სხვა მულტპერსონაჟი. ფესტივალზე მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოში წარმატებული იაპონური –"ჩიჩიროს მოგზაურობა" და ბრიტანული – Chicken Run. მულტიპლიკაცია სულაც არ არის სახუმარო, ამერიკელები და ფრანგებიც თითოეულ ფილმზე მილიონობით დოლარს ან ევროს ხარჯავენ. ასე რომ, 7 ივნისამდე ანესის ფესტივალზე ფრანგები კარგად გაერთობიან.

### სტურუას "გოდოს" ჩეხოვის ფესტივალზეც ელოდნენ

გუშინწინ მოსკოვში "მოსსავეტის" სახელობის თეატრის სცენაზე რობერტ სტურუას "გოდოს მოლოდინში" აჩვენეს. სპექტაკლს ჩეხოვის სახელობის რიგით მეხუთე საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე დღესაც გაიმეორებენ. ფესტივალი მოსკოვში 17 მაისს დაიწყო.

ქართველი რეჟისორის ახალ სპექტაკლს ფესტივალზე დიდი ხანია ელოდნენ. "ჩეხოვის ფესტივალის ორგანიზატორები ახალ-ახალ საჩუქრებს უმზადებენ თეატრის ნამდვილ დამფასებლებს. ისინი ფესტივალის სტუმრებს რობერტ სტურუას ახალ სპექტაკლს "გოდოს მოლოდინში"-ს აჩვენებენ. ასე რომ 3-4 ივნისს "მოსსავეტის" სცენაზე ნამდვილი პრემიერა გაიმართება", - ასეთი ტექსტი გაავრცელა ტელეარხ "კულტურა"-ს ვებ-საიტმა. სხვადასხვა რუსულმა სააგენტოებმა კი რეჟისორის გეგმებიც შემოგვთავაზეს.

"ეს არის სპექტაკლის პირველი ნაწილი, მეორე ნაწილზე მუშაობა ჯერ კიდევ წინ არის", - ასე პასუხობს რობერტ სტურუა რუს ჟურნალისტებს. რაც შეეხება დიდი რეჟისორის გეგმებს, ფესტივალზე გამოსვლის შემდეგ ის დაუბრუნდება ჩვეულ სამუშაო რიტმს. გეგმაშია თეატრალური დადგმა "ვეფხისტყაოსანი", გია ყანჩელის "რექვიემი". ამ უკანასკნელზე სტურუამ დიდი თეატრის წამყვანი სოლისტი ილზა ლიეპა მოიწვია. დიდ თეატრში კი რობერტ სტურუა აპირებს დადგას ოპერა "მაზეპა", რომლის პრემიერაც მომავალი წლის 28 იანვარსაა დაგეგმილი.

# ზღაპრული სამყარო, რომლითაც დიდებიც მშვენივრად ერთობიან

ნინო ჭანიშვილი

დიდებმა სათამაშოების შეგროვება დაახლოებით 50-60 წლის წინ დაიწყეს. ამ დროს სათამაშოების კოლექციონერები საკმაოდ ცოტანი იყვნენ. მათ ძველი სათამაშოების სიძველე და მათი დამზადების გასაოცარი ხელოსნობა იზიდავდათ. 1970-იანი წლებიდან კი უმსხვილეს აუქციონებზე სათამაშოების განყოფილებები გაიხსნა. ხარისხიან სათამაშოებზე ფასი სწრაფად იზრდებოდა. სენსაციური იყო 1994 წელი, როცა ლონდონში კრისტის აუქციონზე "გოგონა-დათუნია" თოჯინისათვის ფანტასტიკურ თანხად 165 ათას დოლარად გაიყიდა, ხოლო ფირმა Steiff-ის იშვიათი 1912 წელს გამოშვებული შავი პლუშის დათვი 33 ათას დოლარად გაიყიდა. დღეს სათამაშოებით ვაჭრობა სერიოზულ ბიზნესად იქცა. დღევანდელ ბაზარზე განსაკუთრებული მოთხოვნა გერმანულ დათვებზეა, რაც, პირველ რიგში, მათი ხარისხით არის განპირობებული. კრისტის აუქციონი არასდროს აყოვნებს, რომ მოზღვავებული შემგროვებლობის ჟინი კოლექციონერებს დაუკმაყოფილოს და 10 ივნისს ლონდონში south kensington ცნობილი გერმანული და ბრიტანული ფირმების Steiff, Schuco, Chiltern, Farnell, Chad Valley 300-მდე რბილი სათამაშო გაიყიდება, რომელთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვნად დათუნიებია წარმოდგენილი.

პლუშის დათვების გამოშვება გასული საუკუნის ევროპაში დაიწყეს. თავიდანვე დიდი პოპულარობა მოიპოვა გერმანულმა ფირმამ Steiff, რომელიც დღესაც არ ღალატობს ტრადიციას და მაღალი ხარისხის დათუნიებს უშვებს. როცა გასული საუკუნის დასაწყისში დათვებით გატაცებამ ბრიტანეთამდე მიაღწია,




Jumeau თოჯინა-მანეკენი. 1880წ.


Farnell პლუშის დათვი. 1920წ.

ადგილობრივი წარმოებები სწრაფად გადაერთვნენ პლუშის დათვების დამზადებაზე, გაჩნდა ბევრი ახალი ფირმა Farnell, Deans, Chad Valley. როგორც ამბობენ სწორედ ბრიტანულ ფირმაში Farnell შეიქმნა ორიგინალი ვინი პუჰი, რომელმაც შთააგონა ბრიტანელი მწერალი ალან ალექსანდრ მილნი ცნობილი მოთხრობების დასაწერად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დათვების სტილი შეიცვალა – მათი ბეწვი უფრო ფუმფულა გახდა, დაუმოკლდათ თათები და სახე კი მიბრტყელებული გაუხდათ. მსუბუქი და ხარისხიანი ირლანდიური მოჰერი სინთეტიკური მასალებით შეიცვალა.

რაც შეეხება მიჭიქული ფაიფურის თოჯინებს, მათ საუკეთესო ნიმუშებს ისეთივე ფასი აქვთ დღევანდელ ბაზარზე, როგორც მაღალი ხარისხის ფაიფურისა და ვერცხლის ნაკეთობებს და ავეჯს.

ყველაზე ძველი ევროპული თოჯინები ხისგან მზადდებოდა, რომელთაც, რა თქმა უნდა, სამარკო ნიშნები არ გააჩნდათ – მათი ავტორები გლეხები იყვნენ. მოჭიქული ფაიფურის თოჯინების დამზადებას მე-19 საუკუნიდან გერმანიაში იწყებენ. თუმცა, მალევე ბისკვიტმა (მოუჭიქავი შეღებილი ფაიფური) საერთოდ განდევნა ფაიფური. რადგან ეს მასალა უფრო გამძლე და პლასტიკური აღმოჩნდა ვიდრე მისი წინამორბედები. ამასთან შესაძლებელი გახდა რეალისტური სახეების გამოძერწვა. ბისკვიტის თოჯინების გამოშვებაში პირველი ადგილი ფრანგებს ეკავათ. დღეს ზოგიერთი ბისკვიტის თოჯინის ფასი 150 ათას დოლარამდეც აღწევს.

საფრანგეთში თოჯინებს არა მარტო სათამაშო დანიშნულება ჰქონდა, მათ მანეკენებადაც იყენებდნენ, რომლებსაც ამერიკაში აგზავნიდნენ, რომ ადგილობრივი ქალბატონები ევროპული მოდის სიახლეებს გაცნობოდნენ. მანეკენებს თან ახლდა მთელი გარდერობი, სადაც ყოველი სამოსის დეტალი სკრუპულოზურად იყო მე-19 საუკუნის ბოლომდე თოჯინები ქალებს გამოსახავდნენ, მხოლოდ საუკუნის ბოლოს გაჩნდა თოჯინები ბავშვის სახეებით.

მე-20 საუკუნის დასაწყისში თოჯინებისთვის ახალი მასალების (კომპოზიტი, ცელულოიდი, პლასტმასი) გამოყენება დაიწყეს. საუკუნის შუა ხანებში კი ევროპულ ფაიფურის თოჯინებს კონკურენტი გამოუჩნდათ, რომელიც ამ სამყაროში დღესაც ლიდერია. 1959 წელს ამერიკულმა ფირმამ Mattel ბარბი შექმნა. ბარბის ისტორია ეს არის წარმატებებით სავსე გზა, ხოლო თავად ბარბი, ამერიკის პირმშო თავისებურ საკულტო ფიგურად იქცა. მისი მიზიდულობის ძალა არა მხოლოდ სექსუალური გარეგნობა, გრძელი ფეხები და ქერა თმაა, არამედ უდიდესი გარდერობი ცხოვრების ნებისმიერი შემთხვევისთვის. მათ შორისაა სათხილამურო აღჭურვილობა, საქორწინო კაბები და სტიუარდესას კოსტიუმიც კი. 1960-იან წლებში ბარბისთვის კონკურენციის გაწევას შეეცადა სინდი, ბრიტანული ფირმის Pedigree Toys and Dolls-ის მიერ გამოშვებული თოჯინა. სინდი ასაკით ბარბიზე პატარა და დაბალია. მისთვისაც მდიდარ გარდეროზს და მთელ რიგ აქსესუარებს ქმნიან. თუმცა, ათასგვარი მცდელობის მიუხედავად, ბარბის მაგვარ პოპულარობას სინდიმ ვერასდროს მიაღწია.

ასე რომ, თქვენი შვილების ნაქონ მოძველებულ სათამაშოებს პირდაპირ ნაგვის ყუთში ნუ მოისვრით, რა იცით რა ხდება. იქნებ ჩინურ სათამაშოებსაც, რომლებიც ლამის ხელში აღებისთანავე ტყდება ოდესმე ფასი დაედოს და დიდი ფულიც იშოვოთ.

# ანა და ენრიკე

## ერთი სიყვარულის ამბავი



*ანა კურნიკოვა*

გასულ პარასკევს, საკმაოდ ხანგრძლივი რომანის შემდეგ, რუსი ჩოგბურთელი ანა კურნიკოვა და მომღერალი ენრიკე იგლესიასი დაქორწინდნენ. ისინი ძალიან ეცადნენ, რომ ამის შესახებ ცოტა ხალხს სცოდნოდა. ქორწინების ცერემონიალი კასა დე კამპოში გაიმართა.

ესპანური პრესის ცნობით, კარიბიის ერთ-ერთ კუნძულზე "ვარსკვლავების ქორწილი ვიწრო წრეში, ლამის კონფიდენციალურად იყო აღნიშნული". ანა და ენრიკე კუნძულზე მაიამიდან ჩაფრინდნენ, სადაც ორივეს საკუთარი სახლი აქვს.

სხვათა შორის, მოწვეულთა სიაში ნეფის მამა, ცნობილი ესპანელი მომღერალი ხულიო იგლესიასიც კი არ ყოფილა. სწორედ მან ბრძანა, რომ მისი ვაჟი და რუსი ჩოგბურთელი ქორწინების ამბავს ჟურნალისტების ზედმეტი ცნობისმოყვარეობის გამო მალავდნენ.

21 წლის კურნიკოვასა და 28 წლის იგლესიასის სასიყვარულო ურთიერთობა გასული წლის თებერვალში დაიწყო, როცა მათ სიმღერა Escape-თვის ვიდეოკლიპში იღებდნენ. მართალია, მაშინ კურნიკოვას ტუჩებზე რაღაცამ გამოაყარა და მომღერალმა მის კოცნაზე კატეგორიული უარი განაცხადა, მაგრამ შემდეგ საქმე იქამდე მივიდა, რომ ენრიკემ ანას სახლი უყიდა და იქვე ჩოგბურთის კორტიც გააკეთებინა.

მას შემდეგ პრესა წყვილს "კვალში ჩაუდგა", რაც შეყვარებულებს დიდად არ სიამოვნებდათ. სამაგიეროდ, ჟურნალისტები ერთობოდნენ – ანასა და ენრიკეს ურთიერთობა ერთობ ბობოქარი იყო. ერთხელ ისედაც საკმაოდ ეჭვიანი ჩოგბურთელი თავის სატრფოს კონცერტზე დათვრა და თეფშების სროლა დაუწყო.

ნეფეცა და დედოფალიც ძალიან შეძლებული ხალხია – ორივეს ქონება მილიონობით დოლარი გახლავთ. რუსი ჩოგბურთელისთვის, რომელსაც თავისი კარიერის განმავლობაში არცერთ დიდ ტურნირში არ გაუმარჯვია, ეს მეორე ქორწინება იქნება. ერთი ხანი ის რუსი ჰოკეისტის, სერგეი ფიოდოროვის მეუღლე იყო.

წყვილმა საფუძვლიანად შეძლო პრესის წარმომადგენელთათვის გზაკვალის აბნევა. ჭორი გავრცელდა, დომინიკის რესპუბლიკაში, ლა-რომანაში იწერენ ჯვარსო. პაპარაცებმა იხუვლეს და ეკლესიას მიაწყდნენ. ტაძარში, მართლაც, ჯვრისწერის ცერემონია ტარდებოდა, მაგრამ სულ სხვა წყვილისა.

# აგრესიული ცხოველთა დამცველები




*ანა ვინტური*

ჯგუფ PETA-ს წევრებმა დიდი საგამომცემლო სახლის, Conde Nast-ის შენობის წინ დიდი აურზაური მოაწყეს. თავდაპირველად იდეა თითქოს უწყინარი იყო: ცხოველთა უფლებების დამცველები ანა ვინტურის გაკიცხვას აპირებდნენ, რომელმაც ცოტა ხნის წინათ ამერიკელ მოდის დიზაინერთა ასოციაციის ჯილდო მიიღო.

აქტივისტების ჯგუფი, ბეწვის (ცხადია, ხელოვნური ბეწვის) სამოსში გამოწყობილი, ტაიმს სკვერისა და 42-ე ქუჩის კუთხეში შეიკრიბა. ისინი წითელ, ტკბილ სასმელს ისხამდნენ და ასფალტზე ხოხავდნენ – ვითომ მომაკვდავი ცხოველები იყვნენ, რომლებიც ანა ვინტურის ქურქებს შეეწირნენ. ტრანსპარანტებზე ეწერა: "სიხარბის ხაფანგში", "ბეწვი სიკვდილია". პროტესტის ეშხში შესულმა აქციის მონაწილეებმა წვენი ვიტრინებსა და რამდენიმე გამვლელსაც შეასხეს. მოკლედ, სანამ პოლიციელები ავტობუსში შეტენიდნენ, ბევრი რამის გაფუჭება მოასწრეს. გაწევ-გამოწევაში პოლიცია მტყუანს და მართალს ვეღარ არჩევდა, და PETA-ს ხალხთან ერთად Associated Press-ის ფოტოგრაფიც დააპატიმრეს.

გამოსვლის ჭეშმარიტი მიზანი მოგვიანებით გაირკვა. თურმე, აქციის მონაწილეები გამვლელებს ღია ბარათებს ურიგებდნენ, რომლებზეც "ვოგის" რედაქტორის კარიკატურული გამოსახულება, მისი ტელეფონის ნომერი და პირადი ელექტრონული მისამართი იყო დაბეჭდილი. PETA-ს ვიცე-პრეზიდენტმა, დენ მეტიუზმა განაცხადა, რომ ამგვარად ისინი "ვოგის" ტელეფონებისა და სერვერის გადატვირთვას ცდილობდნენ, სწორედ ახალი ნომრის გამოსვლის წინ, რომ სარეკლამო განცხადებების რაოდენობა შეეზღუდათ. საიდუმლო ინფორმაციის წყარო გამომცემლობის თანამშრომლები ყოფილან, რომლებიც ტყავსა და ბეწვთან დაკავშირებული "ვოგის" პოლიტიკით უკმაყოფილონი არიან.

# ფოტომოდელი ბარბი

1959 წელს შექმნილი თოჯინა ბარბი ახალი მისიით უბრუნდება დიდ მოდას. ამიერიდან ის განთქმული მოდების სახლების იუველირული ნაწარმის მოდელი იქნება. ფრანგი ოქრომჭედლები და დიზაინერები Barbie Joallerie Collection 2003-ის შესაქმნელად გაერთიანდნენ. ამასთან დაკავშირებით "ფრედმა" ბრილიანტებისა და თეთრი ოქროსგან დამზადებული რამდენიმე კომპლექტი შექმნა, რომელთა სახელწოდებაც "რადგან წყალი სიცოცხლეა" გახლავთ.

მინიატურული სამკაულების მსოფლიო ტურნე პარიზში, სასტუმრო "რიცში" დაიწყო. მაისში ბარბის სამკაულები იაპონელმა "მარგალიტის მეფემ", "მიკიმოტომ" წარმოადგინა, ზაფხულს კი თოჯინა მონაკოს თოჯინების ეროვნულ მუზეუმში გაატარებს. ტურნე დეკემბერში დასრულდება, და ახალი სამკაულებით მორთულ ბარბის აუქციონზე გაყიდიან, რის შედეგადაც შემოსული თანხა წითელი ჯვრის დაჩაგრულ ბავშვთა ფონდს გადაეცემა.

## კროსვორდი






## შპს "კვარციტი" აცხადებს

ელექტროზეინკლის ვაკანსიას მაღალი ანაზღაურებით:

- მაღალი ძაბვის სპეციალისტი სათანადო კვალიფიკაციით;
- ელექტრონული ტექნიკის სპეციალისტი;
- უცხოური ტექნიკის (CAT, კამაცუს) ელექტრონაწილის სპეციალისტი;
- რუსული და უცხოური წარმოების დიზელ-გენერატორების (CAT, პერკინსის) სპეციალისტი;
- ელექტრონული სასწორების სპეციალისტი.

სასურველია იცოდეს კომპიუტერზე მუშაობა დაფლობდეს ინგლისურ ენას.

მსურველებმა გამოგზავნონ რეზიუმე (CV) ელ. ფოსტით:
quartzite_kazreti@yahoo.com

ტელ/ფაქსი:94-29-80 98-98-79 ან საფოსტო ყუთის
მისამართზე: ს/ყ 86, მე-8 საფეხვარჯილება, 380008. თბილისი.

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

## წამალი "სალხინო"

### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.